

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი



ფილოლოგიური მაცნე

VI

2022

ბსუ ფილოლოგიური მაცნე. VI.
ბათუმი, 2022.

მთავარი რედაქტორი
რამაზ ხალვაში

ტომის რედაქტორი
მაია ბარამიძე

სარედაქციო საბჭო:
მამია ფალავა
თინა შიოშვილი
მანანა თანდაშვილი (გერმანია)
მარინა გიორგაძე
მაია კიკვაძე
შორენა მახაჭაძე
მალხაზ ჩოხარაძე

ISSN: 2587-4799

შინაარსი

იუბილე

შუშანა ფუცკარაძე – 80	5
მამია ფალავა, მამია ბარამიძე	
ტაოურის ბგერითი შედგენილობიდან	8
ნათელა ფარტენაძე	
ფონეტიკური თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში	20
თალიკო დავითაძე, თემურ ავალიანი	
რიტუალური არგო და ინტერნეტსივრცე (პრობლემის შესწავლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ)	46
ლევან ხალვაში, სოფიკო წულუკიძე	
რატომ არ მიიჩნევდნენ ძველი ბერძნები გრამატიკას ნამდვილ მეცნიერებად?	54
ქრისტინე ცინცაბაძე	
ენის ნაციონალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ასპექტები თურქული ენის სალექსიკონო მასალის საფუძველზე	61
თეონა კეკელიძე	
„ამირანიანის“ ვრცელი და მოკლე ლექსითი ვარიანტების ურთიერთმიმართება	70
თინა შიოშვილი	
ლეგენდა ილორის წმინდა გიორგის სასწაულთმოქმედებაზე	78
მალხაზ ჩოხარაძე	
სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლები და დემარკაციის ხალხური ისტორიები თურქეთსა და საქართველოში	86

გურამ ბახტაძე	
ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოები და პერიოდიზაცია (თვალსაზრისი)	103
შორენა მახაჭაძე	
„შავი ჭირი“ – აბსურდული სამყარო და მარადიული წრებრუნვა	109
ნონა ნიქაბაძე	
„ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის თურქული თარგმანის ზოგიერთი საკითხისათვის	120
პუბლიკაცია	
რამაზ ხალვაში	
იოანე პეტრიწისა და მისი ძმის – პავლეს „გალობანი ყოველთა წმიდათანი“	129
ქრონიკა	148
2018-2021 წლების გამოცემები	153
გახსენება	
მერი ცინცაძე	158
გამოსათხოვარი	
ომარ მეშიშვიძე	160
შოთა ზოიძე	162
ელგუჯა მაკარაძე	164

იუბილე



შუშანა ფუტყარაძე – 80

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი 80 წლის იუბილეს ულოცავს ემერიტუს-პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ შუშანა ფუტყარაძეს და უსურვებს ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას.

ქალბატონი შუშანა დაიბადა 1942 წლის 15 თებერვალს, შუახევის რაიონის სოფელ ლომანაურში. 1959-1964 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პედაგოგიური მოღვაწეობა ხულოს რაიონის სოფლებში ვერნებსა და დიოკნისში დაიწყო. 1968 წლიდან მუშაობს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა

და ლიტერატურის კათედრის მასწავლებლად, 1977 წლიდან – უფროს მასწავლებლად, საკანდიდატო დისერტაციის „შალვა დადიანის ენა და სტილი“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ივანე ქავთარაძე) დაცვის (1978 წ.) შემდეგ, 1981 წლიდან – დოცენტად.

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში შუშანა ფუტკარაძემ ფილოლოგიების მრავალი თაობა აღზარდა. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა ლექციების კურსს: ახალ ქართულ ენაში, ქართულ დიალექტოლოგიაში, ტექსტის ლინგვისტურ ანალიზში, ზოგად ენათმეცნიერებასა და სხვა ლინგვისტურ დისციპლინებში. აქვე, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, შუშანა ფუტკარაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ პრაქტიკას.

1995 წელს შუშანა ფუტკარაძეს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1996 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პროფესორია, 2006 წლიდან – ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, ხოლო 2010 წლიდან – ემერიტუსი პროფესორი.

ნიკო მარის მოგზაურობის შემდეგ, შუშანა ფუტკარაძემ პირველმა მოინახულა ჩვენი ძირძველი კუთხე-ტაო-კლარჯეთი, ჩაიწერა თემატურად მრავალფეროვანი დიალექტოლოგიურ-ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მასალა. ცალკე დიალექტურ ერთეულებად გამოყო იმერხეული, ტაოური, ნიგალური და მაჭახლური. აღნიშნულ საკითხს ეხება სამეცნიერო წრეებში აღიარებული მისი მონოგრაფია – „ჩვენებურების ქართული“ (წიგნი პირველი – 1993, წიგნი

მეორე – 2016 წელი), რომელიც თავისი აქტუალობით სამაგიდო წიგნებადაა ქცეული.

შუშანა ფუტკარაძე თურქეთში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარიცაა. მისი ხელმძღვანელობით აღიწერა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკა და არქივი. ამ კვლევის შედეგები ასახულია მონოგრაფიაში „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“ (გამოიცა I-II ტომი, 2017, 2020). აღნიშნული სავანის კვლევას ეხება ასევე მისი მონოგრაფია „სტამბოლის ქართული სავანე“, რომელიც ქართულ და თურქულ ენებზეა გამოცემული (2012).

შუშანა ფუტკარაძე არის ხულოსა და შუახევის რაიონების საპატიო მოქალაქე, წმ. ტბელ აბუსერისძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია ლევონდ ალიშანის საპატიო მედლით. 2019 წელს მიენიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება.

მამია ფალავა, მაია ბარამიძე ტაოურის ბგერითი შედგენილობიდან

ტაოური ქართული ენის მკვეთრად გამოხატული ქვესისტემაა. იგი ბევრი მახასიათებლით განსხვავდება სხვა სამხრული კილოებისაგან. სტატიაში მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ტაოურის ბგერით შედგენილობაზე, რომელიც დიალექტის საერთო პორტრეტის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ტაოურში გვხვდება ჯ, რომელიც არ ისმის აჭარულსა და კლარჯულში, დასტურდება შავშურში, უმარცვლო უ და ღ – ი'ს პოზოციური ვარიანტი, სხვადასხვა პოზიციაში დაჩნდება ო და უ უმლაუტიანი ხმოვნები.

ჯ ტაოურში. ტაოურში ისმის ჯ თვარინგალური თანხმოვანი. მაგალითები:

ესა დიდი ჯიღია (ფუტკ. 170); აქ ჯარებ ჯედდენ (ელიასჯევი); ჯარების ჯედვა მაისის თუეშია (ელიასჯევი); იქ, გზაბაწარზე გედარებენ ჯარები (ელიასჯევი); ...ძველი სახელია ელიასჯევი (ელიასჯევი); ძველათ ქუაბაქ ერქვა, ახლა – ჯევად ლივანე (ელიასჯევი); ჯევი – პარეხი ჯეგია (წითლეკარი); ... საჯვნელი, საჯნისი აკეთებენ (ხევეკი); ძენკნიდან... ქსოვენ... მაჯალას, ჯელედს (იეთი); ბასლეკარ ჯედ (გოდლეკარი); იეთი ჯედ, ქვედთ – ელიასჯედ (გოდლეკარი)...

საგულისხმოა, რომ ტაოურში ჯ და ხ ერთმანეთის მონაცვლედ იხმარებიან, სხვაგვარად, ვერ ქმნიან ოპოზიციას: ისმის როგორც ჯევი, ისე – ხევი, ასევე: ჯარი//ხარი, საჯვნელი//სახვნელი...

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს შავშურში, „სადაც ზოგჯერ ჯ განირჩევა ხ'საგან“ (Mapp, 1911:81), მაგრამ

პირველს არა აქვს ფონოლოგიური ღირებულება (ფალავა, 2005:47; 2004:17-18; შავშეთი, 2011:221). გავიმეორებთ ერთი ბაზგირელი ინფორმატორის ნათქვამს: „ხელი და ჯელი სხვა არ არი, ერთია” (შავშეთი, 2011:221). მაგალითები:

ჯარები შევდოდენ მალარაში (ზიოსი); ჯარ აღარ ვინახავთ (უბე); დაბლა ჯილია, ქემერიანი ჯილი (უბე); [მეჰმედამ] ... იკითხა, იკითხა, დობტორი გაჯდა (უბე); ჯარ აღარ ვინახავთ, მოფჯნავთ, ყანეები წვრილია... (ნიოლეთი); არა, ჯევწრულიდამ არა, ნაჯევწე დერე, ჯევწიანი დერე, წყალი (ბაზგირეთი); ფერჯი, ჯევი, ჯარი, მჯარი ... ჩვენში ბზე ვიცით (ბაზგირეთი).

ჯ'ს პოვნირებით ტაოური გვერდით უდგას შავშურს, განსხვავდება აჭარულისა და კლარჯულისაგან. აღვნიშნავთ, რომ ჯ არ ისმის აჭარელ და კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების ქართულშიც, რაც დასტურია, რომ იგი აჭარულმა და კლარჯულმა არ იცოდნენ ამ საუკუნენახევრის წინადაც.

ღ ტაოურში. ტაოურში დასტურდება პალატალური თანხმოვანი ღ. იგი უმეტეს შემთხვევაში დამავალი დიფთონგის ნაწილია, სხვადასხვა ბგერათკომპლექსების *ღ'*ს პოზიციური ვარიანტი, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში (ფალავა, 1995:29-35; შავშეთი, 2011:220-221; კლარჯეთი, 2016: 531...) და ისევე წარმოითქმის როგორც ძველი ქართულისათვის და სხვა სამხრული კილოებისათვის ივარაუდება „ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოებით” (შანიძე, ბარამიძე, აბულაძე, 1934:28; ნიუარაძე, 1975:58; ნოლაიდელი, 1972:19; შავშეთი, 2011:220; კლარჯეთი, 2016:531; ფალავა, 2003:113; შდრ. ფუტკარაძე, 1995:31).

ტაოურში **ღ** დასტურდება შემდეგ პოზიციებში:

V-#: ჩემ მამაღს დედაღ იმსოღ იქა ყოფილა (ელიასჯევი);
ველაღ ბალია ბოვრი (ფიშნარჯევი); რაამეთლი აღაღ
იტყოდა... (ცუცეკარი); ჩემი დედეღ იქ იყო (ცუცეკარი)...

V-V: ვერ გეღარნები (იეთი); გედეღარე, გაღმეღარე,
გაღადი, გაღმოღი... (ელიასჯევი)...

V-C: აქ მამის დეღიები ჩამოღღენ (ელიასჯევი); შექერი
წეღღე (ელიასჯევი); ჰაღღე წევღეთ რუს უკან (წითლეჯ-
კარი)...

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ტაოურში ჟ სა-
კუთრივ ქართულ სიტყვებში დასტურდება ხმოვნის მომ-
ღვენოდ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ინტერვოკალურ
და ხმოვანსა და თანხმოვანს შორის პოზიციაში და ქმნის
ღამავალ ღიფოთონგს.

ტაოურში, სხვა სამხრული დიალექტების მსგავსად,
თურქულიდან ან თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში ჟ
გვხვდება ხმოვნისწინა პოზიციაშიც ყ ბგერის გაღმოსაცემად
და ქმნის აღმავალ ღიფოთონგს.

...ღუზ კირქ თანე დანერილი მაქ... (ელიასჯევი); ჟა გა-
ბევრღება, ჟაღა გააბღღღება გურჯული (ელიასჯევი); იქ
გღოღი არი... (ელიასჯევი); ი არ ვიცღ ქი, ჟაღ! (ქუაბაგი); მისი
ღეღა ჩემი ღეღასი ჟაგანია (ხევეკი)...

ტაოურში ჟ „შესაღღლოა იყოს ს“ ბგერის დასუსტების მა-
ჩვენებელი” (ქავთარაძე, 1964:68; ჯორბენაძე, 1989:316),
ზოგჯერ სხვა ბგერისაც:

რუღთაღი (ბინათი), შღრ. რუსთაღი; რა'ნა იქნაღ ჩვენი
ჰალი (შიოშვილი, 2018:126), შღრ. იქნას; მე ხუთ წელიწად
აღმანიაღ ვისაქმე (ქუაბაგი), შღრ. აღმანიას; იმ ჯარის
თაგრობაღ უთქვია... (ელიასჯევი), შღრ. თაგრობას...

ტაოურში სპორადულად

რ>ღ: ესა კოღღი (ცუცეკარი), შღრ. კორღი;

ჟ>ღ: **ღოლა** არი, აქ **ღოლა** უძახიან და იქ არ ვიცო (ობლევკარი), შდრ. **ჟოლა**.

რ>ღ, ჟ>ღ იშვიათია ტაოურში, განსაკუთრებით უკანასკნელი.

უმარცვლო უ (ჟ) ტაოურში. ტაოურში დასტურდება უმარცვლო უ. ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ტაოურშიც ჟ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს:

ვ>ჟ: [ერმანებს] მაშინ **ბეჟრი** ფულები ქონებიან (ელიასჯევი), შდრ. **ბევრი**; კად **გჟეჩვენება ჩჟენი** ადგილები (ელიასჯევი), შდრ. **ჩვენი**; **წჟრილნი-წჟრილნი** აღარ პარიკობენ (ელიასჯევი), შდრ. **წვრილნი**; **დიდრჟანი** ლაპარიკობენ... (ცუცეკარი), შდრ. **დიდ[რ]ვანი**; ესეც ჩემი **ნათქჟამი** (ელიასჯევი), შდრ. **ნათქვამი**; **მალლა'ნა წეჟდე...** (ელიასჯევი), შდრ. **წევდე<წავიდე**; აქედან **მოჟდენ**, მურღულიდან (ელიასჯევი), შდრ. **მოვდენ<მოვიდენ**; აქ **ბეჟრნი** მოვლნეს თურისტები (ელიასჯევი), **ბევრნი**; **გჟენატრებით**, ზმაო, **გჟენატრებით** (ფუტკ. 170), შდრ. **გვენატრებით**; **გნოჟ**, ერთი დაჯექ და! (ქუაბაგი), შდრ. **გნოვ...**

ანალოგიური შემთხვევები დასტურდება აჭარულში, შავშურსა და კლარჯულშიც:

აჭარული: იქ **ძალჟან** (<ძალვან) ნაქები იყო საქონელი (ნიჟარაძე, 1957:150); ერთ ხეს გაძრება ასე **რჟა** ტეზე (მსშხი 2 (1), 265)...

შავშური: ხარჩლუხი **ჩამოჟდა** (<ჩამოვდა<ჩამოვიდა) თავით (მც 1951); ახლა **მიჟხტი** (მივხტი<მივხვდი) განა (ბაზგირეთი)...

კლარჯული: მაგას **წევჟან** (<წევყვან<წავიყვან) მე და **სხჟა** (<სხვა) არ მოვალ (მც 1998:323)... (ვრცლდ იხ. ფალავა, 2007:3-7; შავშეთი, 2011:221; კლარჯეთი, 2016:531).

ტაოურში ზოგჯერ ერთსა და იმავე პოზიციაში მონაცვ-
ლებობენ უ და ვ ბგერები: მანდეური გზა კად არ არი...
(იეთი), შდრ. მანდეური<მანდაური); რა ვიცი, ჭოუ?
(ქუაბაგი), შდრ. ჭოვ.

აღვნიშნავთ, რომ ვ და უ გრაფემები ძველი და სა-
შუალო ქართული ენის ძეგლებშიც ირეოდა, რაც აღნიშ-
ნულია კიდევ სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ქავთარაძე,
1964:89; შდრ. ცინცაძე, თალავა, 1998:10): გაღმაური ვარა
(ქუაბაგი), შდრ. გაღმაური ვარ...

ტაოურს დაუცავს ძველი ქართულის ფორმებიც:

ორნი, ექესნი... მოდიოდეს (ელიასჯევი); მე ბევრ ჩაის
ვსუამ (ელიასჯევი); მე წევდე'ნა ჩემ [მ]კუდრებ ხედრისთვინ
(წითლევკარი); ისე გაგონილი ვართ ჩუენა... (ქუაბაგი); ამა
რა ეტყვით თქუენა? (ქუაბაგი); თქუენში ვოტკა, ჩუენში ჩად
(ელიასჯევი); სამ თუე დავდგებოდი (ელიასჯევი); მის მერე
გავყარენით აქევრობა, სხუანი აძოვებენ (მოსლიეთი); ჩუენი
ლაპარიკი ერთმანეთს არ ეწყობა (ქუაბაგი); თუელი,
გურჯიჭა თუელია (ქონობანი)...

შდრ. რაისათვს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს
და სუამს მოძღუარი თქუენი (მ.9.11)...

შევნიშნავთ, რომ ტაოურში არქაული ფორმები გვხვდე-
ბა ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, გამონაკლისი არც
ფონეტიკაა.

ტაოურში უ ზოგჯერ ბგერათკომპლექსის გარდაქმნის
შედეგია, მაგალითები:

ოგ>ვ>უ: ყოველ ქარჩაზე გამჟალთ აქა (ელიასჯევი),
შდრ. გამოვალთ>გამვალთ>გამჟალთ; ილლა რამ'ნა
მუართჟათ (ქონობანი), შდრ. მოგართვათ>მუართჟათ...

ვი>უ: ფქჟული აქოვრობაში უთესია (ქონობანი), შდრ.
ფქვილი; ვაშლი იყო: ყუთელი, წითელი... (იეთი), შდრ.

ყვითელი; არ'ნა წახუდეს სახში... (ხევეცი), შდრ. წახვიდეს; ...
იქავრი ბგანო ვარ აქ გამოთხოჲლი (წითლევკარი), შდრ.
გამოთხოვილი; ესკიდან წისქვილი ყოფილა (ქონობანი),
შდრ. წისქვილი...

ავ>ჟ: ... რა ბლჟდხარ ჯარსავენ (ელიასჯევი), შდრ.
ბლავიხარ; მოვა, მოვა ურვანად,/დჟაყენო, არ დჟაყენო
(ბასლევკარი), შდრ. დავაყენო; ნაცარი დჟაყარო/ მეჭეჭი
თავზე (შიოშვილი, 2018:134), შდრ. დავაყარო; იმა ფურუნში
შუაგდებთ, პუტურა წყალი დჟასხამთ... (ქონობანი), შდრ.
დავასხამთ; ახშამ დჟალბოფ... დილაზე აადულეთ (ქონო-
ბანი), შდრ. დავალბოფ...

ევ>ჟ: მჟერე იგონეთს... (ელიასჯევი), შდრ. მეორე >
მევორე > მუერე.

აღვნიშნავთ, რომ დჟაყენო, დჟაყარო, დჟასხამთ,
დჟალბოფ... თითქოს უჩვეულო ფორმებია, არ გვხვდება
სხვა სამხრული კილოებში (ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ
ჩაგვინწერია), ოდენ ტაოურში დასტურდება.

ტაოურში ჟ გვხვდება: C-V, V-C, C-C პოზიციებში.

ტაოურში, არც სხვა სამხრულ კილოებში ჟ არ გვხვდება
სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, თანხმოვნის შემდეგ,
როგორც ეს ძველ ქართულში გვქონდა (იხ. გამყრელიძე,
მაჭავარიანი, 1965:40; ცინცაძე, ფალავა, 1998:10-11; ფალავა,
2004:17; 2007:6). ტაოურში უმარცვლო უ იმავე ფონეტიკური
გარდაქმნებითაა მიღებული, ვარლამ თოფურიამ ძველი
ქართულისათვის რომ დაადგინა მეორე და მესამე გზად
(თოფურია, 1979:157-161).

უმლაუტი ტაოურში. უმლაუტი თუ უმლაუტის მსგავსი
მოვლენა (ნათელა ქუთელია) მეტ-ნაკლებად დამახასია-
თებელია ყველა სამხრული დიალექტისათვის, დასტურ-
დება – ტაოურშიც. იგი მეორეული მოვლენაა საკვლევ დია-

ლექტში და ზოგჯერ თურქულ ენასთან ხანგრძლივი კონ-
ტაქტითაც აიხსნება. თუმცა გვხვდება უმლაუტის ის შემთხვე-
ვები, სვანურისათვის რომაა დამახასიათებელი. ცნობილია,
რომ უმლაუტს სვანურში საფუძვლად უდევს საუმლაუტო
ხმოვანზე მომდევნო ე ან, განსაკუთრებით, ი ხმოვნის გავ-
ლენა, მაშინ როდესაც თურქულში წინამავალი ხმოვანი ახ-
დენს გავლენას მომდევნოზე, ნაწილობრივ იმსგავსებს მას,
რაც ხმოვანთა „ჰარმონიის სახელით არის ცნობილი“
(შანიძე, 1981:323).

ვე>რ: ...ღმერთ ეხონებაან კი... (ელიასჯევი); ...ჩონი ხონ-
ნები გეგონეო... (ელიასჯევი); ყოლ უბანში არი საყდარი
(ხევეკი); ჩემი ნათესები არიან ყოლანი (იეთი); ქილისა
უშენებია, ყოლი საქმე უქნია (ფიშნარჯევი); ჩონ აქ გავთავ-
დეთ, გურჯი არ იქნება (ფიშნარჯევი); ფიდ წელწად უხონწია
ფერსა (წითლეკარი); დიდი სასონი სანჩხრის თავი (ხევე-
კი); ...ისინი გრყავლებიან ქი... (ბალხიბარი); [ხალხი] ღმერთ
შეეხონებაან (ქუაბაგი); ...ჩონ გუდასხევ მივდივართ...
(ქუაბაგი); ყოფილა, ჩონა მოვესწარიო... (ქუაბაგი); ეზიეთი
ყოლგან ბევრია... (ობლეკარი); ...ღმერთ შევეხონებით
(ჭედლიანკარი); კუპრეთის ქომო ცუცეკარია... (ხევეკი)...

[ქალი] ფეხებქომ'ნა დაუდეს... (ელიასჯევი); ლახანა
ტოლმა შევახრეთ (ქონობანი); ...მას უკან დავახრეთ ასე
(ქონობანი); დათვები ეტყვიან, ვინ გეხონა, ბებრებ უკან
იხტვინე? (ხევეკი); თავქომ ქვაღ, /თე ვ ზ ი ს ფხ ა ღ ... (სავრი-
ათი); ისი ფულ იკრეთენ, შეჩოულია ისე (ხევეკი)...

ე>რ: ჩვენ წოვდოლით, ერზრუმ ვისაქმებდით (ქუაბაგი);
ბოვრ წონობდა ბათუმ (ფიშნარჯევი); გენჯები წოვდეს
აქედან (ფიშნარჯევი); ბოური ზე რომ შაადგება, „გდუნეა
მაჰალე“ (ელიასჯევი); დღისი ტყოვნარში დევმალოდითო
(ელიასჯევი)...

აგ>რ: მყრდეს, ბევრი ცხვრები მყრდეს, ვაცები მყრდეს,...
გავყიდე (მოსლიეთი)...

ვა>რ: ღმერთმა ქრ (<ქვა) შექნასო, ვინცხამა ქნა ეს საქ-
მეო... (კუპრეთი); ბენ ენ წინ გურჯი ვხორათობდით... (ბინა-
თი); შდრ. ახლა ყველა თურქჩა ხვართობენ (ბინათი)...

ა>რ: გრმობვალ, აქოს გათავდება სოფელი (ხევეკი); მე
ჩრმოელ ბათუმში (ხევეკი); არ გრმოსწიო (ობლეკარი); აბი
არ გრმოსულა ჯერ (იეთი); კამერაში არ გრმოსწიო (ქუაბა-
გი); ანაჲ დევნახე, წრმოველ (ფიშნარჯევი); გრმოსულა სი-
სხლი, დეკაცი დუკლიან (წითლეკარი); მეცხვარე უკნელამ
ჩრმოსულა ეზოში... (ქუაბაგი)...

საყურადღებოა, რომ პროცესი ზოგჯერ შორს წასულა,
ასიმილაციას მოჰყოლია დისიმილაცია: ჩრმოსულა >
ჩუმოსულა; წომომყვები>წუმომყვები; გომობვალ > გუმო-
ხვალ...

ვი>უ: ასე'და წეხუდე აღმართში (ხევეკი); წუმამა
გათუჭა [ბალი], წუმამა (ჭედლიანკარი); ყუთელი წყალი...
(ქუაბაგი); წუმა არ წუმს, წყალი პეტერა, სიცხეა... (ბინათი)...

იმისთუნ ბოვრი არ ვიცი (ქონობანი); ხალხისთუნ
უთქმია ქი... (ბასლეკარი); ჰოდა, უთქვიან იმ ფათაზისთუნ
ასე (ელიასჯევი)...

ა>უ: ეს ფერი გოგო ჩუმუყყანია სახში (ხევეკი); წუმოდი
(ქონობანი); ამეზლამ აქ'ნა გუნუმდეს (წითლეკარი); იმ
ტარალს ასწევს, მეძპრის, წუმოვა ასე (ხევეკი); ...ბიჭი ჩუმო-
ვა აქე... (ხევეკი); [თოვლი] წუმუღიან, დამდნა'რა (დუ-
გური)...

ე>უ: აქ ვერავინ ვერ შუმოვა (ბასლეკარი)...

საკმაო მასალა მოვიყვანეთ პალატალური ო და უ
ხმოვნების წარმოქმნისა ტაოურში, რომელთა უმეტესობა
რეგრესული ასიმილაციის შედეგია, სხვაგვარად, გვაქვს

უმლაუტის ისეთივე შემთხვევები, სვანურისთვის რომაა დამახასიათებელი, შეინიშნება თურქულის გავლენის კვალიც. ანალოგიური შემთხვევები დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც (იხ. ფალავა, 2002:113-121). ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქართული ენის დიალექტთაგან უმლაუტი დასტურდება ინგილოურში (იმნაიშვილი, 1963), მესხურში (ჯორბენაძე, 1998), ჯავახურში (მარტიროსოვი, 1984; ბერიძე, 1988), მოხეურში (ქავთარაძე, 1985), ქვემოქართლურში (ჯორბენაძე, 1998), იქნებ სხვა კილოებშიც. დადგენილია, რომ ქართული ენის დიალექტებში უმლაუტიანი ხმოვნები მიღებულია:

ა. ვე//ჟე, ვი//ჟი კომპლექსთა ცვლილებით.

ბ. მიღებულია ლაბიალურ ხმოვანთა პალატალიზაციით (ო>ო, უ>ჟ).

გ. მიღებულია პალატალურ ხმოვანთა ლაბიალიზაციით (ე>ო, ი>ჟ) (ჯორბენაძე, 1998:34).

ტაოურში ა. ვე>ო; ე>ო; ავ>ო; ვა>ო; ა>ო.

ბ. ვი>ჟ; ა>ჟ, ე>ჟ.

ბარემ აღვნიშნავთ, რომ

1. ტაოურში უმლაუტიანი ხმოვანი (ო,ჟ) განსაზღვრულ პოზიციაში წარმოიქმნება და, ამდენად, იგი შესაბამისი ფონემის (ან ბგერათკომპლექსის) პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს.

2. ჩანს, უმლაუტი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ქართული კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა როგორც ისტორიულად (ქავთარაძე, 1964:74-85), ისე ახლა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართულმა ენამ „ვერ იგუა იგი“ (ჯორბენაძე, 1998:38).

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებები

Март, 1911 – Н.Я. Март, Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзийского... с дневником поездок в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексты и Разыскание по Армяно-Грузинской Филологии т. VII, СПб.

ბერიძე, 1988 – გრიგოლ ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ.

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 – თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ.

თოფურია, 1979 – ვარლამ თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. შრომები, III, თბ.

იმნაიშვილი, 1963 – გრიგოლ იმნაიშვილი, ინგილოურის ბგერითი შედგენილობა. ქესს, III, თბ.

კლარჯეთი, 2016 – მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი, თბ.

მ. – სახარება მათქსი. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბ., 1945.

მარტიროსოვი, 1984 – არამ მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ.

მსშხი 2 (1) – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით (აჭარული ტექსტები შეკრიბეს ქ. ლომთათიძემ და თ. ანდლულაძემ), 2 (1), თბ. 1979.

მც 1951 – მერი ცინცაძე, მაჭახლური ტექსტები (ხელნაწერი). დაიბეჭდა: ქართველმუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, ნიგნი პირველი, მაჭახლელი მუჰაჯირები, ბათუმი.

ნიჟარაძე, 1957 – შოთა ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი.

ნიჟარაძე, 1975 – შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.

ნოლაიდელი, 1972 – ჯემალ ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 1, ბათუმი.

ფალავა, 1995 – მამია ფალავა, აჭარულის ბგერითი შედგენილობიდან, 1. გ ბგერა აჭარულში. ბსუ შრომები, 1, ჰუმანიტარულმეცნიერებათა სერია, ბათუმი.

ფალავა, 2002 – მამია ფალავა, უმლაუტი სამხრულ კილოებში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი კრებული, II, ბათუმი.

ფალავა, 2003 – მამია ფალავა, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერი), ბათუმი.

ფალავა, 2004 – მამია ფალავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის საამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.

ფალავა, 2005 – მამია ფალავა, ფარინგალური ჯ იმერხეულში. XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ.

ფალავა, 2007 – მამია ფალავა, უმარცვლო უ სამხრულ კილოებში. ბსუ შრომები, X, ფილოლოგიური მეცნიერებანი, ბათუმი.

ფუტკ. – შუმანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე, 1995 – შუმანა ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტოკლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის მაცნე, თბ.

ქავთარაძე, 1964 – ივანე ქავთარაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის (XII-XVIII სს), I, თბ.

ქავთარაძე, 1985 – ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

შავშეთი, 2011 – მამია ფალავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, შავშეთი, თბ.

შანიძე, 1981 – აკაკი შანიძე, უმლაუტი სვანურში. თხზულებანი, ტ. II, თბ.

შანიძე, ბარამიძე, აბულაძე, 1934 – აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ილია აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ.

შდრ. – შეადარე შიოშვილი, 2018 – თინა შიოშვილი, ტაოური ხალხური პოეზია, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, XIII, თბ.

ცინცაძე, თალავა, 1998 – მერი ცინცაძე, მამია თალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა, V-XVIII სს), ბათუმი.

ჯორბენაძე, 1998 – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ.

Mamia Paghava, Maia Baramidze
From the sound composition of the Taoian dialect
Summary

In contrast to the literary Georgian, In the Tao dialect we find:

A. Pharyngeal consonant ჯ, confirmed in Old Georgian and in some dialects.

From the southern kilos ჯ is confirmed in Shavshuri, not found in Adjarian and Klarjuli. ჯ can not form an opposition to Kh in Taoian, he is not a phoneme.

B. ႁ semitone. It is the result of a phonetic transformation in different positions of ႀ's (ႀ>ႁ). In most cases ႁ is found in the next position of the vowel and creates a diphthong: ველაႁ, გელეႁარე, ჩამოႁდენ...

ႁ Ascending diphthong is evidenced only in borrowed words to transmit a semitone y: ႁალი, ႁულურთი...

C. Seedless უ: ბეური, გნოუ (<გნოვ), ძალუან (<ძალვან).

D. O and U umlaut sounds: ეხოწებოან, წეხუდე... Umlaut is a secondary appearance in the Tao dialect.

ნათელა ფარტენაძე ფონეტიკური თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში

მარადიდულ მეტყველებაში დასტურდება რიგი ფონეტიკური თავისებურებები, რომელთა დიდი ნაწილი ზოგადად კლარჯული ან კიდევ სამხრული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გვხვდება კერძო შემთხვევებიც.

ბგერითი შედგენილობა. მარადიდულთა მეტყველებაში ძირითადად გვხვდება **ღ** და **უმარცვლო უ**.

ისევე როგორც მთლიან სამხრულ მეტყველებაში (იხ. ფალავა, კლარჯეთი, 2016: 531-532; ფალავა, შავშეთი, 2011: 220-221; ფალავა, მაჭახლელი მუჰაჯირები, 2017: 198-199; ნიჟარაძე, 1975: 58-60...) მარადიდულ კლარჯულშიც დასტურდება ნახევარხმოვანი **ღ'** (**ი'** ს პოზიციური ვარიანტი), რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, უმეტეს შემთხვევაში დამავალი დიფთონგის შემადგენელი ნაწილია და გვხვდება სხვადასხვა პოზიციაში:

ა) სიტყვის ბოლოში **ა'**, **ე'** და იშვიათად **ო'** ხმოვნების შემდეგ: აქ **ბეგაღ** რომ მოვდოდა, მაშინგედედესთვინ უთქმია (ზემო მარადიდი); კვერცხი ვურთოთ, ძე, მოზელვა ესე, ორი, ის ემეა, კაშული გულურთი, მოტიალდები **პაწაღ** (ბერძნევი); **რაფაღ** მეფსლებოდა და დემელაპარიკებოდა (ხინწკანა); **ერთსხვაღ** წევდა, რომ **არაბაღ** აართვენ, სახლიც აართვენ და დარჩენ ორთაში (ხინწკანა)...; ჯენნემი ქოქში **წეღ** მეთქი, გივიარევი. აქიღამა **წეღ**—მეთქი, გუუშვი (ზემო მარადიდი); ასე **ხეღ** დარჩება (შერიფი); წინა **დღეღ** იქ ვიყავი,

ახლა კიდევ წევდე-მეთქი, მინდა (ხინწკანა)...; **ლეჩოდ** ჩვენს ვაკეთავთ (ხინწკანა); **ნენე-ბაბოდ** გყავს? (ხინწკანა)...

ბ) ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: წელის **ზედდან** გეძრობდა, ათლეტი გამოვდოდა, მე ათლეტი არ გამუალ...; მახარებელად რომ მოვა, რახი **მედთხოვავ**, ხილი **მედთხოვავ**, ბაქლავა **მედთხოვავ**, ქათამი **მედთხოვავ**. სუფრას **დედჭირვენ**, გოგოს თარათები წინდანინ მოვლენ, დაჟდებიან მასაზე და მაშინ **მედთხოვებენ**; მეც იქავრი რუსული ვიცოდი და ერთი დონუმი დერი გაკათე-მეთქი (ხინწკანა)...; ბაბა **ანედდან**, **ნენედდან**, სხვად ვისგან'და დედნავლო გურჯული? (ბერძნევი); არ უშავს, მეტი ბევრი არ მაქ, მეტი **ცოტაფც** არ მაქ (ხინწკანა); რავად **მედსლებოდა** და დემელაპარიკებოდა (ხინწკანა); იქავრი ხალხ უთხრა, **წამოდთ** აქა და ჭიშები-ჭიშები გაანაწილა (მაჰმუდიე)...

გ) ხმოვნებს შორის: ჩემი ათელიადსზედდან **კადალული** იყო, იმაზე ებოტებიან (ზემო მარადიდი); წასლა-მოსლა მეტი **კადა**, გაცნობა მეტი **კადა**; **ტადაშვილი** მომიკტა, ზექიედ (ხება); ჩვენში მეტი ჩეთინია, თქვენში – **ყოლადა**. ჩვენში **ვარადოლა** შიშა ვერ მოჭრი (ხინწკანა); ახლა ტრაპზონში ჯამეზე **ხოჯადა** (ბერძნევი)...

იშვიათად გვხვდება დ აღმავალი დიფთონგის შემადგენლობაში ისიც თურქულიდან შემოსულ სიტყვებში: **დერი** იყიდება ოზდაექს ყირმიზ ალთუნათო (ზემო მარადიდი); **ბედდავა** ნიჩაბს ატყაპუნავ, გზა არ მივა (მურადიე); ამის ბაბადს ბაბად **დუზზე** მეტი იყო (ზემო მარადიდი); მეც იქავრი რუსული ვიცოდი და ერთი დონუმი **დერი** გაკათე-მეთქი... (ხინწკანა); კვერცხი ვურთოვ, ძე, მოზელვა ესე, ორი, ის ემეა, კაშული **დულურთი**, მოტიალდები პანად (ბერძნევი); სამი კაშული **დულურთი**, ერთი ჩად ბარდალი ზეითუნი **დალი**, კარქა'ნა მოზილო (ხინწკანა); **დელქენჯებს** არ ყავდენ ნავი,

აქავრელებს ყავდენ... (ეშმე ახმედზე); ბურსას არის ამ **ჯაზის** გამგნებელიო, იქა წევდოდა (გულდიბი)...

უმარცვლო უ' მარადიდულში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად არის მიღებული: იმ დუამ რა'ნდა ქნას, კროხმა თუ არ **გამუარჩია**; დაკრილი პური მაქვან, ახლა **გამუაცხე**, თიბილი; ზორით **გამუაგზანენ** (შერიფიე)...; აქ მაღაზიები არიან და **მუაქვან** პური... შეიძლება დაიკარგოს პირისნიშნისეული ან ფუძისეული თანხმოვანიც: ზამთრის შიშა **მუაგროვებდი** (ქვემო მარადიდი); კაჯ თათული **მუა** (ადლიე)...

ძირითადი ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკურ პროცესთაგან მარადიდული კლარჯული მეტყველებისთვის დამახასიათებელია: ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა, ბგერის განვითარება. გვხვდება ანალოგიის, აფრიკატიზაციის, დეზაფრიკატიზაციის, სრულხმოვნობისა და კონტამინაციის შემთხვევებიც.

ასიმილაცია. გავრცელებულია როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. ბგერათა დამსგავსება ხდება როგორც კონტაქტურ (უპირატესად), ისე დისტანციურ პოზიციაში. ნაწილობრივის გვერდით, საკმაოდ ხშირია სრული ასიმილაციის შემთხვევები.

შედარებით ფართოდაა გავრცელებული რეგრესული მიმართულების ასიმილაცია, რაც ნიშანდობლივია საერთოდ ახალი ქართულისთვის. ხმოვანთა დამსგავსება უმეტესად რეგრესული და კონტაქტურია. იგი ძირითადად ზმნისწინისეულ ხმოვნებს მოუდით. როგორც ცნობილია, ქართულ პრევერბისეულ ხმოვანზე გავლენას, ჩვეულებრივ, აფიქსის ხმოვანი ახდენს.

ა. ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია

ფართოდაა გავრცელებული ხმოვანთა რეგრესული, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში კონტაქტური ასიმილაცია, კერძოდ, პრევერბისეული ა, ო, ე, ი ხმოვნების ფუძისეულ ი, ე, უ ხმოვანთა (ჩვეულებრივ, გვარისა და ქცევის პრეფიქსთა) მიერ დამსგავსება:

აი > ეი (ეე): წეექცა, მოვდოდა ჰაცხადდან ღამეში, წეექცა, დეეცა, სისხლი შაადვა დეეწყო; ადაში ძირში წყალი და ტალახია, გიექანა, ჩეეტულა; წელის ზეგდან გეეძრობდა (ერდემლი); ბათუმიდან ზეეტკენ წასლიხან ინსნებმა ბოში ნავი წეეყვანდენ; ჩვენ თურქჩე დევლაპარიკავთ, ისე არ დეელაპარიკებენ (ბერძნევი); საზღვარი რომე ჩეეკილტა, ჩემი ბიბი აქ დარჩა; ქალი-ბალანა ჩუმათ წეეყვანეს აქიდან, ისე მიცეს (ზედა მარადიდი); დანიშნული ქვები მარადიდს ჩეეტანენ; ესენი ჯუმაებზე წეეჩხუბებოდენ; იმის მემრე დეეწყებდენ ხუმრობა (ხინწკანა); არიფიე საფანჯას უმუესლეელია, არ'ნა გეეარო (შერიფიე); დედეებმა გეარენ აქა, დიდი დელე დეენახენ, თქვეს: ეჰე, ჭო, ჭოროხი! აქაა! დადგენ, აქ გააშენეს სოფელი (ნურუ ოსმანიე); აქიდან ადლიაში ყანა არ დეეჭირვება, ჭკვა ნოხსანი, ახლა დეეჭირავ თუ? (ნურუ ოსმანიე); გედი გაღმა (ერდემლი)...

აი > ეი; ოი > ეი: დისტანციური ასიმილაციის დროს იკარგება მაასიმილირებელი ი':

დედეებმა გეარენ აქა (შერიფიე); ჩვენ თურქჩე დევლაპარიკავთ, ჩვენი ლაპარიკი სხვაფურია, ქლასკურის გურჯიჯეს არ ეწყობა: მარადიდის მაჰალეები გეეხსენო? (ნურუ ოსმანიე); ახლა დეეჭირავ თუ? (ნურუ ოსმანიე); იშტე ტიკნაძეები არიან, ჰამა არ გეეყვან; ისინი თავლია'და მოვდონ, პანტალონები'და ეცვან და მე'და ჩეეყვან? (ერდემლი);

! აქ ჭოროხში იგულისხმება დიდი მდინარე, დიდი წყალი და არა საკუთრივ მდინარე ჭოროხი.

ვინმე მოვა, გელევცვი და იქნა... შვიდი წელი ერთხელად ვიყავით, იმის უკან გევეყარეთ; ნავში'ნა დადგეო თუ წახვიდეო... (ხება); წევდოდაო!; გოგო თხოვნაზე წევდოდენ დიდვანები, წინ ბიჭები არ წევდოდენ (აღლიე); ენწინ ქალები წევდოდენ, გადანყვეტდენ, მერე კაცები წევდოდენ, აჩუქვებდენ (უღიბეი)...

ამეველე ერთი ზურნაჭი, წევყვად; ძირში დასაგები, დასაჟდომელები, ისინი წამეველე; ვუხტებოდი და რა ვიცი, როდცხა პანაღწამევეზარდე; ისინი თავლია'და მოვდონ, პანტალონები'და ეცვან და მე'და ჩევცვა? (ერდემლი)...

ა' ხმოვნით ბოლოვდება ზმნისწინი გადა-, რომელსაც უშუალოდ ეკვრის ზმნის ფუძისეული -ი', რომელიც იმსგავსებს პრევერბის უკანასკნელ ხმოვანს, შემდგომი პროცესია ნაასიმილაციარი ე'-ს მიერ ზმნისწინის პირველი ნაწილის ხმოვნის ა'-ს დამსგავსება (გადა- → გადე- → გედე-: ერთი ღამეზე საზღვარი შორს გედეფტანეს (ზემო მარადიდი); ნენემა თურქჩე ლაპარიკობდა, ჰამან გურჯიზე გელევდოდა (აღათაზარი); რა ექნა, სული გელეფრჩინა; გელეფბუზა და არ იქნებაო; ფადიმე ბიბიასთან გელეფიარდი (ქვედა მარადიდი); აქა გელეფერიონ სხვაები (ნუსრეთიე)...

იგივე პროცესი ხდება ზმნის ფუძისეული -ი'სა და უ'ს სრული დამსგავსებისას:

მე არ გიდიმილოთ; პამიდორი და ბიბერი გულუერევენ, ჰამა არ იქნება, არ იჭამა...

ორი ხმოვნის ცვლა იშვიათად გვხვდება მარტივ ზმნისწინიან ფორმებშიც:

ვიყიდავთ, ვჭამთ; ყანები მეონდენ, შიმიძლიოდენ, ვმარგლიდი (ნუსრეთიე)...

ვინრო ი' ხმოვანი ნაწილობრივ იმსგავსებს ფართო ა' ხმოვანს და აქცევს მას საშუალო ე-დ. პროცესი აქ არ

მთავრდება და სრული ი' გვაძლევს ნახევარხმოვან **ჟ-ს:აი > ეი > ეჟ:**

სუთრას **დედჭირვენ**, გოგოს თარათები წინდანინ მოვლენ, დაუდებიან მასაზე და მაშინ **მედთხოვებენ** (ზემო მარადიდი); დანიშნული ქვები მარადიდს **ჩედტანენ** (ბალაბანსირთი); სედიყამა ბავში უუნევია და **წედყვანაო**; ისე არ **დედლაპარიკებენ** (ნურუ ოსმანიე)...

ი'-ს მიერ ა-ს ნაწილობრივ დამსგავსება თითქმის ყველა დასავლურ კილოს ახასიათებს (კუბლაშვილი, 1959:224), მაგრამ მარადიდულში ხშირია ი'-ს მიერ ა-ს სრული დამსგავსების შემთხვევებიც, **აი > იი**: ჩლატი მომიტანენ, წყალში ჩიმიცვინდა... (ბერძნევი); ქორწილზე არ დიმიძახვენ, მათაც არ მოვლენ (ადლიე); იქ ჩერმულში წიმიყვანენ და იქ დევნახე, ჰამა შორ; მე წელიწადში ერთ-ორჯერ ბათუმში ჩამუალ, ჰამა გარში არ გიმიშვეებენ (ხება); ჩვენ რომ პატარა ვიყავით, ბაბამა ჩიმიყვანდა ჭოროხი პირზე (ულიბეი); ნატეხარაები ჰიჩ არ გიმიგია (მურადიე); გელინი რომ მამამისის სახლიდან გამეფყვანდენდა კაცის სახში მიიყვანდენ, ბანი ეტყოდენ: თავიდან ჭკვა გიმივდა; პური ბორჩხაში დათესევდენ, აქ არ დიმიწახია; ჯენნეში ქოქში წედ-მეთქი, გივიარევი (ზემო მარადიდი); ვაჭამო-მეთქი და ზედან წიმისმია; ახლა რომ მაშინა არი და წიკვენ, მოგიტანენ, კალოზე დიგიყრიან, ისე განა არ იყო (ნურუ ოსმანიე)...

იშვიათია ე'-ს მიერ ა-ს ნაწილობრივ დამსგავსების შემთხვევები, **აე > იე**: ადაში ძირში წყალი და ტალახია, გიექანა, ჩეიფლა (ადლიე)....

თუმცა ხშირია **აე > ეე'** სრული ასიმილაციის შემთხვევები: ღამეში, წედქცა, დეეცა, სისხლი შაადვა დედწყო; ჩემი იმდენია, სხვა დემელია! (ნურუ ოსმანიე)...., მათში ჭარბობს ისეთი ფორმები, როცა აღნიშნულ კომპლექსში ჩართულია

პირის ნიშნები: იმ სოფ კად **დეგელაპარიკებოდა** თადი მე ბიბიამა; ვინმემ არ **გვერეფია**, ჰამა დაბანჯი კონუშმაქ დასალი იყო (მურადიე); **დემენვება** (საჭმელი – ჩამწ.) და რძალმა **ნემეკინდლება**; რავად მედსლებოდა და **დემელაპარიკებოდა** (უღიბეი)...

ოე > ეე: მაშინ მაშინის გზა განა ხომ რამ არ იყო, შიშა **მეგეტანა**; შეყვარებულად, **გამევეთხვე**, წავყევი და მორჩა, გათავდა; მე დედამთილს **მევენონე** (ახმედიე); ისინი **მემენონა**; ხება, ხებიდან აქ **გამევეთხვე**, ონ ალთი წლის, ათი და ექსი წლის (ხება); ისტერ **მეგენონოს**, ისტერ არ **მეგენონოს**, ილლე'და წესულიყავ (ხინწკანა)...

აუ > უუ: ტათლი-მათლი გავაკეთავთ, **წუღლებდით** წასლიხან; მოზობლეთუში წეხვალ, დიმიძახვენ, ჩემი ბიბიად თვალი **უუხვიეს**, წედყვანეს (ნუსრეთიე); ჩალიღერში **ჩუუკიდე** და დავწვი; ალთუნი **დუუმალაია**; ორი კოჭობი წითელი **წურთმია** (გულდიბი); ვოტკა **ჩუუნყია** ბოთლებით წყალში; ვოტკა უსმია და სული **გუდუურჩენია** ხოჯას (ახმედიე); ჭადი ქვილ **გუდუურევენ**, გამოაცხობენ, უინჯარი თხალში **გუდუურევენ**, თხალი ხარჩო; მე დევნახეო, სედიყამა ბავში **უუნეფია** და წედყვანაო (შერეთიე); ისე არ დედლაპარიკებენ; ნატეხარაები ჰიჩ არ გიმიგია, **უუცილებელია**; აქიდან ინგლისელები რომ ბათუმისკე წევდენ, სომეხები **გუუშვენ**; საჭმელი ვჭამთ, **დუუძახ**; ჩიტებ **გუუხარდებიან**, მოვლენ; ამას **გუდუულე**, ამნებს **გუდუულე** (მაჰმუდიე)...

ოუ > უუ: ქათმები მოვხარშავდით, მედთხოვებდენ ქათმები, **მუუყვანდით**; დღეს ამევბასრე, ქათმებს ის **მუუზილე** (ქვემო მარადიდი); ამის ხისიმს გაღმა სახლი ქონია. ყორე **გამუუჭრია** (ხება)...

ეი > იი: რატონ მოხველი და ახლა **შიმიყვარდენ** და არ'ნა დამავინყონ; გამჩენელმა თელი მურაზი **შიგისრუ-**

ლოს; სახში ძალი არაა თვარა, მე რამ არ შიშიძლია (ხინწკანა); მაშინ ამხანაგებმა გააკეთებინეს, შიგიფერებდენ ასე, ისეო და შიგიყვარდებოდა (ხინწკანა); ჩემი სოფელში ჩემი თავი არ შიშიშვენ ასკერმა (მაჰმუდიე)...

ოე > ეე: არ ვიცოდით და რა'ნა მემენატროს (გულდიბი); თუ როდცხა ძალმა გამეესხლიკებოდა, ნადი, ეტყვიან, უკან მოდიან; მეტკინება, მემეშვება, მეტკინება (ადლიე)...

ნაწილობრივ იმსგავსებს: ოი > ეი (ედ): რახი მედთხოვაფ, ხილი მედთხოვაფ, ბაქლაფა მედთხოვაფ, ქათამი მედთხოვაფ; გელინი რომ მამამისის სახლიდან გამეფყვანდენდა კაცის სახში მიიყვანდენ, ბანი ეტყოდენ; ცივი წყალთან სუტრა გახსნა, გამედლო ვოტკა (ბალაბანსირთი); ტაროსები მედშალა; გოდორ რომ მედკიდაფ, იმამ დაამძიმავს; რავადმედსლებოდა და დემელაპარიკებოდა; სოკო აყიროს სხვა ჯინსია: ებლატება ხეზე, ედარს, ამფერს გამედბამს (შერიფიე); ახლა მე ერთი რამ მეგოყვე (ხება)...

გვხვდება ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევებიც: ასე, ზომო, კატა გავაგდებდით (დენიქოდ); ღამეში ჩვენი კაცები ამდგარან, მოზობლებს უთხრენ (ბალაბანი); უმფროსი ბიჭი ბათუმში მყავს, ერთი დიდი იგზე მყავს, მოზობლათ (ქვემო მარადიდი); მიორე სოფლიდანაა ქალი (შერიფიე); მიერემა ფოთოგრაფობა მუშავობს, ესაა, სხვა... (ბერძნევი); პანად ბიბერი მაქ დარგილი (ხება)...

რაც შეეხება ხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციას, მარადიდელთა მეტყველებაში არ დაგვიდასტურებია.

ბ. თანხმოვანთა ასიმილაცია. როცა მაასიმილირებელი ბგერა უშუალოდ მოსდევს ასიმილირებულს, ასიმილაცია, ჩვეულებრივ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაწილობრივია. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ხდება მჟღერთა დაყრუება. დასტურდება ყრუთა გამჟღერებაც.

მუღერი იცვლება თუშინვიერი ან მკვეთრი ბგერით იმის მიხედვით, თუ როგორია ასიმილატორი: თუშინვიერი წინ მდგომს ათუშინვიერებს, მკვეთრი – ამკვეთრებს.

მუღერთა გათუშინვიერების ნიმუშებია: ბთ>ფთ: ვყიდუ-ლოფთ; ვაკეთეფთ; ჩემი ბიჭმა გოგო ექიმეფთან წეყვანა (ხინწკანა); ასე კოკოები, დავდეფთ, მემრე ფქვილში ამუურევთ კარგა, ცოტა ხანს დავაყენავთ და იმის მერე ასე გავშლით (გობლუქი)...

ბს>ფს: დანი, წამსლელები არიან, ყველამა მის გვარი ეძეფს... (მაჰმუდიე); იმან იმფერი კადგამუაცხოფს (ქვემო მარადიდი); მე ცოტა არ შიმიძლია; თლათ დიდი ბიჭი ქალაქში ცხოვროფს; უკრიან, პიტი–პიტი... რაცხიეფს; ის არ შიასვამ, ვოლო, ე სახლი ზედდან დავამხოფს თავზე; შვილები ყავს, შვილებმა ყველა მუშაოფს; ფეხები მანუხიეფს და ექიმთან და წევდე (ზემო მარადიდი)...

გც>ქც: ერთი ძროხა შვიდი ვინცხას შეეტოლები და დაკლიან, მოქცემენ, გაანაწილებენ (ხება)...

გქ>ქქ: ჩვენ გავკითხავთ, ხელნაწერი გაქვა, კად ხარ, არ გაქ – გაქქუსლავ (ხინწკანა)...

ცბ>ცფ: ავათაც არ იყო, უცფათ მომიკტა, ჯამთელი, კად ბალანა იყო (ზემო მარადიდი)...

გწ>ქწ: მოქწონდენ აქავრობა? (ხინწკანა)...

მუღერთა გამკვეთრების ნიმუშებია, მწ>ჰწ: დაჰწწილი არ ვაკეთეფ, იმდენი არაა, რომ დაჰწწა (დენიქოდ)...

კბ>კპ: ასე რომ მოკპინავ, გატყდეს'ნა (შერეფიე)...

გყ>კყ: კიდევ კად, ზექერიავ, გოგო არ კყავს (ზემო მარადიდი)...

წბ>წპ: აქა საცივ საწეპელ უძახიან (ეშმე ახმედიე)...

დყ>ტყ: ერთიც ავადევილი გოგო მყავს, ავატყოფი ჭკვიდან; მე და დედამთილი ვართ სახში, მარა ჩემი

დედამთილი აფატყოფია, რამეს ველარ აკეთავს...
(მურადიე)...

დისტანციური, რეგრესული ასიმილაცია გვაქვს, სჭ> შჭ:
შაჭმელი მიცენ; თურქმა ალმანიას შაჭმელი მუუჭრა;
შაჭმელში კაკალი თუ არ არი, თხილი ვხმაროფთ; ყურძნის
შაჭმელი, ვაშლის შაჭმელი, სუთლი (ულიბეი); შაჭმელი
შიჭამენ, ქათამი გაანითლავ...

იშვიათია თანხმოვანთა პროგრესული, ნაწილობრივი
ასიმილაცია: თოხით ამოვთხრი, შით თესლი ჩავყრით
(ულიბეი); ნახვარ გზაზე ერთი ყათირი მოკტა; ღმერთმა თუ
დღე არ მიცა... ახალგაზდა იყო, მოკტა; კაცი მალე
მომიკტა, თვარა... ახალგაზდა იყო ჯერ, არ ვიცო, არ
მახსოვს, სამოცისა იყო თუ არ იყო (მურადიე)...; ასევე:
ვინცალა>ვინცლა>ვინცხა; რაცალა>რაცლა>რაცხა: სახში
ვინცხა მოვდა, ღმერთმა რაცხა მომცა, ჩემი სახში
მომსლელი უჭმელი ჰიჩ ვინმე არ გავგზანი (ნუსრეთიე)...

კგ>კქ: ჩიბან დედსწავლა, ერთი დროს არ დაკარქავდა,
დედსწავლიდა; ჩვენი ენა დაგვარქეთ, კად არ არი; ამ
სოფელში სულ ქართულათ დევლაპარიკებდით; დაგვარ-
ქეთ ჩვენ ქართული (დენიქოძე)...

ხდ>ხტ: ჩემი ლაპარაკს მიხტებიან? (ნუსრეთიე)...

ცდ>ზდ, ძდ: ორმოზდაშვიდი ჟალონი ბაქლავა გავა-
კეთე მაშინ (ზემო მარადიდი); ოზდახუთი წელი იმან უგა-
მუუსლელი იმუშავა, წელიწადში ერთი თვე დასვენება;
ორმოზდაერთში აღიდებულა ღელე, წუელია; მე ოზდაათში
დაბადებული ვარ, რამითი გამოდის? (ახმედიე); იქიდამ
მოსულან, ოცი სახლი გუუკეთებიან, გამხდარა, ოზდაათი
გამხდარა (შერიფიე)... ეს უკანასკნელი ფორმები დეზა-
ფორიკატიზაციის შედეგადაა მიღებული.

დისიმილაცია. დისიმილაციის შემთხვევები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ასიმილაციისა. გვხვდება როგორც თანხმოვანთა, ისე ხმოვანთა განმსგავსება.

ა. ხმოვანთა დისიმილაცია. აბსოლუტურად ერთნაირ ხმოვანთა განმსგავსება, ჩვეულებრივ, რეგრესულია და შეიძლება იყოს კონტაქტურიცა და დისტანციურიც:

აა > ეა: კალათი ხელზე დედდეთ, ხეზე **ეხვალ** (ადა-თაზარი); ასე პანაჟ მაქოქი აქვა, საბელი ასე **ევა-ჩევა**; გარეთ არ **გევალოთ**, რიზელეები იმუშავენ (ბალაბანსირთი)...

აა > აი: **ლაპარიკით** თავი მტკივა, ვერ **ვლაპარიკოვ** ბევრს (ქვემო მარადიდი); ჩვენ თურქზე **დევლაპარიკავთ**, ისე არ **დევლაპარიკებენ** (ხება); ჩვენი **ლაპარიკი** სხვათურია, ქლასკურის გურჯიჯეს არ ეწყობა (ხება)...; მეფრა ჰუდუდმა, **ლაპარიკი** ადგა; **ლაპარიკით** თავი მტკივა, ვერ **ვლაპარიკოვ** ბევრს (გობლუქი)...

ეე > იე: თავრობამა **შიეკითხა**, ბაღში ჰადაა? (შერიფიე)...

ხდება ორი თანაბარი ღიაობის ხმოვანთაგან წინას დავინროება. დისიმილაცია, ჩვეულებრივ, კონტაქტურია და რეგრესული.

ოა > უა: იმ დუამ რა'ნდა ქნას, კროხმა თუ არ **გამუარჩია**; დაკრილი პური მაქვან, ახლა **გამუაცხე**, თიბილი; ზორით **გამუაგზანენ** (შერიფიე)...; აქ მალაზიები არიან და **მუაქვან** პური... შეიძლება დაიკარგოს პირისნიშნისეული ან ფუძისეული თანხმოვანიც: ზამთრის შიშა **მუაგროფებდი** (ქვემო მარადიდი); კად თათული **მუა** (ადლიე)...

ოე > უე: ქალებმა, **გოგუებმა** ერთხელა ისამებდენ (ბალაბანსირთი); იმან იმფერი კად **გამუაცხოფს**. მე ცოტა არ შიმიძლია (ქვემო მარადიდი).

ზოგ სიტყვაში ჯერ ხდება ასიმილაცია და ასიმილაციის შემდეგ დისიმილაცია, ასეთია, **აე > ეე > იე**: ალაში ძირში წყალი და ტალახია, **გიექანა**, ჩეიფლა (ბერძნევი)...

ეო > (ოო) > აო: აქეთ რომ ნაკელი ვყრიდი, **შამობრუნდა** და მომხტა (ქვემო მარადიდი)...

ეო > (ოო) > იო: მემრე გერჩექ ჩამოვდა **შიორე** კვირაზე (ერდემლი)...

ეა > (აა) > ია: ყველი ამეღლებდი, მანონი **შიაყენეფ**, ძი ფაფა გააკეთეფ (მაჰმუდიე); შაჭმელი **შიჭამენ**, ქათამი გააწითლავ; შაჭმელი **შიჭამონ** მათმა გაზუზუნებული, კად...; ერთს – მიქსი და მიერეს – მაქსი (ხება); ჩვენში ვარადოლა **შიშა** ვერ მოჭრი (ნურუ ოსმანიე); **შიშას** დააპობდენ ბევრი; **მაღშიაგდენ**, წეფყანენ; დათვმა მეტი **შიჭამს** (ულიბეი)...

დასტურდება მარცვალთა დისიმილაციური დაკარგვის – ჰაპლოლოგიის შემთხვევა: წელს მარტო ბოსტანი მაქ, ისიც ჭყინტათ შევჭამ და **აფერი** (<არაფერი); ეს **ნალა-ჰადკები** (<ნალაპარაკები) დერსი წერავს; **ფეხშველაფ** (<ფეხშიშველა) ვიარე კად ხან (შერიფიე)...

ბ. თანხმოვანთა დისიმილაცია. ცნობილია, რომ „დისიმილაციის შემთხვევები ქართულში უმთავრესად რ' ბგერაზე მოდის“ (შანიძე, 1973: 23).

მარადიდელთა მეტყველებაში თანხმოვანთა დისიმილაცია იშვიათია და ისიც ლ' ბგერაზე უფრო შეიმჩნევა: **ლ-ლ > რ-ლ**: **წრეფლს**, მგონი, თუთხმეტზე ქვეშ (საუბარია ლირაზე – ჩამწ.) არ იქნება (ზემო მარადიდი); ბოსტანში ყველამფერი დათესო'ნა: წვანილები, ჰამიდორი, **პირპილა** – წარე, ტათლი, ყველანადრი არი, აბა, ჭყინტი, სიმინდი, კარტოფილი, ყველამფერი დათესავ (ბალაბანსირთი)...

სუბსტიტუცია. დასტურდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთ მონაცვლეობის შემთხვევები. ესენია:

ე>ო: იმდონი წმინდა არ ვიცი (ქვემო მარადიდი); ამდონი ანჯახ ვიცი; ასე ბოფრი ხალხმა აკეთეთ (ხება); იქ ბოფრი მაჰალეა (ბალაბანსირთი); აქ ბოფრი ღორი არი (უღიბეი); თურქული ბოფრმა არ იცოდა (ზემო მარადიდი)...

ტ>ჭ: იმ პორტმა უბამა, ჭვირთებმა უბამა... (შერეფიე); იარეთ, კაცო, დელიყანი კაცები ხართ, ჭვირთი არ წიკავ, იარებით და (ერდემლი)...

ხ>ღ: ოჯალში თუ გოგო შვილი არ არი, ის ოჯალი დავსილია (მაჰმუდიე); ჩვენ დიდვანების პასუღით გევეთხვით (ახიგოჯა); ჭოროღში საზანი არი, ლოქო არი, ბუფქელი (ხება)...

მ>ბ: კად ბზეში ოთხი დღე, ხუთი დღე იმა'ნა უარო (ზემო მარადიდი)...

ს>ჰ: ამის დიდი დედესა საფექრო ქონდა... ახლა ჰადმე არ დარჩა (ზემო მარადიდი); ჩემი ბიჭი არ იამება ჰადმე წასლა, მე არ გევერევი (ხება)...

ვ>ბ: ესკი ვიცოდი, ჰამა დამბინყებია (ზემო მარადიდი); დედამთილი ჯოჯოელი იყო, დამაბინყდა გვარი (ქვემო მარადიდი); გაბინყდება-და, ბევრი დრო გეძარა; აქ თერზოღლებიც არიან, წალან დამამინყდა (უღიბეი); ზოგმა ჭკვა შუერიეს და ლაპარიკი დააბინყებეს; იმტე მამბინყდება (ნურუ ოსმანიე)...

მ>ნ: ლამაზი წყალი მოვა იმ გერში და იმიტონ (ზემო მარადიდი); რატონ მოხველი და ახლა შიმიყვარდენ და არ'ნა დამავინყონ (ხინწკანა); რატონ იმნეთს შეხედე? (უღიბეი)...

პ>ბ: ტყემალიც არის და... ქლიავიც არი, ტყუბა ქლიავი (ზემო მარადიდი)...

ნ>ლ: ისეთი თხალი გააკეთებდენ, რომე სული გეცემოდა (ზემო მარადიდი); მოვხრაკავთ თენჯერები თერი

გალი, პანაჲ მიერე გალი, სული იქნას კტრებისთინო (ზემო მარადიდი)...

ზ>ძ: მანქანაში ძიხართ, ჰადმე ყეზა არ გექნენ (ხინწკანა)...

ძ>ზ: ჯილველოჲ ნანაჲდა იზახვიდენ... (ზემო მარადიდი); კიკნაზე ჩვენების სოჲადი, იმნებიდან ვარ, აქ დიზდაროლლი, ყარაყადი (მაჰმუდიე)...

ფ>ჰ: თურქეთში რამდენი ვილაეთი არი, დაჰანტილი არიან იქა (ზემო მარადიდი).

მ>ფ: წვინდა დანით დავჭრით (ზემო მარადიდი)...

ვ>მ: ჩვენი რესმი გამოჩდა და ჩვენ გველმეშაჰი გვგონიან (ნუსრეთიე); ადრე ყველა ვაზირობდა გურჯულად, ახლა დედმინყეს (ეშმე ახმედიე)....

რ>ლ: ორმოზდაშვიდი ჟალონი ბაქლავა გავაკეთე მაშინ (ზემო მარადიდი)...

ზ>ქ: ჩვენ ისე ვერ ვიქამთ (ბერძნევი)...

ვ>ნ: ბალი წვიმამა გახეთქა. ახლა კაკალი არაა, გახეთქა, დაცვინდა (ნუსრეთიე)...

ღ>გ: თლათ გარიბანები (ღარიბანები<ღარიბები?) დარჩონილან (ადლიე)...

ღ>თ: აფათაც არ იყო, უცფათ მომიკტა, ჯამთელი, კად ბალანა იყო (ქვემო მარადიდი)...

ჯ>ჟ: ნენეჲ დაჟდებოდა, იტირავდა; გელინი მოვდა და ახლა ასე დაჟდებოდენ ქენარზე, ბიჭიც დუჟუდებოდა; ენნინ ქვედა ხინწკანას დამჟდარან; ძირში დასაგები, დასაჟდომელები, ისინი წამევლე; ბაბაჲს ბაბაჲ სუბაჲ იყო, ჟანდარმა, იქიდან წამოვდა, გააგდო, აქ დაჟდა, არ დანონდა ჟანდარმა (ბალაბანი)...ჯ>ჟ მონაცვლეობა დეზატურიკატიზაციის მოვლენადაც შეიძლება ჩაითვალოს.

სუბსტიტუციის სხვა შემთხვევებია: კიდეც რა ვიცით? ზინჯარი/ძინჯარი, ზინჯველა, ქენცხი, კუჭი (კოჭი), ჩიჩვირი ვიცი, თეელი ვიცით. ბოვრი არ ვიცი, დამვინყდა (ზემო მარადიდი)...

ბაგისმიერ ო' და უ' ხმოვნებს ენაცვლება კბილბაგის-მიერი ვ'ინი: უ (ო) >ვ: ისინი გოგოდან ბადიშია, ი ჩემი თედზეა, ანეს და, აქ ყველაღშინავრებია; მე ბევრი რამე ჭკვაში არ მაქ; აქაფრი ქართველები არ არიან: ქართველი არიან, გული აქვან (ბალაბანი); ბათუმი დაჰა კადაო, აქაფრობაზე მეტი კადაო; ნენემა ასე იტყოდა და დამჩა ჭკვაში (ნუსრეთიე)... ბევრი ჭანი გელინები მყავან, ჭანებთან მიცემული გოგვები მყავან (ულიბეი); ნადი იქნებოდა, გოგვები ერთხელა დადგებოდენ, ბიჭებმა შორიდან უყურავდენ (ადფაზარი)...

ხშირია სიტყვის ბოლოში მჟღერი ბ' თანხმოვნის დაყრუება და ფ'-დ ქცევა: ჭადი მოვზილავ, ტათა გაფაცხელეთ, ჩაფდეფ, გაზი მაქ, დაფახურეთ, გადაფაბრუნეთ, გადმოფაბრუნეთ, გამოცხვება და ვჭამ ცხელ-ცხელი; შენ საქმოფ?; რომ არ მჭირია, არც ვიმახსოვრეთ; იმან იმთერი კადგამუაცხოფს (ზედა მარადიდი)... მე ცოტა არ შიმიძლია; მერე ნაჭრები მექნება, სანთელს ამოვღეთ წყალიდან, ფეხს დავადგმეფიეთ ზედან; შვიდნაირ ძათს და შვიდნაირ ნაჭერს ვხმაროფ მაგაზე, მერე ამ ნაჭრეფს მოვჭრი, ცოტ-ცოტას შვაზე შავ ნაჭარს სახჩობელს გუუკეთეთ, დიდვანს დავჭრი, ვუხჩოლოფ და წითელ ძათს მუუკოჭავ. რამდენს მეტს უხჩოლოფ, მეტი კადა, მიერგოს'ნა; ალიქარის სხვას ვლოცვილოფ. ქვა გავაცხელეთ, წინ-წინ თახირები იყო, ახლა თახირი არ გვაქ, ალუმინის მოზდილ ქვაბ გავაცხელეთ კარგა, გინდა გობი იყოს, გინდა ქვაბი, ბავშვს თავზე ბადეს წამუახურავ და ნიორწყალიან დავასხამ, ქვაბი

დაკავებული მაქ და დანას ფუტაკუნეთ კრუგში და თან ვუკითხვი სამჯელ. ერთ ლოცვაზე ქვაბი ერთი იმხობა. ორჯელ შუელოცავ და მესამეზე ქვაბ ვამხოფ (ქვედა მარადიდი)...

დ>ლ: წასლამდი საჭმელი'ნა გაჭამოთ'ნაო, შორიდან მოხველითო (ხინწკანა); გელინო, როდს მოხველი, კად ფეხით მოხველი, აქევრობას შეეჩვიო, კად გელინობა ქნაო (ხება)...

მეტათეზისი. გვხვდება როგორც მარტივი, ისე საურთიერთო, ასევე დისტანციური და კონტაქტური გადასმის შემთხვევები: ჯილველოს ვლმარობთ; სიტყვები არ მახსოვს, დამაბინყდა, მე ხომ არ ვლმერობდი? (ეშმე ახმედიე); უნინ ილმერაფდენ, ყარშიბერი ილმერაფდენ (ხება); მემრე გერჩექ ჩამოვდა მიორე კვირაზე; მემრე ომი იქნა, რუსების საზღვარი მოიჭრა და იმის უკან ნახვარი აქ დარჩა, ნახვარი იქ დარჩა (აღლიე); ზრუგით მომქონდენ... [სიმინდი], გბები არ იყო; იმ გოგომა წიმიყვანა და მანავლა სიტყვა „რაფი“, მე ვიძახდი „მატრუშკას“ (რუს. მარშუტკა) და ასე უფრო ადვილიაო (ნუსრეთიე)...

ბგერის დაკარგვა. ბგერის დაკარგვა ხშირი მოვლენაა მარადიდელთა მეტყველებაში. ჩვეულებრივ იკარგება თანხმოვნები: ს, მ, რ, გ, ხ, ფ, ლ, ჰ, დ, ნ, იშვიათად – ხმოვნებიც, ზოგჯერ კი ერთდროულად რამდენიმე ბგერა უჩინარდება.

ს' იკარგება: ა) როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიან სახელებში: ჯენჯირზე ხორც დაკიდებდენ; ამსოფ კაცებ დევკავებდით, ასკერ ჩაბარებდით; ყურძენს დავწურავთ, ვადულებთ, თეთრ ხაჰ ჩავჭრით, ლეჩერ გავაკეთავთ (ბალაბანი)...; ბაირამზე ბევრი ხორცია, ხორცი საჭმელებ გავაკეთავთ: ხორც გადავხრაკავთ; წურ-

ვილი – ფხალ მოვხარჩავთ, გავწურავთ, კაკალ, პილპილ, ქინძ გუდუერევთ; ჰემ მან სვა, ჰემ სალდათებ ასვა; სალდათები ერთმანებ უყურვენ; ღარჭ დუუძახ; ქათმებ სიმინდი დუუყრით; ჩიტებ გუუხარდებიან, მოვლენ (ნურუ ოსმანიე)...

ხშირია ს'-ს დაკარგვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტში: ძი ფაფა გააკეთეთ; თიხი ქოთანები იყო; სიმინდი ღერ ჩალა ვიტყვით; ამ სოფელში ერთი ღვინო დალევა პრობლემა არაა...; ბაირამზე ბევრი ხორცია, ხორცისაჭმელებ გავაკეთავთ...

იკარგება კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელის -ს მიცემით ბრუნვაში: ჩემ სახში მომსლელი უჭმელი არ გაგბანის ამან (ნუსრეთიე); ჩემ ქალთან არ მომკლის (ხება)...

ს' თანხმოვნის, როგორც ბრუნვის ნიშნის ან მისი ნაწილის დაკარგვა საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ქართული ენის სხვა დიალექტებშიც.

ბ) იკარგება O₃ პირის პრეფიქსის-: სალდათმა ფიშელი მიცა; მოზობელმა თუთხმეტი კვადრატი სახლი მიცა საჩუქრათ; თავრობამა არ მიცემდა; პურმა თავი მიცემს, იმა შიან პარკები მიცემს...; რა ჭირს? (ნურუ ოსმანიე)...

გ) უჩინარდება S₃ პირის ნიშანის' „არის“ ზმნაში: მოპარვა ახლაც არი; ეს ჩემი შილი არი; ჩოქელელიც არი, ჩლეჩილი ფედნირიც არი, კურუთი აკეთავენ...; სიმინდობა არი ახლა (ნუსრეთიე)...

დ) ს-ს დაკარგვა ჩვეულებრივია ის, ეს, იგი ჩვენებით ნაცვალსახელებში: ი ჩემი თედზედა; ე რიზელია, ლაზი სხვა ჭინსია; ე ჩემი შილია, ე ჩემი დიდი აბლადა (ზემო მარადიდი)...

აღნიშნულ შემთხვევაში ს-ს დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული ქართულ კილოებში.

ე) შეიძლება დაიკარგოს სიტყვის ფუძისეული ს': არ წორდება, მეშინია, იმსოღ დამადვა აგზე, ფეხი მომტეხა; მე ისინი არ ვინავლე, სხვა ქითბები ვინავლე; რუსმა გბანიდაკაცებს, დევნავლა'და რამდენი ჯარია; კაცი სახში ყოფნაში დედამთილ არ ეამებოდა, არ გამაგბანიდა; გოგომ წავლობს, ბიჭებიც ორნავედ არიან ჯერ; სახში დევნავლეთ გურჯიჯა, ღარჯებმა გარეთ ინავლეს, გურჯიჯა არ დედნავლეს (უღიბეი); მე გურჯი არ ვარ, ნენედ გურჯია, მანავლა; შევექი ოღუმი მომიტად, აგი მიმიტად... დევნავლე (შითვირ ქოდ)...

მ' იკარგება: თანხმოვნით დანწყებული სახელების თავში: თავრობაჲ გუეგნა, ხოჯაავო; თავრობაჲ არ მიცემდა (ზემო მარადიდი); მაშინ თავრობა ვინ იყო. თავრობაზე მეტი სოფელს სოფლის მდიდარმა კაცებმა მიხედვიდენ (ზემო მარადიდი); ჟავე შედნახევდენ; სხალი ბევრი გვაქ: კალმოსათვი, სხალშექერად, ხეჭეჯურად...; ენიშტე, დედი, მე ძიმე ვარ თუ ჩემი აბლაღო? ბალდიზმა უთხრა; ჭარხალა, წვანე თომათისი – ჟავეს ვაკეთავთ; ჩხაველად ყურძენი თქვენებმა ყიდდენ, დავრგი, ჟავე გამოვდა; თლათ გარიბანები (ღარიბანები<ღარიბები?) დარჩონილან (ზემო მარადიდი); ასე პანად გოგო, არ გავათხოვ, ჭადი დაკრა არ იცისო, ანე უძახდა; თლათ დიდი ბიჭი ქალაქში ცხოვროფს; სამ თვარეს ვლოცულოფ, სამჯელ ერთ თვარეში; იქიდან აქავრი თაშეღარებოდენ ჩიქუნეთის მილლეფი; მერე ძალი მოვა და გააკეთებს ახალები. სახში ძალი არაა თვარა, მე რამ არ შიმიძლია (ქვედა მარადიდი); კტარმაც იქიდან ელის, [სედეყე] მიცეს'და; ბოსტანში ყველამფერი დათე-სო'ნა: წვანილები, პამიდორი, პირპილა – წარე, ტათლი (ბალაბანსირთი); წვანე კაბა მეცვა და თეთრი გადამახურენ თავზე (ახმედიე)...

რ' იკარგება: ა) თანხმოდანთა თავმოყრისას: უშიშროებას მუზიკანტობა იმიტადღეს (ხება); „აჭარული ხაჭაპურის“ ფორმაც პტყელძირა ნავისგან არის აღებული (უღიბეი) ; კაცი მალე მომიკტა, თვარა... ახალგაზდა იყო ჯერ, არ ვიცი, არ მახსოვს, სამოცისა იყო თუ არ იყო; ღმერთმა თუ დღე არ მიცა... ახალგაზდა იყო, მოკტა; ის გემიელი იყო უმთო, თიბილ-თიბილი; მერე გავაპტყელვებით (ქვემო მარადიდი); ჩამი არი, წითელა არი, კო არის, წყავის არი, აკასია აქაც არი, ტყეშიც არი, მოჭარ, გიეთინება (უღიბეი)....

ბ) ხმოვნებს შორის: წელს მარტოდ ბოსტანი მაქ, ისიც ჭყინტათ შევჭამ და ააფერი; წელს მარტოდ ბოსტანი მაქ, ისიც ჭყინტათ შევჭამ და ააფერი; მაშინ ღუხოვკა არ იყო და ააფერი (ქვემო მარადიდი); ის გემიელი იყო უმთო, თიბილ-თიბილი; ეს ნალაჰადკები დერსი წერავს; წედქცა, მოვდოდა ჰაცხადდან ღამეში, წედქცა, დეეცა, სისხლი შაადფა დედნყო (ახმედღიე)...

გ) სიტყვის თავში: ბათუმურად, კაცი თავად – თველზე მოვა...; ერთი ქალმა ნუხ-ფეილამბერთან მოსულა და ხებერი მომეცი მეო, ძე უნიკვიდა ფეილამბერს (ნუსრეთიე); ახლა ძე გახდა, წინ ხობოს მივართვი, მემრედენი მოვწველე იშტე; ძალი ბიჭმა შიარჩია, შუეყვარდა (გულ-ღიბი) // რძალმა თხილი კრეტს თურქეთში (ქვედა მარადიდი)...

შეიძლება ერთი ბგერის გაჩენამ გამოიწვიოს მეორე ბგერის დაკარგვა: და უმთო კადა შენი გამოცხოვბილი (ხინწკანა)...

ვ' იკარგება: ა) ფუძეში თანხმოდანთა შორის: მე დევნახეო, სედიყამა ბავში უუნევია და წედყვანაო; ახლა ჩემი ბაბუად რომე ცამეტი ბავშით წევდა, ერთი გზაზე მოკტა

(ზედა მარადიდი); ართვინის ზეიდან სოფელია, მამანმინ-
დას წინ (ხემა)...

ბ) გზავნა' თუძეში ა' ხმოვნის შემდეგ: რუსმა გზანიდა
კაცებს, დეენავლა'და რამდენი ჯარია; გოგო გაგზანილი
მყავდა... იმთერით ნისლი იყო, აქიდან იგზე კაცი ვერ იცნობ-
დი; ჩემი ნენემა არ გამაგზანიდენ ჰადმე ლელეებში, თერები
იქნებო...

გ) რიცხვით სახელებში: მე ექსი ბალანა მყავდა და ერთი
ამ ბარაჟი ყაზა იქნა და მიმიკტა ერთი შვილი; ჩემი ბაბოს
ექსი შვილი ყავდა (ეშმე ახმედიე); დედედს ძმები ჩვიდმეტ-
თრამეტი წლით ადრე მოვდა (ეშმე ახმედიე)...

თანხმოვანთკომპლექსში იკარგება ხ', ფ', ლ'
თანხმოვნები:

იკარგება ხ': დამნიფებული თუ არაა, ვერ შეჯამ,
მოგარჩობს...; ცამეტი ბავში, ორი წლიდან დანყობილი
თუთხმეტ წლამდი; წრეელს, მგონი, თუთხმეტზე ქვეშ
(საუბარია ლირაზე – ჩამწ.).

იკარგებაფ': ჰემ მაგხოში, ჰემ ქვილი იქნებოდა; ვაქვევთ
და წისქვილზე...

იკარგებალ': ჩვენ ასე, წვიმა დამანაპენ, სახში წამუალთ;
იმას სახში რუმე გაატანდენ, მის სახში წეღლებდა (ზემო
მარადიდი)...

ჰ' იკარგება როგორც ირიბი ობიექტური პირის პრე-
ფიქსი: ხელიც თოფალი ქონდა, საქმე ვერ იჯებოდა; ქონდა
ერთი ორმოზდაათი მეტრო თოკვი; დედედ თუჯარი იყო,
მაღაზა ქონდა; ბალანას გონჯი ავადევლობა ქონდა; ამას
კოკოლეთხევი ქვია (ზემო მარადიდი)...

დ' იკარგება სად' (>ჰად) გმნისართში: სხვა ჰა დიგინახავ,
დეიდავო (ქვემო მარადიდი); იმდონი გურჯი ჰა ვიცი, არ
მგონდება, მბინყდება, ჯოვ! (ახმედიე)... ასევე: დამაბინყენ

ყველამთვერი ჩვენ დეტალმა (დედჯალი//დერჯალი).
დეჯალი მუსლიმების დუშმანია (ნუსრეთიე)...

ნ' იშვიათად იკარგება და ისიც - კენ' თანდებულის
ბოლოკიდურა პოზიციაში, თუმცა შენარჩუნებულიც ხშირა-
დაა: ასე, ზომო, სოფლებისკე ქალი არ მიცემდენ, არ
გავათხოვდით (ზემო მარადიდი); ზედთკე ბოვრი ჩაი არი
(ზემო მარადიდი)... // ჩვენი უკან, დაჰა ზედთკენ არათ-
ოლლი იყო (მაჰმუდიე)...

ხშირია ორი ბგერის დაკარგვის შემთხვევები: არ
მიქნიაო, მარა (<მაგრამ) წამოვალო; რუსის ყურძენივო,
იტყვიან, მარა იქიდან მოსულია (მელენი აღზი); ავათაც არ
იყო, უცუათ მომიკტა, ჯამთელი (<ჯანმრთელი), კად ბალანა
იყო; გვალი (<მრგვალი) თავები რომაა ტარში, ჩავასხამ;
ნენედან მახსოვს, დანახული არ მაქ (<მაქვს); ახლა
იმთვერი თიქრი ჰა მაქ; სიცოცხლეში ერთი'ნა გადმოვდე,
ჰამა ქედუი არ მაქ; ძროხა გვყავს, ბახჩა გვაქ, სიმინდი გვაქ;
ახლა ი ჭკვა არ მაქ, დავბერდი და; ბახჩა გვაქ, სიმინდი
გვაქ...; დედამა რაცხაც მეტყოდენ: შენ ეს'ნა (<უნდა) ქნა, შენ
ეს'ნა ქნა, იმას ვიქმოდით (ნუსრეთიე)...

კად' გვხვდება კარგად' ზმნიზედისა და კარგი ზედსარ-
თავის მნიშვნელობით, რომელიც მთელი სამხრული
მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი: წალან კად იყავით,
ახლა რა იქნა, რაისთვინ წედკინდლეთ? (ნუსრეთიე); კაცზე
მეტი კად არ'ნა თქვაო, არ'ნა მუელობოო, არ შექჩესო.
კარი'ნა დუუტოო, დანღლიშობაქნას...; მე სიძეები კად მყავს
და ძალიც კად შემეყრება, ალლაჰა შექერ (ნუსრეთიე)...

მარადიდულში იშვიათია ხმოვანთა დაკარგვის
შემთხვევები:

ა) ი' იკარგება ვიდ' ფუძიან ზმნაში: წევდოდაო!; გოგო
თხოვნაზე წევდოდენ დიდვანები, წინ ბიჭები არ წევდოდენ

(ადლიე); ენწინ ქალები წევლოდენ, გადაწყვეტდენ, მერე კაცები წევლოდენ, აჩუქებდენ (უღიბეი)...

ბ) ი'-ს დაკარგვა მოსდევს ასიმილაციას: დედებმა გეარენ აქა (შერიფიე); ჩვენ თურქჩე დევლაპარიკავთ, ჩვენი ლაპარიკი სხვათურია, ქლასკურის გურჯიჭეს არ ეწყობა: მარადიდის მაჰალეები გევხსენო? (ნურუ ოსმანიე); ახლა დევჭირავ თუ? (ნურუ ოსმანიე); იშტე ტიკნაძეები არიან, ჰამა არ გევჯან; ისინი თავლია'და მოვდონ, პანტალონები'და ეცვან და მე'და ჩევცვა? (ერდემლი); ვინმე მოვა, გელევჯვი და იქნა... შვიდი წელი ერთხელად ვიყავით, იმის უკან გევყარეთ; ნავში'ნა დადგეო თუ წეხვიდეო... (ხება)...

გ) ი' იკარგება სხვა შემთხვევაშიც, რომელიც შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს: ამის დიდი დედესა სათეფრო ქონდა... ახლა ჰადმე არ დარჩა (ზემო მარადიდი)...

ე' იკარგება სიტყვაში – ნახევარი': გურჯი ნახვარი ვიცი, დანი (ნურუ ოსმანიე)....;

ასევე განუსაზღვრელობით რამე' ნაცვალსახელში, როცა ის უარყოფითი არათფერი' ნაცვალსახელის მნიშვნელობითაა გამოყენებული: რამ არ გამიმღერა (ნუსრეთიე); შენ ჭკვა არ ქონებია, შენ რამ არ გინდა დანერა, შენ გიგითავებია სიცოცხლე რამ არ მაძლევენ რომ!; რამ მასკან ჯეზა არ მიმივდეს?; ახლა ბოსტანში ჰიჩ რამ არაა; ნენე-ბაბამა შენ გონჯი რამ ხომ არ გეტყვის; მე რამ არ შიმიძლია; ხაზირი ვჯამ, მეტი რამ არა (ზემო მარადიდი).....

უ' იკარგება ნაწილაკის მნიშვნელობით გამოყენებულ უნდა' ზმნაში: სანდა წევდე, არ ვიცი (ხება); ახლა რანდა ქნა? (ნუსრეთიე); მიორე დანიშნული მყავს, ზამთარში მევეყანო'ნდა იშტე (უღიბეი) ...

ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება როგორც უწინ, ასევე წინ' ზმნიზედა: იქიდან წამოსლა ყოფილა; სოფელი

წინ მალლა იყო, ახლა თელგან გედვსო (ნუსრეთიე)//ზათი უწინ თხალი და ლობია იყო ბაშ დემელი (ეშმე ახმელიე)...

იშვიათად იკარგებაა: არ მგონდება იშტე (ულიბეი); ბელელიე ბაშქანის სახელი არ მახსოვს, დამმინყდა (ბალაბანი); ასე წერია ქითბებში (ბალაბანი)...

ბგერის გაჩენა. მარადიდულ კლარჯულში არ არის იშვიათი ბგერის (ძირითადად თანხმოვნის) განვითარება:

ვ' ბგერა განვითარებულია: ა) სხვათა სიტყვის ნაწილაკის, ო-ს წინ: თავრობამა გუეგნა, ხოჯაავო; კუდიანივო ახლა აღარ ვიძახ (ულიბეი); ნენევო, შენო დახარჯავო, მე შიგინახო...; სხვა ჰა დიგინახავ, დეიდავო (ქვედა მარადიდი)...

ბ) ხმოვნებს შორის ან თანხმოვნის მეზობლობაში: ხებას გურჯების ლაპარიკვი და მარადიდის ლაპარიკვი სხვაა; კვირაზე'ნა წავსულიყავი, კვირაზე ვერ წვეელი, ჩემი კაცი მუშავობაზე მურლულში წევდა; ჩემი კაცმა რამეს არ მეტყვოდა დიდვანებთან; იმდონ საქმეებში მუშავობდა; საქმობენ, მუშავობენ თეელი; ბიძამ დაჰა ბევრი ამბევები იციან 9ქვედა მარადიდი); გოგო თხოვნაზე წევდოდენ, წინ ბიჭები არ წევდოდენ. ენწინ ქალები წევდოდენ, გადანყვეტდენ, მერე კაცები წევდოდენ, აჩუქებდენ; ყორავოსაც გავეკრავთ...; მე ვიმუშავო, შენ შეხედავ, შენ იმუშავო, მე შეეხედავ; აქიდან ადლიაში ყანა არ დეფჩირვება, ჭკვა ნოხსანი, ახლა დევეჭირავთუ? (ნურუ ოსმანიე); გუშინ ჩად კრეფვაზე მოსული იყო (ქვემო მარადიდი); ბალნების გაჩენგამდე თლათ ასე ვილაპარიკვებდით, ბალნები გიმიჩდენ თურქჩებზე გადავატრიალეთ (ხება)...

შ' უმეტესად ჩართულია განსაზღვრებით ნაცვალსახელში – ყველაშიფერი, გვხვდება სხვა შემთხვევებიც: მე რამე კეთება არ ვიცი, ახლა დავბერდი, ნენი, უწინ ყველაშიფერი

ვაკეთებდი. ახლა ხაზირი გოგომ მედტანა: კადმალი, მანონი, ყველამფერი და ვჭამთ და ვართ; ბოსტანში ყველამფერი დათესო'ნა: წვანილები, პამიდორი, პირპილა – წარე, ტათლი, ყველანადრი არი, აბა, ჭყინტი, სიმინდი, კარტოფილი, ყველამფერი დათესავ; რამ არ ვიცოდი, იმსოვ დამანავლა ყველამფერი; ყველამფერი ლამაზი მაქვან; შაჭმელი, ყველამფერი გაზავდებოდა (ზემო მარადიდი)...; მოვდა ნიკოლაი და იმცხოვრა ხალხმა. ხალხს შეღავათი მიცა (ქვედა მარადიდი); უმფროსი ბიჭი ბათუმში მყავს, ერთი დიდი იგზე მყავს, მოზობლათ (ქვემო მარადიდი)...

რ' -ს განვითარება იშვიათია, შეინიშნება თითო-ორთ-ლა შემთხვევა სიტყვის თავში: რეჟვანი ირანკურავს მოვა, შორ არაა ძროხა, რეჟვანის ხმაა (ადათაზარი).

ნ' ჩნდება ძირითადად ზმნებში ხშული თანხმოვნის შემდეგ: ღმერთმა გახარებული გამყოფნოს, კად ბედი მოქცეს; ჯამიე კარიდან ღელე-ღელე ზედთ წუყვანია, იქ დუუუდუმლია, ულაპარიკნია, ულაპარიკნია, გათენებას გუუშვიან (ნუსრეთიე)...

ხმოვანთაგან ჩაერთვის ი', ო' და ე', რომელიც უფრო სრულხმოვნობით უნდა აიხსნას: ის გემიელი იყო უმფო, თიბილ-თიბილი...; კიბილი ვერ გეკეთე და ღარჭები მეკინტლებიან (ახმედიე); ძროხის ღარჭი – ხობო (ადათაზარი); სალტეში ხობოს შევადებდით გაზდომამდი, მერე დავაბმიდით (ულიბეი); ახლა იმის მამამისმა ძალიან დიდი პატივი მეცენ; ორი-სამი წელიწადია ჯამიეში ვერ მივალ (ჩიჩექვინარი); ჩვენ რომე სკოლაში მივედით, თურქულად არ ვიცოდით; საზღვარი რომე ჩეკილტა, ჩემი ბიბი აქ დარჩა (ზემო მარადიდი)...

კონტამინაცია. კონტამინაციის ნიმუშები ცოტაა და ამათ-გან ნაწილი კომბინირებული აფრიკატიზაციის შედეგადაა მიღებული:

დზ >ძ: ვთქვი, ახლა ამ ქალს რა უნდა? გავხედავ, **გვერძე** დიმიდგა (ნუსრეთიე)...;

ვა>ო: **მარტვაჯ** რომ ვიქნებოდით ოდაში, იქ დემე-ლაპარიკებოდა (უღიბეი); მე **მარტვაჯ** ვარ, ისე იქნა (გომლუქი)....;

ვე>ო; ვე>უ: ჩემი ერთი ბიჭი **ქოშო** ცხოვრობს (ქვემო მარადიდი); **ქოშო** ბოსტანში მაკიდონი დავთესე, სიმინდი, ლობიო, ხაპიც დარგილი მაქ (ხინწკანა); **ქუშოჯ** სოფელიც გურჯია, ახლა გადარევლია, იქავრი სახელები აქ მუუტანიან (ბალაბან სირთს გულისხმობს, ზემო მარადიდის უბანს – ჩამწ.).

როგორც საანალიზო მასალიდან გამოიკვეთა, მარადიდულ კლარჯულ მეტყველებაში ძირითადად გვხვდება **ჯ** და უმარცვლო **უ** სხვადასხვა პოზიციაში. **ჯ** უმეტესად სიტყვის ბოლოში **ა', ე'** და იშვიათად **ო'** ხმოვნების შემდეგ, ასევე, ხმოვანსა და თანხმოვანს ან ხმოვნებს შორის.

უმარცვლო **უ'** მარადიდულში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად არის მიღებული.

ფონეტიკურ პროცესთაგან დამახასიათებელია: ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა, ბგერის განვითარება. გვხვდება ანალოგიის, აფრიკატიზაციის, დეზაფრიკატიზაციის, სრულხმოვნობისა და კონტამინაციის შემთხვევებიც, თუმცა ბგერის დაკარგვა ყველაზე ხშირი მოვლენაა. ჩვეულებრივ იკარგება თანხმოვნები: **ს, მ, რ, ვ, ხ, ფ, ლ, ჰ, დ, ნ**, იშვიათად – ხმოვნებიც, ზოგჯერ კი ერთდროულად რამდენიმე ბგერა

უჩინარდება. ასევე ფართოდაა გავრცელებული რეგრესული მიმართულების ასიმილაცია, ძირითადად, ხმოვანთა და იშვიათია დისიმილაციის შემთხვევები.

გამოყენებული ლიტერატურა და შემოკლებები

კლარჯ. – მ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბ.

შავშ., 2011: – მ. ფალავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, მონოგრაფია, თბ.

ფალავა, 2017: მამია ფალავა, მაჭახლელი მუჰაჯირები, ბათუმი, 2017.

ნიუარაძე. 1975: – ნიუარაძე შოთა, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1975.

კუბლაშვილი, 1959: – კუბლაშვილი კ., ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XIX, 1959.

Natela Phartenadze

Phonetic peculiarities in the Maradidi Klarjuli

Summary

In terms of phonetic processes, the following is characteristic to the speech of Maradidi Klarjuli: assimilation, dissimilation, substitution, metathesis, loss of sound, sound development. Cases of analogy, affrication, deaffrication, full-vowel and contamination are also found, although cases of sound loss, emergence and regressive assimilation of vowels predominate. As for the sound composition, **q** and **ɣ** without syllable are confirmed. Out of morphological peculiarities we can single out:

**თალიკო დავითაძე, თემურ ავალიანი
რიტუალური არგო და ინტერნეტკომუნიკაცია
(პრობლემის შესწავლის ზოგიერთი ასპექტის შესახებ)**

თანამედროვე ინტერნეტ-კომუნიკაციის ეპოქაში, რომელმაც განუზომლად გაზარდა, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა საკომუნიკაციო სივრცის შესაძლებლობები, სოციალური დიალექტოლოგიის პრობლემატიკა ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო და აქტუალურ სფეროდ იქცა. სულ უფრო ნათელი ხდება, თუ საკვლევად რაოდენ ამოუწურავია ეს მიმართულება, რომელშიც სოციალური დიალექტები ჯერ კიდევ არც კი არის ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოჩნული (ლომთაძე, 2010: 10). ამა თუ იმ კონკრეტული მასალის ანალიზი სულ უფრო მეტ პასუხ-გაუცემელ კითხვას და კვლევის ახალ პერსპექტივას აჩენს. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ინტერესი აღნიშნული სფეროსადმი. კერძოდ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ინტერნეტ-სივრცეში ფართოდ დამკვიდრებული სოციო-ლექტის ერთ-ერთმა ნაირსახეობამ – არგომ, კონკრეტულად – ე.წ. რიტუალურმა არგომ, რომელიც ჯერ კიდევ ნათლად გააზრებულს კი არ არის. უფრო მეტიც, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, თვით „არგოც კი არაა ლინგვისტიკაში კარგად შესწავლილი, მოუხედავად იმისა, რომ სორბონის უნივერსიტეტში არსებობს არგოტოლოგიის ლაბორატორია“ (ჯაში, 2002: 71).

ჩვენი აზრით, სწორედ არგოს ამ ნაირსახეობას უნდა მიეკუთვნოს ე.წ. „სასიკვდილო ინტერნეტთამაშების“ მოყვარულთა, უფრო ზუსტად, ამ თამაშებში ჩათრეულთა გასაი-

დუმლოებული სოციალური ჯგუფების მეტყველება. კონკრეტულად, წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ რიტუალური არგო, როგორც სოციოლინგვისტური ცნება, მისი სტატუსი და ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ სივრცეში ფუნქციონირების ზოგიერთი თავისებურება.

ქართულ ენათმეცნიერებაში ტერმინს „**რიტუალური არგო**“ ვხვდებით ბ. ჯორბენაძესთან, რომელიც წერს: „**ჟარგონისა და არგოს მრავალი ნაირსახეობა არსებობს. ცნობილია, მაგალითად, რიტუალური არგო. ე. სეპირი ასახელებს ამის ერთ ნიმუშს: ესკიმოსი ექიმბაშები იყენებენ განსაკუთრებულ ლექსიკას, სავსებით გაუგებარს იმათთვის, ვინც მათი ამქრის წევრი არ არის**“ (ჯორბენაძე, 1989: 50) მკვლევარი ამ ტერმინს განმარტავს როგორც „**მაგიურ რიტუალებთან დაკავშირებულ არგოს**“ და ხაზს უსვამს, რომ ის მსოფლიოს მრავალ ენაშია დაფიქსირებული (ჯორბენაძე, 1989: იქვე). მკვლევარი ახდენს არგოს ნაირსახეობათა კლასიფიკაციას, რომელშიც ხუთიდან სამ სახეს ქართული ენის მასალის მაგალითზე გამოყოფს. ესენია:

1. **ქერუმების ენა**, რომელიც იქმნებოდა სულებთან სალაპარაკოდ;

2. **ხატის ანუ ჯვართენა** – გვხვდება ხევსურეთში, სადაც ამ ენაზე *ქიხვის თავ-რქის გამოყოლება* ნიშნავს სიკვდილიანობას, მტრის თავდასხმას; *ოქროს საცრის თვალზე დაფარება* – დაბრმავებას; *მზექალის მიერ ქერ-ოქოთ გადმოფანტვა* – გვალვას; ხარს ბუღაური ჰქვია; მამაკაცს – *ოქროს ბურთვი*; ქალს – *ბიჟიონი*; ღამეს – *ბნელი*; მზეს – *მზექალი*; მოხუც კაცს – *ბერხუნდი* და *სხვა* (ბ. ფოჩხუა, თ. ოჩიაური).

3. **შელოცვის ფორმულები** – „*მე ვარ ბედი ბედნიერი, ტურფა, სახე მშვენიერი, ამოვალ ვერცხლივითა, დავჯდები ცეცხლივითა. რა არი შენი წამალი? წყლის შვილი*“ (=ბაყა-

ყი), ზღვისა ქათმისა შვილი (=წინილა). დაშაქრული დაადოს“ (შელოცვა ბედნიერისა; პ. უმიკაშვილი) (ამის შესახებ იხ.: ჯორბენაძე, 1989: 50-51).

4. „ქაჯური ენა“, სადაც სიტყვები გადასხვაფერებულია ყოველ მარცვალზე რაიმე ნაწილაკის დართვით: *მონავინა-დანა ან მონდერვინდერდა – (მოვიდა)*;

5. **მონადირეთა ტაბუირებული მეტყველება** („ტყის ენა“) – რიტუალურ არგოს ამ ნაირსახეობაზე საუბრობს თ. გითოლენდია, რომლიც წერს, რომ ჩვეულებრივ აფხაზურ მეტყველებაში თოფს ა-შაჟ/ენოდება, ხოლო მონადირეთა ტაბუირებულ მეტყველებაში ა-გაფ (გითოლენდია, 2014: 51). ბ. ჯორბენაძის, ზ. კიკნაძის, ა. ჭინჭარაულის და სხვათა კვალდაკვალ, მკვლევარი ქართული რიტუალური არგოს ერთ-ერთ ნაირსახეობად თვლის ჯვართენას, რომელსაც ასე განმარტავს: „ჯვართენას ეძახიან ორასიოდე სიტყვა-შესიტყვებას, რომელთაც ხატის მსახურნი და ქადაგ-მკითხავნი იყენებდნენ რიტუალების შესრულებისას“ (ჭინჭარაული, 2000: 151); რიტუალური არგოსადმი მათი მიკუთვნება ხდება შედეგი ნიშნების საფუძველზე:

1. **ჯვრის ზებუნებრიობის ხაზგასმა**. ამ „ენის“ შექმნა საჭირო იქნებოდა ჩვეულებრივ მოკვდავთა სასაუბრო ენისაგან ღვთისშვილთა „ენის“ განსხვავების მიზნით.

2. **ტექსტისთვის საკრალურობის მინიჭება**: ეს არის „სპეციალური“ ენა და ქადაგისაგან მოითხოვს სპეციალური ტერმინოლოგიის აუცილებელ ცოდნას.... ეს ლექსიკა ყოველდღიური ურთიერთობის დროს ჯვართენაში გამოყენებული მნიშვნელობით არ იხმარება (გითოლენდია, 214: 51-52).

3. **კავშირი მაგიურ რიტუალებთან**. ასე, მაგალითად, ქერუმები საგანგებო ენას ქმნიდნენ სულებთან სალაპარაკოდ. ან კიდევ – ხევსურეთში სანადირო ადგილთან მი-

სვლისას კლდის პირველ შესასვლელში მონადირე სანთელს ანთებდა, საკმეველს აკმევდა, ილოცებდა და ხმელგანატეხს შეჭამდა (სიხარულიძე, 2006: 104).

4. სწრაფვა საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან მისი **გასაიდუმლოებისკენ** (რის გამოც არგოს კრიპტოლექტს, ანუ „საიდუმლო ლექტს“ უწოდებენ: „პროფესიული საიდუმლოების გაცემა ხშირად გაკოტრებას ნიშნავდა. ამ საიდუმლოს დაცვა შესაბამისი არგოს გამომუშავებას საჭიროებდა, რომელიც მას ამქრის წევრისათვის გასაგებს, სხვებისათვის გაუგებარს ხდიდა“ (ჯორბენაძე, 1989: 50-51). მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჯვართენაში ეს ნიშანი მკათიოდ არ არის გამოკვეთილი, რაც არგოსადმი მის მიკუთვნებას ართულებს. ასე მაგალითად, ზ. კიკნაძის აზრით, არ იქნება სწორი, თუ ჯვართენას საიდუმლო ენად მივიჩნივთ, რადგან ის ფაქტობრივად ყველასთვის მისაწვდომია, გასაგებია და, მაშასადამე, არავისთვის არის საიდუმლო. ამიტომ ჯვართენის ბუნდოვანება შეიძლება ჩაითვალოს მისი „საიდუმლო სტატუსის“ ბუნდოვან სახედ (კიკნაძე, 1997: 148);

5. რიტუალური არგოსთვის დამახასიათებელია სოცუმის განსაზღვრული მოცულობაც, მაგ: მონადირეთა ენა ოჯახური არგოს ნიმუშია, ჯვართენა თემისთვისაა დამახასიათებელი და ა.შ.

ჩვენი აზრით, ჩამოთვლილ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს და შესაბამისად **რიტუალური არგოს კიდევ ერთ ნაირსახეობად უნდა ჩაითვალოს ინტერნეტსივრცეში მოქმედი დახურული და გასაიდუმლოებული ჯგუფების „ენებიც“**, რაც ჯერ-ჯერობით საერთოდ შეუსწავლელია. ეს ჯგუფები სხვადასხვა ნიშნით იქმნება. მათ შორისაა ე.წ. „სასიკვდილო ინტერნეტთამაშებში“ ჩათრეულ მოზარდთა ჯგუფები, მაგ.: „**ლურჯი ვეშაპი**“, „**მომო**“ და სხვები.

ლურჯი ვეშაპის (რუს. Синий кит) შესახებ, რომელიც მთლიანად სოციალური ქსელის ფენომენია, ჯერჯერობით ძალიან მწირი ცნობებია: თამაში შექმნილია 2013 წელს ერთ-ერთი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობიდან გარიცხული ვინმე ფილიპ ბუდეიკინის (ფსევდონიმი ფილიპ „ლისი“) მიერ. როგორც თვითონ ამტკიცებს, მისი მიზანი იყო „საზოგადოების განმენდა“ იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც, მისი აზრით, არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ. ის 2016 წლის 15 ნოემბერს დააკავეს.. თამაში არსებობს რამდენიმე ქვეყანაში. პირველად გამოჩნდა რუსეთში 2013 წელს.

ტერმინი „ლურჯი ვეშაპი“ მომდინარეობს ნაპირზე გამორიყული ვეშაპების ფენომენისაგან, ვეშაპი კი თვითმკვლელობის სიმბოლოდაა მიჩნეული. თამაში დაფუძნებულია მონაწილეებსა და კურატორებს შორის დახურულ სოციალურ სივრცეში ვერბალურ ურთიერთობაზე. იგი შეიცავს დავალებების სერიას, რომლებსაც კურატორები იძლევიან. ზოგიერთი დავალება მოთამაშის თვითდაზიანებამდე მიყვანასაც მოითხოვს. **უკანასკნელი დავალებაა თვითმკვლელობის განხორციელება.** დავალებების სერია, რომელთა შესრულებაც 50 დღეში უნდა დასრულდეს თვითმკვლელობით, მოიცავს დილის 4:20 საათზე გაღვიძებას, სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებას. თამაშის მონაწილეები ვალდებული არიან პარალელურად უსმინონ მუსიკასა და უყურონ ვიდეოს, რომლებსაც მათ კურატორები უგზავნიან. მოთამაშეს მკაცრად ეკრძალება თამაშთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის გასაჯაროება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრებიან ახლობლების დახოცვით. თამაშთან დაკავშირებული თვითმკვლელობის პირველი შემთხვევა მოხდა 2015 წლის

მიწურულს რუსეთში და თანდათან გავრცელდა პოსტსაბ-ჭოურ ქვეყნებში.

ვეშაპისა და ლურჯი ფერის სიმბოლიკას ბიბლიური ისტორია აქვს – ჯერ-ერთი, ვეშაპი განასახიერებს ბიბლიურ ვეშაპს, რომელმაც იონა გადაყლაპა, ლურჯი ფერი კი – სასონარკვეთილების სიმბოლოა. მეორეც, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, უკვე რამდენიმე ათწლეულია ლურჯი ვეშაპები ათეულობით, ხან ცალკე და ხან – კოლექტიურად, ოკეანიდან ნაპირზე, ხმელეთზე ხტებიან და თვითმკვლელობით ასრულებენ სიცოცხლეს. ფენომენი აქამდე აუხსნელია მეცნიერების მიერ.

ჩვენი კვლევის საგანი, ცხადია, არის არა საკუთრივ თამაში, როგორც ასეთი, არამედ თამაში, როგორც ვერბალური ზემოქმედების პროცესი და მისი ე.წ. ენა, როგორც არგო. დახურულ სოციუმში, რომელიც თამაშის მონაწილეთა და მენტორთა სახითაა წარმოდგენილი, მისი უმთავრესი დანიშნულებაა არა იმდენად წმინდა საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება, არამედ მონაწილეთა შეკვრა, ერთ დახურულ ჯგუფში გაერთიანება და სხვა სოციალური ჯგუფისგან განსხვავება. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად გამოვკვეთოთ ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული „გასაიდუმლოებული ჯგუფების“ ენას ვთვლით არგოს ნაირსახეობად (რიტუალურ არგოდ). სიღრმისეული ანალიზის გარეშეც კი აშკარაა, რომ ეს ნიშნები მსგავსი თამაშების ენას მრავლად აქვთ. ესენია:

1. ეს არის არა უბრალოდ დახურული, არამედ მკაცრად გასაიდუმლოებული ჯგუფის ენა. მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალის გასაჯაროების შემთხვევაში მოთამაშეს ემუქრება უმკაცრესი სასჯელი;

2. აღნიშნული ენის უმთავრესი ფუნქციაა **მაქსიმალური ზემოქმედების მოხდენა**. ამიტომ ის დაკავშირებულია **სიმბოლოებთან** (ლურჯი – სასონარკვეთილების სიმბოლო, მათ შორის ბიბლიურ სიმბოლოებთან (ბიბლიური ვეშაპი – რომელმაც იონა გადაყლაპა), **მუქარასთან**, **შანტაჟთან**, **არაფერბალურ საშუალებებთან** (მაგ. მუსიკა) და სხვა უამრავ ხერხთან. აშკარაა, რომ ყოველივე ეს კეთდება ტექსტისთვის რაც შეიძლება მეტი **საკრალურობის მინიჭების მიზნით**;

3. თამაშის პროცესი ემსგავსება **ერთ დიდ რიტუალს**, რომელიც თავის მხრივ სხვა უამრავ რიტუალს მოიცავს. მაგალითად, თითოეული დავალების შესრულების შემდეგ მოთამაშე ვალდებულია დამამტკიცებელ საბუთად ატვირთოს ფოტოსურათი ან ვიდეო. მეტიც, ზოგჯერ ითხოვენ, უშუალოდ თვითდაზიანების პროცესის ვიდეოზე გადაღებასაც კი. თამაშის ბოლო ეტაპზე ითხოვენ მაჯაზე ლურჯი ვეშაპის გამოსახულების ამოტვიფვრას და სხვ.

ერთი სიტყვით, ინტერნეტსივრცეში გავრცელებული რიტუალური არგოს ფენომენის კვლევა ჯერ კიდევ მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ჩვენ მიერ ის საკითხის დასმის ფარგლებშია განხილული. მისი სიღრმისეული ანალიზი ჩვენი მომავალი კვლევების მიზანია, რომლის შედეგებსაც შემდგომ პუბლიკაციებში ავსახავთ.

გამოყენებული ლიტერატურა

გითოლენდია თ. „პოლისემია და ომონიმია ქართულში აფხაზური პარალელებით“. თბ., 2014.

კიკნაძე ზ. „ჯუართენის“ შესწავლისათვის. „ქართველური მემკვიდრეობა“. ტ. 1. ქუთაისი, 1996;

ლომათაძე თ. თანამედროვე ქართული სოციოლექტები. თბ., 2010.

სიხარულიძე ქ. კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006.

ჯაში ქ. „თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი სტილისტურ-საკომუნიკაციო ფუნქციები“. ენა, თარგმანი, ლიტერატურა. სამეცნიერო პრომათა კრებული. VIII. თბ., „ენა და კულტურა“ 2002.

ჯორბენაძე ბ. „ქართული დიალექტოლოგია“. ტ 1, თბ. 1989.

ჭინჭარაული ა., „ჯვართ ენის“ ზოგი ტერმინის წარმომავლობისა და მნიშვნელობისათვის“. თბ., 2000.

ინტერნეტრესურსები:

ლურჯი ვეშაპი (თამაში) // https://ka.wikipedia.org/wiki/ლურჯი_ვეშაპი
(თამაში)

"მომო" – ახალი სახითათო ინტერნეტ თამაში მოზარდებისთვის თუ მითი? // <http://www.tabula.ge/ge/story/137957-momo-axali-saxifato-internet-tamashi-mozardebistvis-tu-miti>

Temur Avaliani, Taliko Davitadze

Ritual Argo and the Internet Space (On some aspects of studying the problem)

Summary

This paper makes assumptions that one of the varieties of sociolect that is ritual argo shall also include the lects of the secret social groups involved in the so called 'deadly Internet games' recently spreading in the Internet. The authors consider the following arguments to support this assumption:

1. This 'language' is a strictly secretive rather than just closed one. Disclosure of any details related to it is followed by severe punishment for the player.

2. The main function of the 'language' in question is to produce the maximum impact. Therefore, it is associated with symbols (blue as a symbol of despair), including biblical symbols (biblical whale), threats, blackmail, non-verbal means of communication, etc.

3. The process of the game is like one big ritual, which on its own, includes numerous other rituals.

The paper raises the issue of the further in-depth research into the problem.

ლევან ხალვაში, სოფიკო წულუკიძე
რატომ არ მიიჩნევდნენ ძველი ბერძნები გრამატიკას
ნამდვილ მეცნიერებად?


ანტიკურ ფილოსოფიაში მეცნიერებათა გარკვეული პრინციპით დახასიათებას პირველად ვხვდებით პლატონთან და უფრო გამოკვეთილი სახით არისტოტელესთან. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ორივე ფილოსოფოსი სინამდვილეში გვთავაზობს ცოდნის (episteme) სახეთა კლასიფიკაციას და ორივესთან ნაგულისხმევი მეცნიერებათა კლასიფიკაცია იერარქიულია, რადგან უკავშირდება სამყაროს გაგებას. „ტიმეოსში“ პლატონი წერს: „მან (შემოქმედმა-ს.წ) გონიერება ჩაუნერგა სულს, სული კი ჩაუდგა სხეულს და ამნაირად ააგო სამყარო“ (პლატონი, 1994: 290). მეცნიერებანი, რომლებიც სწავლობენ სამყაროს სულიერ არსს და ამიტომ წარმოადგენენ აბსტრაქტულ ცოდნას, უფრო ღირებულია, ვიდრე მეცნიერებანი, რომლებიც ეფუძნებიან გრძნობიერ აღქმას და სწავლობენ სამყაროს ფიზიკურ ნაწილს.

„სახელმწიფოს“ მე-7 წიგნში პლატონი ასახელებს ცოდნის საფუძვლებს (დარგებს), რომლებიც უყალიბებენ ადამიანს ფილოსოფიურ აზროვნებას-ჭეშმარიტების დადგენის აუცილებელ წინაპირობას; მათ შორის ოთხი დარგი: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა მათემატიკურია, ხოლო ერთი-მეცნიერება აზროვნების კანონების შესახებ (დიალექტიკა) – ფილოსოფიური. „არითმეტიკის, გეომეტრიისა და სხვა მეცნიერებათა ცოდნა წინ უნდა უსწრებდეს დიალექტიკის შესწავლას“ (პლატონი, 2003:

280). გამოყოფილ ხუთ დარგს პლატონი განიხილავს, როგორც სხვადასხვა ხარისხის „წმიდა მეცნიერებას“ (ცოდნას, რომელიც არ ეხება ფიზიკურს): არითმეტიკა „დიდი ძალით მიაქცევს სულს უზენაესი სამყაროს მიმართ“, რადგან „აიძულებს (მას-ლ.ხ.) თავისთავად რიცხვებზე იმსჯელოს...“ (პლატონი, 2003: 266); გეომეტრიის მიზანია შეიმეცნოს მარადიული მათემატიკური ფორმები და არა ის, „რაც იბადება და კვდება“ (პლატონი, 2003: 268); ასტრონომია სწავლობს ციური სხეულების მათემატიკურ მიმართებებს და ამიტომ „აიძულებს სულს მაღლა მიმართოს მზერა და მიწიდან ზეცისკენ მიუძღვის მას“ (პლატონი, 2003: 271); მუსიკოსები კი „ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ასტრონომები, რაკილა რიცხვებს ეძებენ სმენით აღქმულ თანხმიერებაში“ (პლატონი, 2003: 274); და ბოლოს, „დიალექტიკა აგვირგვინებს მთელ ცოდნას და არ არსებობს ხელოვნება, რომელიც შეიძლებოდა მასზე მაღლა დაგვეყენებინა“ (პლატონი, 2003: 273). დიალოგში „სოფისტი“ პლატონი განმარტავს გრამატიკას, როგორც „ასონიშანთა უთიერთშეწყობის ხელოვნებას“ (Платон, 1970: 375) და, ბუნებრივია, არ მიიჩნევს მას ჭეშმარიტებისკენ მიმავალ საფეხურად. პლატონისაგან განსხვავებით, რომელიც განიხილავს მხოლოდ მეცნიერულ ცოდნას, არისტოტელე ითვალისწინებს იმას, რომ მეცნიერულის გარდა ცოდნა შეიძლება იყოს პრაქტიკული და ხელოვნური, ამიტომ „მეტაფიზიკასა“ და „ნიკომახეს ეთიკაში“ წარმოდგენილი ცოდნათა კლასიფიკაცია სცილდება მეცნიერების ფარგლებს. ამასთან, პლატონის კლასიფიკაციის მსგავსად იგი იერარქიულია.


არისტოტელეს თანახმად, გონებრივი მოღვაწეობა (bios theoretike) სიცოცხლის უმაღლესი ფორმაა. ამიტომ ყოვე-

ლი ცოდნა იმდენად არის ღირებული რამდენადაც დაშორებულია პრაქტიკას ანუ არის ჭვრეტითი, წმინდა. განყენების ხარისხით თეორიული ცოდნა სამია: „პირველი ფილოსოფია“ შემდგომში მეტაფიზიკად წოდებული არის „ღვთაბრივი მოძღვრება“ პირველსაწყისებისა და პირველმიზეზების შესახებ. მათემატიკურ მეცნიერებათა შორის არითმეტიკა აღემატება გეომეტრიას და ასტრონომიას, რადგან სწავლობს რიცხვებს, რომელთაც არათვრი შეესაბამება ფიზიკურ სივრცეში.“მეორე ფილოსოფია“-ფიზიკა შეიმეცნებს ბუნებას, მაგრამ მაინც არის ჭვრეტითი, რადგან ფიზიკური საგნების შესწავლა საჭიროებს მათ დაკავშირებას პირველსაწყისებთან და პირველ მიზეზებთან (Аристотель, 1981: 61).



ამრიგად, თეორიული ცოდნა ეფუძნება მარადიულ არსებს და ამიტომ ექვემდებარება დამტკიცებას (Аристотель, 1981: 178). ის, რაც შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი, მიეკუთვნება პრაქტიკულ ცოდნას ან ხელოვნებას (შემოქმედებას). არისტოტელეს კლასიფიკაცია მნიშვნელოვანია იმით, რომ ავტორმა გაავლო მეტაფიზიკური ზღვარი ნამდვილ და სხვა ცოდნას შორის, გამოყო ნამდვილი ცოდნის დარგები: ფილოსოფია, არითმეტიკა,

გეომეტრია, ასტრონომია, ფიზიკა. ალბათ, ამიტომ დიონისეს გრამატიკაში ვკითხულობთ: „გრამატიკა არის პრაქტიკული ცოდნა (ემპირია) ძირითადად იმის შესახებ, რაც ნათქვამია პოეტებთან და პროზაიკოსებთან“ (Ист. линг. учений, 1980: 216). სტოელებთან, რომელთა თანახმად, ფილოსოფიური ცოდნა იყოფა სამ დარგად: ფიზიკა, ლოგიკა, ეთიკა. ლოგიკა სწავლობს ლოგოს-მეტყველებას, რომელიც გამოხატავს აზრს და იყოფა ქვედარგებად: რიტორიკად, რომელიც წარმოადგენს მოძღვრებას მეტყველების გამოყენების შესახებ; დიალექტიკად, რომელიც არის ცოდნა მეტყველების შინაარსის (აზრების) შესახებ, და გრამატიკად, რომელიც წარმოადგენს ცოდნას მეტყველების ბგერითი მხარის შესახებ (Диоген, 1998: 280).




სტოელების მიხედვით გრამატიკა, როგორც ლოგიკისა და, უფრო ფართოდ, ფილოსოფიის ნაწილი, არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მეცნიერულ ცოდნას. მეცნიერული შეიძლება იყოს ლოგიკური ან ფილოსოფიური გრამატიკა.

ძველ რომში გრამატიკის აღიარება მოხდება არა ლოგიკის, რიტორიკის წყალობით. 146 წ. ჩ.-მდე რომაელებმა დაიპყრეს საბერძნეთი და აღმოაჩინეს თავისთვის ბერძნული კულტურა. დაიწყო ელინიზმის განვითარების მეორე, რომაული, პერიოდი, რომელიც გაგრძელდება რომის იმპერიის დაშლამდე. რომაელებმა გადაიღეს ბერძნული

ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, მაგრამ გამარჯვებულ იმპერიას ხელი არ აუღია საკუთარ ღირებულებებზეც. „ორ ხელოვნებას შეუძლია აიყვანოს ადამიანი აღიარების ყველაზე მაღალ საფეხურზე: ერთია მხედართ-სარდლის ხელოვნება, სხვა-- კარგი ორატორობა“ (Кузнецова, 1976: 3). ციცერონის ეს სიტყვები გამოხატავენ რომაელების ინტერესთა პრიორიტეტს. ბერძნებისაგან განსხვავებით რომაელებისთვის მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა გამარჯვება. სიბრძნეს უნდა მოეტანა გამარჯვება, ამიტომ „მათ ფილოსოფიას არაიშვიათად განსაძღვრავენ, და არც უსაფუძვლოდ, როგორც ანტიკური ფილოსოფიის აღსასრულს, მის თანდათან დაშლასა და დეგრადაციას“ (Богомолов, 1985: 243). ფილოსოფიის ნაწილებიდან (ფიზიკა, ეთიკა, ლოგიკა) ორატორისთვის საჭიროების მიხედვით ციცერონი გამოყოფდა ორს-ეთიკასა და ლოგიკას. ლოგიკურად გამართული მეტყველება ნათელს ჰფენს საქმეს, ხოლო ეთიკის ცოდნით ორატორს შეუძლია გამოიწვიოს საჭირო რეაქცია მსმენელში (Кузнецова, 1985: 99). თუ ციცერონთან აზროვნების ხელოვნება განსაზღვრავს მეტყველების ხელოვნებას, განთქმულმა რიტორმა მარკ თაბიუს კვინტილიანმა მეტყველების ხელოვნება (რიტორიკა) გაათანაბრა აზროვნების ხელოვნებასთან (ლოგიკასთან) და ამიტომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა გრამატიკასაც. იგი ურჩევს ორატორს შეისწავლოს გრამატიკის ყველა ნაწილი-ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ხოლო გეომეტრიას და მუსიკას განიხილავს დამხმარე საშუალებად (Кузнецова, 1976: 196). კვინტილიანთან რიტორიკული ცოდნა განსაზღვრავს განათლების პროცესს. ნაშრომში „Institutio oratoria“ (ორატორის განათლება) იგი გამოყოფს მჭევრმეტყველების სამ საფეხურს: მათგან პირველი ორი

გრამატიკულია – ars recte loognendi (შეთანხმებული, მთლიანი მეტყველების ხელოვნება), ხოლო მესამე-scientia bene disendi (კარგი მეტყველების ხელოვნება) – რიტორიკული (Кузнецова, 1976: 193). ამრიგად, რიტორიკის საფუძველს შეადგენს გრამატიკა და არა ფილოსოფია. აღნიშნული თანხმება მარკუს ვარონის გადანაცვეტილებას ენციკლოპედიურ ნაშრომში „მეცნიერებანი“ დაეთმო პირველი ტომი გრამატიკისათვის, დანარჩენ რვა ტომში წარმოდგენილი არის დიალექტიკა, რიტორიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა, მედიცინა, არქიტექტურა (Ист. линг. учений, 1980: 236).



საბერძნეთისაგან განსხვავებით, რომში სწავლულებს შეეძლოთ მიეცათ გრამატიკისათვის შემდეგი შეფასებები: „გრამატიკა მეცნიერებათა შესანიშნავი საფუძველია, მჭევრმეტყველების სახელოვანი დედა“, -კასიოდორე; „გრამატიკა მარჩენალია ყველა ხელოვნების“, – ენოდი (Уколова, 1987: 44), მაგრამ ბოეციუსისთვის, რომელმაც მიზნად დაისახა ეთარგმნა ბერძნულიდან ლათინურად პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომები, „მარჩენალი“ ისევ ფილოსოფია იყო (Бозций, 1990: 193). ამ რომაელმა ფილო-

სოფოსმა საბოლოო სახე მისცა პლატონისა და არისტოტელეს იდეას ცოდნის შვიდი ძირითადი დარგის შესახებ, რომელიც გვიან ანტიკურ პერიოდში დაედო საფუძვლად განათლების „შვიდწევრა კანონს“. გრამატიკა დიალექტიკასთან და რიტორიკასთან ერთად შეადგენდა ამ საგანმანათლებლო პროგრამის პირველ საფეხურს – „ტრივიუმს“, ხოლო მეორე საფეხურს – „კვადრივიუმს“ წარმოადგენდნენ მათემატიკური დისციპლინები: არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა.

შვიდწევრა კანონს უნდა ჩამოეყალიბებინა ადამიანში ფილოსოფიური აზროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა

- პლატონი, ტიმეოსი, „ირმისა“, თბ., 1994
პლატონი, სახელმწიფო, „ნეკერი“, თბ., 2003
Аристотель, Соч.в 4т., т.3, Мысль, М., 1981
Богомолов А.С., Античная философия, МГУ, М., 1985
Бозций, Утешение философией, Наука, М. 1990
Диоген Лаэртский О жизни, учениях и изречениях знаменитых философов, Мысль, М., 1976
История лингвистических учений, Наука, Л., 1980
Кузнецова Т.М., Стрельникова И.П., Ораторское искусство в Древнем Риме, Наука, М., 1976
Платон, Соч, в 3т.,т.2, Мысль, М., 1970
Уколова В.И. „Последний римлянин“ Бозций, М., Наука, 1987

Levan Khalvashi, Sofiko Tsulukidze

Why didn't the ancient Greeks consider grammar to be areal science?

Summary

Ancient classifications of sciences are hierarchical. According to the Greek philosophers, grammar does not have a metaphysical basis, therefore it remains outside the real sciences.

**ქრისტიანე ცინცაბაძე
ენის ნაციონალიზაციისა და
ინტერნაციონალიზაციის ასპექტებში თურქული ენის
სალექსიკონო მასალის საფუძველზე**

ენა ადამიანის ისტორიის თანმდევი ფენომენია. იგი ადამიანებს შორის საურთიერთობო საშუალებას წარმოადგენს.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ურთიერთქმედებენ ენებიც; ამ ზემოქმედების შედეგად ერთ ენაში არსებული სიტყვების სხვა ენაში გადასვლა, ენის „თავისუფლების დარღვევას“ და ამავდროულად რეგრაციას იწვევს. ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ერების ენები გავლენას ახდენენ სხვა ენებზე. ეს გავლენები უპირველესად ლექსიკაში აისახება.

მოძიებული მასალები საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ კითხვას: რა უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე თურქული ენისათვის სწრაფი ტემპით ენის ინტერნაციონალიზაცია თუ მკაცრი ნაციონალიზაცია.

სხვა ენებთან შედარებით, თურქული ენის მდგომარეობა ამ პრობლემის მიმართ განსხვავებულია; დღეს, ენათა უმრავლესობისათვის ენის ინტერნაციონალიზაცია თუ დადებით მოვლენად მიიჩნევა, თურქული ენისათვის მდგომარეობა საპირისპიროა. თანამედროვე თურქი ლინგვისტები თითქმის ერთხმად თვლიან რომ, ენის ინტერნაციონალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს თურქულ

ენაზე, ამან შეიძლება ენის დასუსტება და შემდგომში გადაგვარება გამოიწვიოს.

სკეპტიკურად უყურებენ იმ საკითხსაც, რომ თანამედროვე სწავლებაში პრივილეგილირებულად ითვლება ის ნაშრომი, რომელიც მოპოვებული იქნება უცხო წყაროებში.

თურქული ენის პრივილეგია იმაში მდგომარეობს, რომ სამყაროს რომელ კუთხეშიც არ უნდა წავიდეთ, თურქულად მისასალმებელ ერთ მოსაუბრეს ყველგან ვიპოვით.

ენისთვის ძირითად ბაზას ანდაზები და ფრაზეოლოგიური გამონათქვამები წარმოადგენს, რაც თურქულ ენაში მრავლად გვხვდება; თითოეული მათგანი დიდი გამოცდილების შემდეგ არის ენაში დამკვიდრებული. მაგ: „ყურძენი ჭამე, ვენახი არ მოიკითხო“. ეს ისეთი ანდაზაა, რომელიც მწირად გამოიყენება, თუმცა თურქულ ენაზე საუბრისას შესაბამისი სიტუაციის გამოსახატად ხშირად იხმარება. ან თუნდაც „ფეხი იქამდე გამართე, სადამდეც საბანი გეყოფა“. მართალია, ამ ანდაზის არსში არც საბანია და არც ფეხი, თუმცა დიდი მნიშვნელობა და აზრია ჩადებული სწორი ინფორმაციის გადმოსაცემად.

თურქული ნათესაური ტერმინოლოგიის, საჭმლისა და ფერების გამოხატვის მხრივაც მდიდარი ენაა, მიუხედავად იმისა, რომ ენას აქვს სიტყვები, როგორიცაა: დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძაშვილი... მაგრამ მათ არ გამოიყენებენ და მათ ერთი სიტყვით, ფრანგულიდან შემოსული kuzen'ით გამოხატავენ, რის საფუძველზეც დაახლოებით 12 სიტყვის ხმარებიდან ამოღებას უწყობენ ხელს.

სიტყვები: რძალი, მული, ცოლის და, ცოლის ძმა, ქმრის ძმა... გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებში ერთი სიტყვით გამოიხატება, თუმცა თურქულ ენაში თითოეულ

ზემოხსენებულ ტერმინს შესატყვისი სიტყვა მოეძებნება ლექსიკონში.

სამყაროში არსებული ყველა ფერის გამომხატველი სიტყვა არსებობს თურქულში; დღესდღეისობით თურქულში 250-ზე მეტი ფერია, მაგ: ჩვილი ბავშვის პირისფერი, კურდღლის სისხლისფერი, გემის კვამლისფერი, მამლის ბიბილოსფერი... და თუ ამ ფერებს წინ „ლია“ და „მუქ“ სიტყვებს ჩავამატებთ, მათი რაოდენობა უფრო და უფრო გაიზრდება, თუმცა თითოეულ ასეთ ფერს თავისი გამოყენების წესი აქვს, კონკრეტულ სიტყვასთან ან შესატყვისთან შეგვიძლია მისი გამოყენება. რათქმაუნდა ეს ფერები ძირითად ფერებს არ წარმოადგენს და შედგენილი ფერებია, თუმცა თურქულ ენაში თითოეული მათგანი გამოყენებადია.

კერძების დასახელებების მხრივაც მდიდარ ენად ითვლება თურქული, იმის შესახებ თუ რამდენი დასახელების კერძი არსებობს თურქულ სამზარეულოში, არ არის დადგენილი.

„სიკვდილი“ ერთ-ერთი მოვლენაა, რომელიც თითქმის ყველა ენაში ერთი ან ორი სიტყვით გადმოიცემა, თუმცა თურქულში სიტყვა „სიკვდილის“ აღმნიშვნელი 250-ზე მეტი ლექსიკური ერთეული არსებობს, თუმცა, როგორც ფერების გამოყენების შემთხვევაშიც, თითოეული კონკრეტულ სიტუაციაში გამოიყენება.

თურქული სიტყვა „kalp“ (გული), გერმანულად „das herz“, ფრანგულად „le coeur“, ინგლისურად „the heart“ ერთი სიტყვით გადმოიცემა, თუმცა თურქულს გულის ამსახველი სიტყვები მრავლად აქვს „yürek“, „gönül“ და ა.შ.

ამ ვითარების ფონზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ენაში ურთიერთსაპირისპირო ვითარება ყალიბდება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ცნობაა თურქული ენის

ლექსიკურ სიმდიდრეზე, თანამედროვე მკვლევრები ენის საშიშროების ქვეშ ყოფნას უსვამენ ხაზს, მის დაკარგვასა და ინტერნაციონალიზაციაზე საუბრობენ.

„როცა ენის შესახებ ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ რომ თურქეთს დღეს მძიმე პერიოდი უდგას, ხალხი დაღლილია, უიმედოა, ამდენი ახალგაზრდა უმუშევარია, ათათურქის მერ ჩამოყალიბებული ეს სახელმწიფო დიდი საშიშროების წინაშე დგას. როგორც ცნობილი გემის, „ტიტანიკის“ ჩაძირვა შეუძლებლად მიაჩნდათ და მაინც ჩაიძირა, იგივე მდგომარეობაშია დღეს თურქული ენაც, რა თქმა უნდა, თურქეთი ამ ეტაპს გადალახავს, თუმცა ამ სირთულის კვალი დიდხანს დარჩება“ (karaveli, 2012: 23-32).

თურქული ენა საიდან სადამდე მოვიდა: 1930 წლამდე თურქული ლექსიკონი მოიცავდა 29000 სიტყვას, დღეს ეს რაოდენობა 11000-მდე ჩამოვიდა, ხალხი გაადვილებულ ლაპარაკზეა გადასული, საუბრობენ არა თურქულად, არამედ აქტუალურ, შექმნილ ენაზე.

„თითოეული ჩვენგანის პრობლემაა ენის გადაგვარება, გაუცხოება, დასუსტება, ჩვენი მოვალეობაა ენის დაცვა, დღევანდელი პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ასე გახდება შესაძლებელი“ (karaveli, 2012 : 23-32).

თურქი მკვლევარები დღევანდელი თურქეთისა და თურქული ენის პრობლემებზე საუბრობენ, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველანაირად ცდილობენ ამ პრობლემის გადაჭრას და უჭირთ იმის აღიარება, რომ თურქული ენა ინტერნაციონალიზაციას განიცდის.

როგორც ვიცით, თურქეთი ტურისტული ქვეყანაა და ეს პრივილეგიად შეიძლება ჩაითვალოს, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა თუ ვაჭრები, რომლებსაც ხშირი შეხება

აქვს უცხოელებთან, ყველანაირად ცდილობენ ისეთი ტერმინები ჩამოაყალიბონ, რომელიც გასაგები იქნება როგორც ტურისტებისათვის, ასევე თვით თურქულენოვანი ხალხისათვის, თუმცა ამ ყველაფერმა ენის დამახინჯება და ყოვლად გაუგებარი წარწერებისა და ტერმინების ჩამოყალიბება გამოიწვია.

თანამედროვე ვითარებაში თურქულ ენაში არსებული პრობლემები შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ:

1. როდესაც სრული ინფორმაცია გადმოცემულია ინგლისურ ენაზე, მაგალითად: „Welcome turist, we spik english“ და ა.შ.

მიუხედავად იმისა რომ წარწერა ინგლისურ ენაზეა შესრულებული, გრაფიკულად და სტილისტიკურად გაუმართავია.

2. როდესაც ნაწილობრივ თურქულად და ნაწილობრივ ინგლისურად არის ინფორმაცია გადმოცემული, მაგალითად: „Happy Hamile Club“, „პირის სუნს delete“ და ა.შ.

3. როდესაც ინფორმაცია გადმოცემულია თურქულად ისეთი სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ თურქული ენისათვის არის დამახასიათებელი, მაგალითად: „კომპიუტერი-bilgisayar“ ; „აეროპორტი-hava limanı“ და ა.შ.

თურქული ენის ერთ-ერთ მათავარ პრობლემას აბრები წარმოადგენს. ვანყდებით ისეთ წარწერებს, როგორიცაა: „Copy“, „Center“ თითოეული ამ ინგლისურენოვანი სიტყვის წარმოთქმით, თურქული ანბანის შემადგენელი ასობგერა „C“-„č“ კარგავს თავის ფუნქციას და გამოიყენება როგორც ასობგერა „c“ „k“.

ის, რასაც თურქული ენა განიცდის, ლოგიკა არ მოეძებნება, ასეთი ენა არ არსებობს, „Welcome turist, we spik inglish“ – ასეთი წინადადება ინგლისური ვერ იქნება. ეს

მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ინგლისურენოვანი ტურისტისათვის გასაგები იყოს. სხვა ქვეყნებში ასეთ წარწერებს ვერ შევხვდებით.

„საფრანგეთში 1994 წელს გამოცემული კანონით: „პროდუქტი, რომლის წარწერაც ფრანგული შრიფტით არ იქნებოდა დაწერილი, არ გაიყიდება“, სამწუხაროდ, ასეთი კანონი თურქეთში არ არის“ (Akalin, 2012:69-83).

გემოთქმულს მასმედიაში არსებული პრობლემებიც ემატება, ბოლო დროის მანძილზე ენის ინვაზია ყველაზე მეტად ტელევიზიებში იგრძნობა.

„იმისათვის, რომ ხალხისგან ჩამოყალბდეს ერი, მხოლოდ და მხოლოდ საერთო ენის საფუძველზე არის შესაძლებელი. ერის დასასუსტებლად და მის გასაქრობად უპირველესი ნაბიჯი ენის დაშლა, ენაზე გენოლაა; დღეს როდესაც თურქული ენის მდგომარეობას ვუყურებ, თითქოს ამ საშიშროებას ვხედავ“ (Egesoy, 2012 : 137-142).

კვლევებით დადგინდა, რომ მასმედია, ადამიანები, რომლებიც თურქულ ენაზე გვანვდიან ინფორმაციას ტელევიზიიდან, საშუალოდ 350 სიტყვას იყენებენ, ხოლო ზოგადად თურქულად მოსაუბრე საზოგადოების მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობა რამოდენიმე ათეულს შეადგენს, ასეთი მდგომარეობით, თურქული სიტყვების გამოყენების შემცირებით, სიტყვების მარაგიც მცირდება. „ჟურნალისტები როცა რაიმეს ახსნას ცდილობენ, „სხეულის ენას“ იყენებენ: ხელის, თვალის, წარბის გამოყენება დაიწყეს ეკრანებთან, საბოლოოდ ეკრანები „პანტომიმის თეატრს“ დაემსგავსა, პირველყოფილი ადამიანებივით „ეეე“ „იიი“ გამოძახილებით საუბარი დაიწყეს, ამას ისიც ერთვის, რომ თურქულ სიტყვებში უცხო სიტყვების შერევით ახალი ენის ჩამოყალიბებას ცდილობენ“ (Egesoy, 2012 :137-142).

მიუხედავად იმისა, რომ თურქული ენის ლექსიკონში არსებობს შესაბამისი მნიშვნელობის სიტყვები, თანამედროვე დროში ამ სიტყვების უცხოური სიტყვებით ჩანაცვლებას ანიჭებენ უპირატესობას.

Bilgi alışı- Brifing; Saygılık-Prestij; Büyük-Mega; Hasret-Nostalji; Hesap-Adisyon; Köşk-Vila; Vurguncu-Spekulator; Bilgisayar-Computer; Çarpıcı haber-Flash haber; Sunucu- Spiker; Gösteri Adam-Şovmen; Hanım ağa-First leydi; İşhanım-Plaza ;Ekşiya-Mafya; Hava yastık-Airbag; Sevimli-Sempatik; Sevimsiz-Antipati; Yol Üstündeki Lokanta-Fast Food; Bahçe Çiçekler-Flora; İlan Tahta-Bilboard; Merak-Hobi; Merkez-Center; Son-Final; Büyük Şehir-Mega Kent; İki Katlı Ev-Dubleks; Kır Gezintisi-Piknik; Pekala-Okey; Torba-Poşet; Mağaza-Super, Hiper; Sayı Tabelasi-Score Board; Giriş-Welcome; Çıkış-Good Bye; Bedesten-Galeria.

არსებობს ასევე ისეთი სიტყვები, რომლებსაც თითქმის ყველა ენისთვის დამახასიათებელი გრაფიკულობა და წარმოთქმა ახასიათებს, თუმცა თურქულ ენაში მისი შესატყვისი სიტყვის როგორც გრაფიკულობა, ასევე წარმოთქმა სხვაგვარია:

Bilgisayar – კომპიუტერი; Hava Limanı – აეროპორტი; Uzum – ბანანი; Nisan – აპრილი; Ocak – იანვარი; Şubat – თებერვალი; Haziran – ივნისი; Temmuz – ივლისი; Eylül – სექტემბერი; Ekim – ოქტომბერი; Kasım – ნოემბერი; Aralık – დეკემბერი.

თურქეთში დაახლოებით 258 სატელევიზიო არხი და 187 რადიოა; რა თქმა უნდა ამ რაოდენობის ინფორმატორების, ჟურნალისტების პოვნა რთულია, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ არაპროფესიონალებმა და საქმეში გამოუცდელებმაც მიჰყვეს ხელი ჟურნალისტობას, ისეთ პროფესიას, რომელიც სწორი ინფორმაციის სწორი

ფორმით გადმოცემას გულისხმობს, ეს შეიძლება დასახელდეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მასმედიისა.

ყოველივე ზემოთქმული და განხილული ემპირიული მასალის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ: თანამედროვე სამყაროში თურქული ენა, ისევე როგორც ბევრი სხვა, განიცდის გლობალური პროცესების ძლიერ გავლენას და შედეგად იგი სახეს იცვლის. ინტერნაციონალიზაციის პროცესი იმდენად მძლავრი და სწრაფია, რომ მისი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა თანამედროვე თურქული ენათმეცნიერება და თანამედროვე თურქული საზოგადოება მცდელობებს არ აკლებს წინ აღუდგეს ამ პროცესს და თუ ვერ შეწყვიტს, შეაჩეროს, შეასუსტოს მაინც. თუმცა, როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ენის ჭარბი ნაციონალიზაციაც ენის განვითარების შემათერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა

ორჰან მეშიში, “ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი“, თბილისი. 2012;

Gülten Ülgen, “kavram geliştirme“, 1998;

Doğan Aksan, “Türkçenin sözvarlığı“, Ankara. 1996;

D. Aksan, “Türkiye Türkçesinin Dünü, Bugünü, Yarını“, Ankara. 2012;

İlköğretim okulları için Türkçe Sözlük, 2005;

N. Uzun, Modern dilbilim Bulguları Işığında Türkçe sözlüğe Bir bakış, 2003;

TDK yayınları, “TÜRKÇE SÖZLÜK“, 2011;

ULUSAL SEMPOZYUM, “TÜRKÇENİN TARİHİ GELİŞİMİ VE BÜGÜNKÜ DURUMU „, 01 NİSAN, 2010.

Kristine Tsittsabadze
Aspects of language nationalization and
internationalization based on Turkish language
dictionary material

Summary

The purpose of the article is to clarify the issue – what is the bigger problem for the modern Turkish language: rapid internationalization of the language or strict nationalization?

It is generally known, that internationalization is not a big problem for each language, on the contrary, it can be said that specialists look at this issue positively, so it becomes easier to establish a connection between nations and cultures. However, the situation is different with respect to Turkish: the internationalization is a big problem for the Turkish language, they see the danger, it may result in weakening and degenerating the language.

თეონა კეკელიძე „ამირანიანის“ ვრცელი და მოკლე ლექსითი ვარიანტების ურთიერთმიმართება

„ამირანიანი“ – ქართული საგმირო ეპოსის მწვერვალი, მიუხედავად წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებისა, ისტორიული თუ ფილოლოგიური თვალსაზრისით სრულყოფილად შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. გასული საუკუნიდან მოყოლებული იბეჭდება კვლევები ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ, თუმცა გმირის სახე ჯერ კიდევ ამოუწურავია.

ამირანის ეპოსის გარშემო არსებულ საკვლევ საკითხთან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფორმის საკითხი. მიხეილ ჩიქოვანი თავის მონოგრაფიაში, „მიჯაჭვული ამირანი“, აღნიშნავს, რომ „ამირანიანი“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფიქსირდება სამი სახით: არსებობს მხოლოდ ლექსითი, მხოლოდ პროზაული ან, მისივე ტერმინით რომ ვთქვათ, „ლექსნარევი“ პროზის სახით (ჩიქოვანი, 1947: 157).

ლექსნარევი ვარიანტები ამირანის წრის გადმოცემებში ყველაზე მრავლად მოინახება. შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ ტიპის ვარიანტები ყველაზე სრული და ვრცელია. სწორედ აქ არის ამირანის, ბადრის და უსიპის ამბავი სრულად გადმოცემული.

საინტერესოა ამ ტიპის ვარიანტებში პოეზიისა და პროზის ურთიერთმიმართება. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ავსებს (ის რაც პროზაულად არ არის ნათქვამი,

პოეტური ტექსტით არის გადმოცემული). მაგალითად შეიძლება ქართლური ვარიანტი („ამირან დარუჯანაშვილი“) მოვიყვანოთ. მოცემულ ტექსტში პროზაულად გადმოცემულია ამირანის დაბადების, დევებთან შებრძოლების, გველეშაპის, მზეთუნახავის გამოჩენის, გაბუდაყებისა და მიჯაჭვის ეპიზოდები, თუმცა ამ ყოველივეს გვერდით შიგადაშიგ მთხრობელის რეპერტუარში ჩნდება პოეტური ტექსტი და ავსებს ამბავს. განხილულ ვარიანტში ლექსითი ფორმით არის წარმოდგენილი ნადირობისას აღმოჩენილი სასწაულებრივი ირმის ამბავი, რომელსაც, როგორც ვიცით, ცამცუმის კოშკის აღმოჩენა მოსდევს. ამავე ვარიანტში გალექსილია გველეშაპის მუცლიდან ამირანის მეორედ შობის ეპიზოდი:

- ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგვანდა ხუხალომსა,
წვერ-ულვაში გასცვივნოდა, ჩაეყარა მუქაროსა.
(ქ. ხ. ს. ქრესტ., 1970: 101)

ხშირ შემთხვევაში კი რასაც პროზა გადმოგვცემს, იმავეს გვანჯდის ლექსიც. ამ უკანასკნელის მაგალითია ფშავში ჩანერილი ტექსტები. მაგალითად: „სულკალმახი მოკვდა. იმის მტერს დევებს დრო მიეცათ ჯავრის ამოყრისა, დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი აადინეს, ააოხრეს და დააბუნდოვეს. ძმები, დევების დაშინებულები, სულ გადაიკარგნენ, გასწირეს თავისი ქვეყანა“.

იგივე ლექსად:

ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მოვიზადენით
დევების დაშინებულნი ჩაბალხეთს ჩავიყარენით.
(ჩიქოვანი, 1946: 322)

მიხეილ ჩიქოვანი შენიშნავს, რომ პროზაში რიტმული ადგილების არსებობა ლექსის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს და ადრე თუ გვიან ყოველი მათგანი ლექსად იქცევა (ჩიქოვანი, 1947: 165).

გამოკვლეულ მასალაში ფიქსირდება რამდენიმე ვარიანტი, რომლებშიც მთქმელი ზეპირი ფორმით შემონახულ ტრადიციას მხოლოდ რამდენიმე ტაეპის გარითმვით გადმოგვცემს, დანარჩენს კი პროზაულად გვიყვება. საინტერესოა „ამირანიანის“ მსგავსი მოკლე ვარიანტები შინაარსობრივი თვალსაზრისით. მოკლე ვარიანტები მოცულობითაც უმეტეს შემთხვევაში ორ ან სამ ტაეპს არ აღემატება; რამდენიმე ვარიანტში 4-5 ტაეპია გალექსილი; რაც შეეხება ამ ვარიანტების შინაარსს, მათში ძირითადად ამირანის ძალაზე ხაზგასმას ვხვდებით. ერთ-ერთი ქართლური ვარიანტის მიხედვით, ამირანი თავისი შესაძლებლობებით ახლოსაც ვერ მივა ბადრისთან (აქ ბადრი მთქმელის მიერ ამბრი არაბთან არის გაიგივებული): „ბადრისა მზემა ამირან, შენ ბადრს ვერ დაედარები“ (ჩიქოვანი, 1947: 272). ასევე ქართლში ჩანერილ ვარიანტში („ამირანი და ამბრი“) ამირანის ძალა შედარებულია ამბრის ძლიერებასთან, რაც ბუნებრივია ტექსტის ძირითადი სიუჟეტიდან გამომდინარე (ფრაზას ამბრის დედა წარმოსთქვამს):

ამბრისა მზემან, ამირან შენ ამბრსა ვერ ედარები;

ცოცხალსა სთხოვდი მუქარას, მკვდარსაც ვერ დაედარები!..

(ჩიქოვანი, 1947: 280)

როგორც ვხედავთ, შინაარსი ერთი და იგივეა, მხოლოდ პერსონაჟთა აღრევას ვხვდებით, რასაც იწვევს ზეპირსიტყვიერებისთვის დამახასიათებელი კონტამინაციაციკლიზაციის პროცესი.

ცალკე განხილვის საგანია ვარიანტები, რომლებშიც ეპიზოდები მხოლოდ ლექსითი სახით არის წარმოდგენილი და არ შეიცავს პროზაულ ვერსიებს. თითოეულ მათგანში სხვადასხვა რაოდენობის გარითმულ ტაეპებს ვხვდებით. ყველაზე მოკლე მოცულობისაა ქართლური, კახური და რამდენიმე ფშაური ვარიანტი, რომლებშიც ორ ტაეპადაა

წარმოდგენილი ეპიზოდი ამირანის თავგადასავლიდან (წარმოდგენილ ეპიზოდებში ბადრი ამბრი არაბთან არის გაიგივებული):

ბადრისა მზემა ამირან, შენ ბადრს ვერ დაედარები,
ცოცხალი გჯობდა ცოცხალსა, მკვდარსაც ვერ დაედარები.
(ჩიქოვანი, 1947: 272)

ან:

ბადრისა მზემან, ამირან, შენ ბადრს ვერ ედარები;
ვერცა ღონით, ვერცა ჭამითა, ვერცა ომში დედარები.
(ასე ეუბნება [ამბრის] დედა ამირანს).
(ჩიქოვანი, 1947: 287)

ასევე ორ ტაეპადაა გალექსილი მიმართვა ამირანისადმი. კახური ვარიანტი:

ამირან-ღევო, ღევ-გმირო, კილო არ იცი ომისა,
ხერხი გაჯობებს ღონესა, მკლავიც რო გქონდეს ღომისა.
(ჩიქოვანი, 1947: 299)

ასევე კახეთში დაფიქსირებულ ერთ-ერთ ვარიანტში გალექსილია ამირანისა და ყამარის მამის ორთაბრძოლის ეპიზოდი:

-ამბრის ყამბარო, ამირან, კილო არ იცი ომისა;
ზევით რას ერჩი სპილოსა, ქვევით დაუშვი რბილოსა,
ჩარდახს ფეხები შეაჭერ, მაშინვე მიაწვინოსა.
-უყურე ქალსა კამარსა, კურო არჩივა მამასა,
რისთვის გაგზარდა დედამა, რისთვის გეუბნა ნანაო,
-ამირანმა ხელი მამკრა, ცხრა მთა გადამატარაო.
(ჩიქოვანი, 1947: 297)

საინტერესოა ფშავში დაფიქსირებული ორი ვარიანტი, რომლებიც სწორედ ორ ტაეპადაა სათქმელი გალექსილი:

ადე, ამირან, აშავდი, ცხენს დაუყარე ღანძილი,
ღიაცის დაწუნებულსა ტირილი გმართებს გან ძილი.
ან:

„ისევ ბიჭია ამირან, გუშინ რო ჩამოჰქაროდა,
არც არა ბევრი ტანთ ეცვა, არც არა მკლავზე ჰფაროდა.“
(ჩიქოვანი, 1947: 327)

როგორც ვხედავთ, ამ ტაეპებში სწორედ ეპოსის მთავარი გმირი ფიგურირებს, თუმცა რატომ გალექსა მოქმელმა მაინცდამაინც ეს სიტყვები, გაურკვეველია. საგულისხმოა, რომ ამ ორი ვარიანტის ავტორი თუ ავტორ-მოქმელი მხოლოდ ამ ტაეპებით შემოიფარგლება და სხვა პროზაულ ტექსტს არ წარმოგვიდგენს.

გარდა ზემოთ აღნიშნული ეპიზოდებისა, წმინდა პოეტური სახით წარმოგვიდგება ამირანისა და მისი ძმების სანადიროდ წასვლის ცნობილი, შედარებით ვრცელი ეპიზოდი. ამ ქართლურ ვარიანტში დეტალურად არის გადმოცემული როგორ შემოხვდათ ძმებს ირემი, რომელმაც ისინი ცაღანვდენილ კოშკთან მიიყვანა; აქ ძმებმა იპოვეს მიცვალებული და მისი ანდერძი:

„არც ისე დაკარგული ვარ, დისნული ვარ უსუპისი.
სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე, მე არ წამყვა ჯავრი მისი,
ერთი ბაყბაყ-მდევი დარჩა, ბოლმად დამრჩა ჯავრი მისი.
ვინც ბაყბაყ-მდევეს მომიკლავს – ჩემი ლახტიც ალაღ მისი“.
(ჩიქოვანი, 1947: 286)

მცირე ვარიანტული ცვლილებით ფიქსირდება იგივე ეპიზოდი კახურ, მესხურ-ჯავახურ, თუშურ, იმერულ და რაჭულ ვარიანტებში. ქვემოთ მოყვანილ მესხეთ-ჯავახეთში ჩანერილ ვარიანტში დასაწყისი თითქმის იგივეა, მხოლოდ მეორე ნაწილში უფრო დაკონკრეტებულია ჯილდო, რომელსაც მიიღებს განსვენებული ვაჟკაცის დაუძინებელი მტრის, ბაყბაყ-დევის დამმარცხებელი:

ვინც რომ მე იმა მომიკლავს, ჩემი ხმალი იყოს მისი,
ვინც ჩემ ცოლ-შვილს შეინახავს, ჩემი საყმო ჰალაღ მისი.
შვილდ-ისარი, ლახტ-ფარითა მიმიცია, იყოს მისი,
კარებს უკან შუბი არის, იყოს ის შუბიცა მისი,
ყველაფერი მიმიცია, ჯაჭვ-აბჯარიც იყოს მისი.
ყველას ვალი გარდუხადე, წამყოლია არავისი“.
(ჩიქოვანი, 1947: 332)

ერთი რაჭული ვარიანტის დასასრული რამდენადმე განსხვავდება დანარჩენი ხუთი ვარიანტისგან, თუმცა საერთო შინაარსი შენარჩუნებულია. დავიმოწმებთ სწორედ ამ დასასრულს:

თითებშუა წიგნი ჰქონდა:

„ვინც ამ წიგნსა გადიკითხავს, იმას მივცემ თამარ ქალსა“.

(ჩიქოვანი, 1947: 354)

აშკარაა, მთქმელის ცნობიერებაში ღრმა კვალი დაუჩნევია თამარ მეფის ისტორიას, ვინაიდან ეპიზოდი, რომელშიც წესით მოთხრობილი უნდა იყოს იმის შესახებ თუ რა საჩუქრებს მიიღებს დევის დამმარცხებელი, საუბარია უძვირფასეს ჯილდოზე – „თამარ ქალზე“.

მხოლოდ ლექსითი ვარიანტების სახით წარმოდგენილია ასევე ამირანისა და ჩრდილოელის ეპიზოდი. ისინი წყლის პირას სხედან, მათკენ დევი მოაბიჯებს; „ამირანი ხმალსა ლესავს, ჩრდილოელი უწყობს პირსა“; ამირანის კითხვაზე, თუ საით მიიწევს დევი. ის პასუხობს:

-შენ ჩემს სახელს რას კითხულობ, შენთან საომრად მოვალო.

უსუპის ძმისწული მოკვდა, იმის საჭმელად მივალო.

-ადამიანს ვინ შეგაჭმევს!..

ამირან-დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,

დასცა და მხარი მოსტეხა, ადგილი დახვდა ქვიანი.

-მაცა ამირან, ნუ მომკლავ, მაცალე პატარა ხანი,

წყალ-გალმა ქალსა გასწავლი, ამომავალი მზე არი,

რაც კაცი იმას არ ნახავს, მისი სიცოცხლე რა არი.“

(ჩიქოვანი, 1947: 286)

ფშავში ჩანერილ ვარიანტთაგან წმინდა პოეტური ფორმით არის წარმოდგენილი დევებთან სტუმრობის ეპიზოდი. ამირანს აფრთხილებენ, რომ „სადაც გუშინ ქარი ხვიოდა“, იქ არ უნდა ჩავიდეს, მაგრამ უშიშარი გმირი გაფრთხილებას არ უჯერებს და დევებთან მიდის:

დევთ დედაბერის ნაქნარი ქადა ცეცხლშია შხიოდა,

ნამაყენეს, შასჭამეს, კაცის თავ-ფეხი დიოდა;

საღვინით ღვინო მოგვართვეს, შიგ გველ-ბაყაყი წიოდა...

ამირანს იმათ ცოდვითა ცრემლები ჩამოსდიოდა.

პატარა შვილი მამასა ლოგინთით გადამაჰყიოდა:

- არ იმას მაქადებდ, მამაო, ამირანს მოგაკვლენებ;

უსუპის ქამარ-ხანჯარსა წელზედა შაგარტყმენებ,

ბადრისა გრძელთა გალოთა სადილათ დაგახრენებ?!

ვარიანტის თანახმად, ამირანი გაცხარდება, როცა ამ ყველაფერს მოისმენს და დევების ოჯახში უბედურებას დაატრიალებს: „მამას შვილი ჰკრა პირშია, სულისა შასა-გუბარა“. ტექსტის ბოლოს დევები გმირის დამშვიდებას ცდილობენ:

„ბაღლების საუბარზედა ამირან-ომი გინდა რა...

ამირანო ფილაფოზო, სვეტად ჩამოსულო ცითა,

თქვენში კაცთა ნამდურავთა შარიგება არ იცითა?“

(ჩიქოვანი, 1947: 312)

მხოლოდ ლექსითი სახით გახლავთ ასევე დაფიქსირებული გურული „თოხნური სიმღერა“, რომელიც საინტერესოა შინაარსობრივი თვალსაზრისით. ტექსტის მიხედვით დიდ მინდორში აგებულ სახლს პოულობენ, რომელის სამი ძმის (ხუროს შვილის) აგებულია. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ „შითა ლომი მომკვდარიყო, მიწას მიუბარებელი“. მთქმელის აზრით, ოდიშის კანდელაკი უნდა მოიყვანონ და მიცვალებულს წესი აუგონ (ჩიქოვანი, 1947: 348). ამ მცირე მოცულობის ლექსით ვარიანტში აშკარაა ქრისტიანული რელიგიის გავლენა.

ამრიგად, ვარიანტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე სრული ლექსნარევი ვარიანტებია. ეპოსის ლექსით ვარიანტებში აისახა ძეგლის საკვანძო, საზღურბლო ეპიზოდები.

„ამირანიანის“ სხვადასხვა ვარიანტში ასევე გვხვდება ე.წ. „მარგინალური“ ელემენტები – როდესაც მთქმელი გადა-

უხვევს ეპოსის ძირითად ხაზს და პერიფერიულ ელემენტებს აქცევს პოეტური შთაგონების წყაროდ. ხშირად სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ვრცელი და მოკლე ვარიანტების არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ჩიქოვანი, 1947 – მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“, თბილისი;

ჩიქოვანი, 1945 – მიხეილ ჩიქოვანი, „ამირანიანი“, ლიტერატურული ძიებანი, ტ. II;

ქ. ხ. ს. ქრესტ., 1970 – „ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია“. შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები დაურთო ქს. სიხარულიძემ, თბ.

Teona Kekelidze

Poetic interrelation of long and short version "Amiraniani"

Summary

A comparison of the prose, lexical and poetic variants of Amiranian showed that they are the most complete lexical variants in terms of content. Based on a comparative analysis of the variants, it can also be said that the key, borderline episodes of the monument are reflected in the variants of the epic verse.

In different versions, there is also a so-called. "Marginal" elements – when the narrator deviates from the main line of the epic and turns peripheral elements into a source of poetic inspiration. This circumstance often leads to the existence of long and short options.

თინა შიოშვილი
ლეგენდა ილორის წმინდა გიორგის
სასწაულმოქმედებაზე

ნარკვევში "წმინდა გიორგის კულტი და ღვთის სამართალი" ცნობილი ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი თედო სახოკია, განიხილავს რა ქართველთა უდიდესი წმინდანის – წმინდა გიორგის კულტსა და მისადმი მიძღვნილ საღვთსაწაულო რიტუალებს, საგანგებოდ ეხება ილორის წმინდა გიორგის სალოცავთან დაკავშირებულ არქაულ ლეგენდას, რომელიც მოგვითხრობს ილორის წმინდა გიორგის ხატის სასწაულთმოქმედების შესახებ (სახოკია, 1956: 58-69). ლეგენდა მრავალმხრივ საინტერესოა როგორც ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის, ისე ქართველურ ტომთა და კავკასიელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ისტორიის თვალსაზრისით.

ლეგენდის თანახმად, ილორის წმინდა გიორგის ყოველ წელიწადს თავის დღეობაზე (21 ნოემბერს) მიჰყავდა თეთრი ხარი, რომელსაც მეორე დღით ხატის მსახურნი კლავდნენ, ვითარცა წმინდა შესაწირს. წმინდა გიორგის ხატის ამ სასწაულის შესახებ უამბეს ოჩამჩირეში მცხოვრებ ერთ მდიდარ ლაზს, რომელიც მუსლიმური აღმსარებლობისა იყო; ლაზმა არ დაიჯერა და განაცხადა:

"ქრისტიანობას ვინამებ, თუ ოსმალეთში, ჩემს სახლში, საუკეთესო ხარი რომ მყავს, თქვენი წმინდა გიორგი თავის დღეობაზე მართლა ილორში მოიყვანს და მე თვითონ შემეძლება მისი დანახვაო".

ილორის წმინდა გიორგიმ ღამით მართლაც მოიყვანა ლაზის ხარი. მეორე დღეს ყველამ დაინახა ეკლესიის გალავნის შიგნით მდგარი ხარი. ლაზმა, პირობის თანახმად, ქრისტიანობა აღიარა და წმინდა გიორგის ხატს ვერცხლით მოჭედილი სატევარი შესწირა (სახოკია, 1956: 60-61).

ილორის წმინდა გიორგის ხატის ამ სასწაულის შესახებ საგულისხმო ცნობებია დაცული XVI საუკუნის ევროპელი მოგზაურის – ჯუზეპე მილანელის ნაშრომში "წერილები საქართველოზე". დონ ჯუზეპე მილანელი ილორის წმინდა გიორგის სასწაულის შესახებ წერს: "... ამ ეკლესიაზე (ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაზე – თ. შ.) ამბობენ, რომ წმინდა გიორგი ღამის თევისას, მის დღესასწაულს რომ უსწრებს, ერთ ხარს იჭერს და ღამით ეკლესიაში ამწყვდევსო. ღამის სათევად მთავარი დადიანი აქ მობრძანდება ხოლმე, რომ მის სასწაულს დაესწროს. საღამოს ეკლესიას მაგრად კეტავენ და ვერცხლის გასაღებს მთავარს ჩააბარებენ. დილით დიდძალი ხალხი იყრის თავს, რომ მოწმე გახდეს ასეთი საოცრებისა. მთავარი გასაღებს გადასცემს მღვდელს, ალებენ კარებს, შედიან შიგნით და ხედავენ ხარს; გამოჰყავთ გარეთ და ჰკლავენ. როგორც ნაკურთხ ხორცს, დადიანი მას მეზობელ მთავრებს უგზავნის; რაც დარჩება, მთავრის სუფრაზე, დიდ თავადთა შორის, ნაწილდება. ამ დღეს დადიანი და მასთან მყოფნი, წმინდა გიორგისადმი ერთგულების აღსანიშნავად, ამ ხარის ყანწით სვამენ ღვინოს" (მილანელი, 1964: 97).

ამავე სასწაულის შესახებ მოგვითხრობს XVII საუკუნის ცნობილი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ნაშრომში "სამეგრელოს აღწერა". იგი გვაცნობს ზემოთ განხილული ლეგენდის ვრცელ ვარიანტს, რომელში მოთხრობილი

ამბავიც, მისი აზრით, საფუძვლად დაედო ილორის წმინდა გიორგის ხარის დაკვლის ჩვეულებას. ლამბერტისეული ვარიანტი ილორის წმინდა გიორგის ხატის სასწაულთ-მოქმედების შესახებ ხალხში გავრცელებული ლეგენდის ერთ-ერთი უძველესია (ლამბერტი, 1938: 143-144).

ა. ლამბერტის ცნობით, წმინდა გიორგის მიერ ღამით მოყვანილი ხარის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წინასწარ-მეტყველებენ: "თუ დაჭერის დროს ხარი არ დანებდება და წიხლებს ისვრის ან რქებით ირჩოლება, იტყვიან, რომ წელს უსათუოდ ომი იქნებაო; თუ ხარი ზურგზე წამოწოლილი და მტვერში ამოსვრილია, იტყვიან, კარგი მოსავალი იქნება ღომისა, ბოსტნეულისა და პურისაო; თუ ხარი ცვარით დანამული იქნება, კარგი მოსავალი იქნება ღვინისო; თუ ფერით ქერაა, ადამიანთა და პირუტყვთა ხშირი სიკვდილი იქნებაო და თუ თეთრი ან ჭრელია, ფრიად კარგი ნიშანიაო" (ლამბერტი, 1938: 142).

ლეგენდის ვარიანტი ჩაიწერა, აგრეთვე, სერგი მაკალათიამ: "ილორობას ილორის მნათეს ერთი თურქი, თურმე, შეედავა, რომ თუ წმინდა გიორგის ხარის მოყვანა შეუძლია, მოიყვანოს ჩემი თეთრი ხარი სტამბოლიდანო. მნათე ამაზე შევედრებია წმინდა გიორგის, რომ მას თურქისათვის თავისი ძალა ეჩვენებინა. ილორის წმინდა გიორგის ეს ხარი სტამბოლიდან, მართლაც, წამოუყვანია; ხარი მას ბუზად უქცევია და ისე გამოუფრენია, ილორში კი ისევ ხარად უქცევია. მეორე დილას, ილორობას, ეს ხარი ეკლესიის ეზოში თურქს თავისი თვალთ უნახავს და იქვე მომკვდარაო", – დასძენს ლეგენდა (მაკალათია, 1941: 355).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ "წმინდა გიორგის ცხოვრებაში" მოთხრობილ აურაცხელ სასწაულთაგან ერთ-ერთი მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ წმინდა

გიორგიმ კაბადოკიელ გლეხს – თეოფისტოსს დაკარგული ხარები სწორედ იმ ადგილას აპოვნინა, სადაც მან ადრე რამდენჯერმე საგულდაგულოდ დაძებნა ისინი, მაგრამ მათ კვალსაც ვერ მიაგნო ("ცხოვრება ...", 1904: 69).

"წმინდა გიორგის ცხოვრების" ცნობილი რუსი მკვლევარი ა. კირპიჩნიკოვი, აანალიზებს რა ილორის წმინდა გიორგის დღესასწაულზე ხარის სასწაულებრივი გამოჩენის ეპიზოდს, მას აკავშირებს მითრიანული რელიგიის წმინდანის – მითრას ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდთან, კერძოდ – მითრას მიერ ყოველწლიურად ხარის დაჭერასა და გამოქვაბულში დაკვლასთან. მკვლევარი ასკვნის, რომ ხარის სასწაული საქართველოში მითრიანული რელიგიის გავლენით არის დამკვიდრებული; ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ხარის დაკვლა თავდაპირველად წესი იყო, მოგვიანებით კი, ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან დაკავშირებით, სასწაულად იქცა (Кирпичников, 1879: 69).

ილორის წმინდა გიორგის სადღესასწაულო რიტუალში (წმინდა გიორგის მიერ ხარის მოპარვა და ღამით მოყვანა, ხართან ბრძოლისა და დაკვლის ეპიზოდი და სხვა) მითრაიზმის კვალს ხედავს, აგრეთვე, მკვლევარი სერგი მაკალათიაც (მაკალათია, 1938: 30-35). ამის დასტურად იგი იმონშმებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე მითრაიზმი სახელმწიფო რელიგია იყო, რის დასაბუთებადაც სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭის თავზე ხარის თავის ბარელიეფებს, ხოლო სვანეთში, იფარის ეკლესიაში, ბოლნისის ტაძარში და სხვაგან მამლის დაკვლის ჩვეულებას მიიჩნევს. ამავე აზრს ავითარებს მკვლევარი ალექსანდრე ღლონტიც: "... წმინდა გიორგი-ვასთირჯის კულტში ბევრია მითრაიზმისა და ადგი-

ლობრივი წარმართულ წეს-ჩვეულებათა გაქვავებული მოტივი", – წერს იგი (ლლონტი, 1957: 11).

ამრიგად, მკვლევართა ერთი ნაწილი ერთხმად მიუთითებს, რომ ილორის წმინდა გიორგის ხატის სასწაულის გენეზისი მითრიაზმს, კერძოდ – მითრას მიერ ყოველწლიურად ხარის დაჭერასა და გამოქვაბულში დაკვლას უკავშირდება; თუმცა, ა. კირპიჩნიკოვი, გახაზავს რა მითრიაზმის კვალს ამ სასწაულში, როგორც აღვნიშნეთ, იქვე მიუთითებს, რომ ხარის დაკვლა თავდაპირველი წესი უნდა ყოფილიყო, ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ კი სასწაულად იქცა; ადგილობრივ წარმართულ ჩვეულებებზე მიუთითებს მკვლევარი ალ. ლლონტიც.

აღნიშნული სასწაულის გენეზისზე სრული წარმოდგენისათვის გასათვალისწინებელია ჯუზეპე მილანელის ცნობა იმის თაობაზე, რომ, ქართული ხალხური ლეგენდის თანახმად, ილორის წმინდა გიორგის თავდაპირველად მოჰყავდა არა ხარი, არამედ – ირემი, რომელიც შემდეგ ხარმა შეცვალა. ზემოთ განხილულ ნაშრომში იგი წერს: "... ამბობენ, წმინდანს (ილორის წმინდა გიორგის – თ. შ.) ჯერ, თურმე, მოჰყავდა ირემი, მაგრამ, ვინაიდან, ჩემი აზრით, ირემი ძნელი დასაჭერია, იგი ხარით შეცვალეს" (მილანელი, 1964: 97).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ირმის შესახებ სასწაულს მითრიახული რელიგია არ იცნობს, ქართული წარმართული პანთეონის შესწავლა კი ცხადყოფს, რომ ღვთაება კოპალა ირმის სახეს იღებს; ფშავ-ხევსურული ანდრეზების თანახმად, ღვთისშვილი კოპალა ირმის სახითაც წარმოიდგინება. ერთ-ერთი მითოსური ლექსის მიხედვით, გმირი კოპალა, რომელიც ებრძვის დევებსა და ავსულებს, იცავს რა თავის საყმოს ტერიტორიებს, ამბობს:

ჩილოს გორ ჩამამავალი

ირემ ვეგონე რქიანი,
წამამაყარეს ისარი,
ფოცხ-მაკრატელი თმიანი,
სიმურჩი ამაღიჩქვიფე,
რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი. (ოჩიაური, 1967: 56)

ანდა:

წყალზე გამლალა მიქამა, ჰელთ მამცა ვეშრაპიანი,
წყლის პირზე ამოვიდოდი, ირემი ვიქენ რქიანი. (ქ. ხ. პ., 1972: 129)

ირმის სახეს იღებს, აგრეთვე, ღვთისშვილი იახსარიც. თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილ იახსრის საკულტო სიმღერაში დევებთან მებრძოლი გმირი იახსარი ამბობს: „ირმულად ჩამავეპარე, ზედ დავაქციე ბანია“ (ქ. ხ. პ., 1972: 323).

როგორც მკვლევარმა ბეჟან აბაშიძემ მიუთითა, ღვთისშვილების – კოპალასა და იახსრის – წარმოდგენა ირმის სახით მხატვრული სამკაული არ შეიძლება იყოს, რადგანაც ირმის რქები უხვად არის შეწირული ხევსურეთის ბევრ ხატში. ჩვენის მხრივ დავუმატებდით, რომ მითოსური აზროვნებისათვის არც არის დამახასიათებელი ტროპული სახეებით აზროვნება, რადგანაც მითოსური მსოფლალქმა ყველაზე მართალი და შეულამაზებელია მისი შექმნა-გავრცელების ეპოქისათვის. ამდენად, ილორის წმინდა გიორგის ხატთან დაკავშირებული სასწაული, რომელიც, ხალხის რწმენა-წარმოდგენების თანახმად, თავდაპირველად ირმის თვითშეწირვით ხორციელდებოდა, წმინდა ქართული გენეზისისაა და მითრიანული რელიგიის გავლენით ხარის თვითშეწირვით უნდა შეცვლილიყო. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა არა მარტო მეგრული და ფშავ-ხევსურული მითოსურ-ფოლკლორული მასალა, არამედ, იმერეთში გავრცელებული ლეგენდებიც:

ერთი იმერული ლეგენდის თანახმად, ხარაგაულის კახორის წმინდა გიორგის ხატთან ირემი თავისი ფეხით

მიდიოდა და ეწირებოდა. ხალხი აცდიდა ცხოველს, რათა შეწირვამდე ბალახი ამოეცოხნა (აბაშიძე, 1984: 48).

სოფელ საქარაში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) ერთ-ერთ ეკლესიას "ირმის საყდარს" ეძახიან. მასთან დაკავშირებული ლეგენდის თანახმად, ყოველ მთავარ-ანგელოზის დღესასწაულზე ტყიდან გამოდიოდა ირემი, ეკლესიის გალავანში დანვებოდა და დაიწყებდა ცოხნას. ხალხი აცდიდა, ვიდრე თავად დაამთავრებდა "ნაცოხრობას"; ამის შემდეგ ირემი თავისი ნებით ეწირებოდა. მისი ხორცი ყველასთვის უნდა გაენაწილებინათ. ერთ წელიწადს, თურმე, ირემს დააგვიანდა ტყიდან გამოსვლა. ხალხი ძალიან დალონდა, მაგრამ ირემი დაგვიანებით მაინც მოვიდა. ხალხმა, იმის შიშით, ირემი არ წავიდესო, დანაცოხრება არ აცალა და მისი ნების გარეშე დაკლა. ამაზე ღმერთი განრისხებულა და "ირემი აღარ მოდიოდა. ამის მერე უძახიან "ირმის საყდარს", – დასძენს ლეგენდა (თსუფა, №2200).

ამრიგად, ილორის წმინდა გიორგის ხატთან დაკავშირებული სარიტუალო ხარის შეწირვის წინარე, არქაული სახე ირემი უნდა ყოფილიყო და სასწაულიც მის ნებაყოფლობით შეწირვაში მდგომარეობდა, რამაც მითრიანული რელიგიისათვის დამახასიათებელ ხარის შეწირვის რიტუალს კავკასიაში მყარი ნიადაგი დაახვედრა და სასწაულთა ადრესატებად ხშირად ეს ორი წმინდა ცხოველი პარალელურად მოიხსენიება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, 1984: ბეჟან აბაშიძე, „წინდა გიორგის ცხოვრების ზოგი სასწაულის ქართული (კავკასიური) პარალელი“ – წიგნში „მითოლოგიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“, თბილისი;

თსუთა, №2200: თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი, თბილისი;

ლამბერტი, 1938: არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, თბილისი;

მაკალათია, 1941: სერგი მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, თბილისი;

მილანელი, 1964: დონ ჯუზეპე მილანელი, „წერილები საქართველოზე“, თბილისი;

ოჩიაური, 1967: თინათინ ოჩიაური, „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, თბილისი;

სახოკია, 1956: თედო სახოკია, „ეთნოგრაფიული ნაწერები“, თბილისი;

ქ. ხ. პ., 1972: „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. პირველი, თბილისი;

ლლონტი, 1957: ალექსანდრე ლლონტი, „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, თბილისი;

„ცხოვრება...“, 1904: „ცხოვრება წმინდა მთავარ-მონაშისა და ძლევა-შემოსილისა გიორგისა“, ტფილისი;

Кирпичников, 1879: Кирпичников, «Св. Георгий и Егор Храбрый», С. Петербург;

Tina Shioshvili

Legend of Ilori Saint George Miracle-Working

Summary

Deer slaughter should have been archaic style of ritual bull slaughter connected with Ilori Saint George icon confirmed in Georgian folk legends and miracle was in its voluntarily donation.

მალხაზ ჩოხარაძე
სახელმწიფო საზღვრით გაყოფილი სოფლები და
დემარკაციის ხალხური ისტორიები თურქეთსა და
საქართველოში

ერთი კონკრეტული დასახლებული პუნქტის, სოფლის, ხეობის სახელმწიფო საზღვრით გაყოფა იმპერიათა სასაზღვრო პოლიტიკის გამოცდილი და ვერაგი სტრატეგიაა – ასე უფრო მძაფრად შეიგრძნობა დაპყრობილ ერში მარცხის ტკივილი, უფრო ღრმაა უმწეობის განცდა და ხაზგასმულია მორჩილების იძულება... ყოველ შემთხვევაში იმპერიათა ხელქვეით მყოფი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი საზღვრები, რომელიმე მონაკვეთზე მაინც, მონიშნავდა ხოლმე აღნიშნულ სტრატეგიას მეცხრამეტე საუკუნეშიც, მეოცეშიც და ოცდამეერთეშიც.

1877-78 წლების ომის შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის ერთი მონაკვეთი გადიოდა კლარჯეთის სოფელ ხოდში: ქვედა ხოდში უძველესი, 1848 წელს აგებული, ჯამეა, რომელსაც დღემდე შერჩენია ჩუქურთმებით შემკული კარი. ჯამე ოსმალეთში იყო. ჯამისწინა მდინარის მიღმა სივრცე – რუსეთს ეკუთვნოდა. საზათხულო საძოვრებიც ზოგი ოსმალეთში მოექცა, ზოგი – რუსეთში, ამიტომ სოფლელები იძულებული იყვნენ, სპეციალური ნებართვა აეღოთ და ისე ესარგებლათ იალალებით;

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფო საზღვარმა გაყო სოფლები სარფი და მარადიდი. ასევე, მაჭახლის ხეობა და ამ ხეობის ზედაწელის ექვსი სოფელი (ხერთვისი,

მინდიეთი, აკრია, ზედვაკე, ქვაბითავი, ეფრათი) თურქეთის შემადგენლობაში მოექცა;

ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთმა, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ, მავთულხლართებით გაყო შიდა ქართლის სოფელი გუგუთიანთკარი, ხოლო აფხაზეთში სოფელ აიბლას მდინარე ფსოუს გაღმა ნაპირზე მდებარე უბანი რუსეთის შემადგენლობაში მოაქცია...

საზღვრით გაყოფილ სოფლებს იმპერიები ძლევამოსილების სიმბოლოებად ტოვებენ, პოლიტიკურ ფარსად, რომელიც ლოკალური მნიშვნელობისაა, მაგრამ მაინც არსებითი და კონკრეტული ფუნქციის მქონე.

ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) ასე თუ ისე დაწყობილ-დალაგებული რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო ცხოვრება პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლუციებმა კიდევ ერთხელ არია. ამ პერიოდში არაერთხელ შეიცვალა საქართველოს სასაზღვრო გეოგრაფიაც. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებებს ხშირად ჰქონდა ტრაგიკული საფუძველი, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში საზღვრების საკითხის ობიექტურად გადაწყვეტის შანსიც გაჩნდა, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა მიუღებლად მიიჩნია და 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი დროშა ააფრიალა. ამის შემდეგ ქვეყნის ბედს ისევ სხვები წყვეტდნენ: რუსეთ-ოსმალეთის სასაზღვრო სოფლად პირველად დასახელდა სარფი. კერძოდ, მოსკოვის ხელშეკრულების (1921 წლის 16 მარტი) პირველ მუხლში ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ აღნიშნული იყო:

„Северо-восточная граница Турции определяется: линией которая начинаясь у деревни **Сарп**, расположенной на Черном море, проходит через гору **Хедисмта**, линией водораздела горы Шавшет – горы **Канны-даг**, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карсского санвжаков...“² (Документы... 1959:598).

ამ ჩანაწერმა ახალი სასაზღვრო ისტორია დაიწყო. ამ მუხლის შინაარსი არ შეუცვლია 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებასაც (Документы... 1960:422). თუმცა სასაზღვრო ზოლის დადგენისთვის, სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისთვის, წინ კიდევ ბევრი სამუშაო იყო. ციტირებულ ჩანაწერში ნახსენები გეოგრაფიული სახელები მხოლოდ ზოგადად მიანიშნებდა სასაზღვრო პერიმეტრზე: სარფი შავიზღვისპირა სოფელია, ხედისმთა მაჭახლის ხეობის სოფელ სკურდიდის მიღმა მდებარეობს, ხოლო ყანლიდაღი – გოდერძის უღელტეხილთან. ამიტომ მალევე შეიქმნა კომისია, რომელშიც საქართველოს, თურქეთის და რუსეთის წარმომადგენლები შედიოდნენ. დემარკაციის პროცესი ოციანი წლების შუა ხანებამდე გრძელდებოდა (ბაქრაძე, 1971:27).

კომისიის მუშაობა სასაზღვრო ისტორიის ოფიციალური მხარეა და შედეგები თვალნათლივ ჩანს სასაზღვრო ბოძების და მავთულხლართების სახით. მეორე მხრივ, სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის მესხიერებამ ზეპირი ისტორიებიც შემოინახა: არაერთი ტყუილი თუ მართალი, რომელიც

² ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი თურქეთისა განისაზღვრება: ხაზით, რომელიც იწყება რა სოფელ სარფში, რომელიც მდებარეობს შავ ზღვაზე, გადადის ხედისმთით, [ასევე] შავშეთის მთების წყალგამყოფი ხაზით – ყანნი-დაღის მთებით, შემდეგ ის მიჰყვება არტაანის და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთის ადმინისტრაციულ საზღვარს.

სწორედ საზღვრის დემარკაციის პროცესს და ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას ეხება.

უნდა აღინიშნოს, რომ დემარკაციის თანამდევნი ნარატივები დამახასიათებელია სასაზღვრო სივრცისთვის პრაქტიკულად ყველგან და ყველა ეპოქაში. მოარულ სასაზღვრო ამბავთა ბუნებაზე მინიშნებისათვის ერთ ძველ ისტორიას მოვიხმობთ, რომელიც ვიქტორ ნოზაძეს მოჰყავს თავის ნაშრომში „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“ და რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისს ეხება: „1828 წელს, როდესაც იწერებოდა ადრია-ნოპოლის საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რუსეთმა მოითხოვა და ოსმალეთმა დაუთმო მას მთელი ტერიტორია მდინარე ჭოროხამდე, რომელიც შერათვის შავ ზღვას ბათუმს იქით, დასავლეთით. ამ დათმობის მიხედვით, ბათუმი უკვე 1828 წელს უნდა შერათებოდა რუსეთს, მაგრამ ხელშეკრულებაში და საზავო რუკის შედგენის დროს, საზღვარი გაყვანილ იქნა, მდინარეთა სახელწოდების შერევის გამო, არა მდინარე ჭოროხთან, არამედ მდინარე ჩოლოქთან, რომელიც შეედინება ზღვას ბათუმის აქით, ჩრდილო-დასავლეთით. ამ ხაზის მიხედვით, ბათუმი დარჩა ოსმალეთს. შეცდომა შემჩნეულ იქნა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და დამტკიცების შემდეგ, მაგრამ უკვე გვიანი იყო საკითხის ხელახლა აღძვრა და ამ შეცდომის გამო ბათუმი ოსმალეთს შერჩა (ნოზაძე, 1989:8)³.

გაცილებით უფრო ადრე, 1877 წელს, ამ მოარული ამბის შესახებ პეტრე უმიკაშვილი წერდა „ივერიაში“ (N 21), ვრცელ წერილში „ოსმალის საქართველო“ (ლივანა და კლარჯეთი)...

³ ვიქტორ ნოზაძე იმონებს ჯ. გრაისისა და ფონ ტილმანის შრომებს.

ამ ისტორიის გამოძახილები (ოლონდ უკვე მე-20 საუკუნის, კერძოდ, 1921 წლის რეალობას მისადაგებული) მრავალგზის მომისმენია საქართველოში, არა მხოლოდ სასაზღვრო სოფლებში, ოლონდ იქ ყველაფერი პირუკუა: მოტყუებული თურქეთი რჩება: საზღვრის გავლება ამჯერადაც გადანყვეტილი იყო ჩოლოქთან, მაგრამ საბჭოთა მხარემ, გამომდინარე ჰიდრონიმთა ბგერწერის მსგავსებიდან, თურქულ დელეგაციას გზა-კვალი აურია და საზღვარმა ჭოროხზე გაიარა. ზოგი მთხრობელი ამ დიახაც შთამბეჭდავ ფაქტს პირადად სტალინის გამჭრიახობას მიაწერდა, ზოგიც – რომელიმე ადგილობრივი თუ საკავშირო დიპლომატის მოწადინებას. მთხრობელები (და მსმენელებიც) იშვიათად აქცევდნენ ყურადღებას იმას, რომ სინამდვილეში საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვარი (რომელიც ამჟამინდელ საზღვარს ემთხვევა) მხოლოდ ერთ ადგილას კვეთდა მდინარე ჭოროხს და სრულიადაც არ გასდევდა მის კალაპოტს (სარფი, 2015: 209).

ძნელი სათქმელია, საიდან იღებს სათავეს ეს ნარატივი მისი მრავალფეროვანი ინტერპრეტაციებით, მაგრამ, როგორც ჩანს, სასაზღვრო თემებს ყოველთვის თან სდევს ხალხური ისტორიები და მითები, რომლებსაც ზოგჯერ შეიძლება გარკვეული ისტორიული საფუძველიც გააჩნდეს.

1920-იან წლებში საზღვრის დემარკაციის გაჭიანურებული პროცესი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ჭოროხისა და ხალხური ისტორიებისათვის. ზღვისპირეთშიც, თურქეთის სარფიდან მაკრიალამდე, არაერთგზის მოგვისმენია ამბავი, რომ თავდაპირველად სარფის შუაზე გაყოფა სულაც არ იგეგმებოდა: საზღვარს სუმჯუმასთან უნდა გაეყო. ეს ვერსია ე. წ. ლიბანურ ხალხურ ვერსიას (რომ საზღვარი ქვამჩირეში უნდა ყოფილიყო – ეს ის ადგილია ქემალთაშასა და

ხოფას შორის, სადაც ახლა ერთი ხელისდადება პლაჟია) ეწინააღმდეგება, მაგრამ უფრო გავრცელებულია და ბევრისთვის ლამის უცილობელ ჭეშმარიტებად არის აღიარებული. კიდევ ერთი ვერსიით, რომელიც მაკრიალში გვიამბეს, საზღვარი აბუ ისლაში (აზლალაში) უნდა გავლებულიყო, მდინარე ყანლი დერეს უნდა ჩაჰყოლოდა. ამ შემთხვევაში ათი ათასიანი დასახლება გაიყოფოდა შუაზე. ამიტომ ამჯობინეს, გაეყოთ მცირე დასახლება და საზღვრადაც სარფის მდინარე იქცა. ბუნებრივია, მოქმელს აღარ უცდია დაზუსტება, რატომ იყო აუცილებელი მაინცადამაინც რომელიმე სოფლის გაყოფა...

საზღვრის ადგილმდებარეობის თემა, ცხადია, საქართველოს სარფის მოსახლეობის მეხსიერებაშიც იკავებს გარკვეულ ადგილს. ამ ნარატივების მიხედვითაც, საზღვარი სარფსა და სუმჯუმას შორის უნდა ყოფილიყო, მდინარე გოლბაშზე, რომელიც ასევე სარფის ნაწილია, მაგრამ თურქეთის სარფის ფერდობს გადაღმაა. შესაბამისად, საქართველოს შემადგენლობაში მოექცეოდა მთელი სარფი, ქაზიმიეს ჩათვლით, რომელიც მაშინ დამოუკიდებელი სოფელი არ იყო და ჰემშილლული ერქვა (სარფი, 2015: 212).

ეფრატში (ზედა მაჭახელი) ჩანერილი ზეპირი ისტორიის თანახმად, სასაზღვრო სივრცის მოსანიშნად და ბოძების დასანიშნად მისული „რუსები“ ქავთარეთს ეძებდნენ თურმე. ზედა ქავთარეთში უთქვამთ – ქვემოთაა ეს დასახლებაო. რუსებსაც რამოდენიმე კილომეტრით დაბლა დაუსიათ სანიშნი ბოძები....

როგორც საქართველოში, ასევე, თურქეთში ჩანერილ ნარატივებში ხაზგასმულია მოსახლეობის აქტიური როლი. განსხვავებით ტრადიციული ისტორიოგრაფიისაგან, არცთუ

იშვიათად, თვალსაჩინოა ქრონოლოგიური დაუდევრობა, რაც საზოგადოდ არის დამახასიათებელი ხალხური ნარატივისათვის. ძველ ისტორიებში ნათლად ჩანს გამიჯნვის მთელი ტრაგიზმი და იმ თაობის გულისტკივილი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ორად გაყოფის სევდა: ნათესავებთან და თვისტომებთან დაშორება, მიწა-მამულის დაკარგვა და მრავალი სხვა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ დროთა დინებამ, თაობათა ცვლამ, ბევრი რამ გადააწყო და, მათ შორის, ემოციაც.

დემარკაციის პროცესში საზღვრის გადანევის ზეპირი ისტორიები დღემდე პოპულარულია ორივე მარადიდში. მურათლიში გვაჩვენებს ნაქილისვარი (ნაეკლესიარი) გორაკი, სადაც თურმე, თავდაპირველი მონახაზით საზღვარს უნდა გაეწლო. ცნობილია ამ სასაზღვრო ისტორიის ორი ძირითადი ვარიანტი:

პირველი ვარიანტის თანახმად, თამარ მეფის დროინდელი ეკლესია ოსმალობისას ჯერ ნაეკლესიარად, შემდეგ ნანგრევებად იქცა. იგი კეკიეთის უბანში იდგა, კერძოდ, გოგიეთის გორაკზე. რუსებს სურდათ, ნაეკლესიარი თავიანთ მხარეს მოექციათ. ეს შეუტყვიათ სოფელში, ღამით გამოსულან, ტაძარი დაუშლიათ (ზოგი ვერსიით – ერთ ღამეში, სხვა ვერსიით – რამდენიმე ღამე უმუშავიათ) და ქვები პაპუნავეთს მიღმა გადაუზიდავთ.

საზღვრის გადატანა, ყანების გადარჩენა, ტერიტორიის მოგება დღემდე საამაყოდ აქვთ ზედა მარადიდში. ძნელია გაარჩიო, სად სიმართლეა და სად – მითი. შესაძლოა, გოგიეთის სერი მართლაც მოიაზრებოდა სასაზღვრო ხაზის ერთ-ერთ ვარიანტად. თუმცა მურათლურ ისტორიაში აშკარად ჩანს იდეოლოგიური შრეც: თურქეთის მოქალაქე გურჯებისთვის იქნებ ამ ისტორიას მეტ დამატერებლობას

სძენდა იმის მტკიცება, რომ რუსებს სურდათ, თავიანთ ქვეყანაში მოექციათ ძველი ეკლესია და ამიტომ დაუმიზნეს სასაზღვრო ზოლი გოგიეთის გორაკს. სინამდვილეში ბოლშევიკური რუსეთი და მთელი საბჭოთა კავშირი ათეისტური ქვეყანა იყო და იქაურ პოლიტიკოსთა თუ დიპლომატთა სულებს აღარ ატოვებდა ეკლესია, ხატი და ჯვარი... ცხადია, ამის ახსნა ყველა მოამბისთვის არ გვიცდია, ქვების გადაზიდვის ისტორიისა კი, როგორც აღვნიშნე, კიდევ ერთი ვარიანტი მოვისმინეთ. მეორე ვარიანტის თანახმად, ეკლესიის ქვები არათურ შუაშია. გოგიეთის ტაძარი მეოცე საუკუნის დასაწყისშიც დაშლილ-დანგრეული იყო. გოგიეთის სერზე და მის მიღმა კომისიამ ქვები დაალაგა საზღვრის მოსანიშნად. სწორედ ეს ქვები გადაუზიდავთ სოფლის კაცებს ღამით. იდეოლოგიური შრე ამ ისტორიასაც ახლავს: კომისიამ ქვები ისე დაალაგა, ნაქილისვარი სერი რუსეთში რომ მოქცეულიყო.

რეალურად კი, საზღვრის მიღმა დარჩენილთაგან უმრავლესობას მოქმედების კი არა, პოზიციის გამოხატვის ნიათიც აღარ ჰქონდა. მეორე მხრივ, რთულ პოლიტიკურ პროცესებში გარკვევაც არ იყო იოლი, მეტადრე ომიანობის პერიოდში და მის შემდგომ, როცა ელვის უსწრაფესად იცვლებოდა ყველაფერი. ბევრისთვის ერთადერთი გამოსავალი იყო ვითარებასთან შეგუება. მით უმეტეს, მცირედი იყო ისეთი, ვისთვისაც „არჩევანი“ ნიშნავდა თურქეთს და საქართველოს შორის ერთ-ერთის არჩევას. შეგუებულთაგან უმრავლესი არჩევანს აკეთებდა თურქეთსა და რუსეთს შორის. ახლადგავლებულ საზღვარს მიღმა მათთვის რუსეთი იყო და სხვა არა იცოდნენ რა... არც აინტერესებდათ. რუსული არმიის ნაწილებისა და სხვა შეიარაღებული ჯგუფებისგან სისასტიკის გარდა არათურ

ახსოვდათ. არც ოსმალურ არმიას და ჩეთნიკებს დაუკლიათ ხელი. გადაიტანეს ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდის პოლიტიკური ქაოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის დათბობა კი მეტისმეტად ხანმოკლე იყო.

1921 წელი კი ბევრი თვალსაზრისით ჰგავდა 1915-ს: ხან რუსები ჩნდებოდნენ ახლო-მახლო, ხან კიდევ, რეგიონიდან გასულ-განდევნილი ოსმალები ბრუნდებოდნენ უკან. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო იმხანად უკვე აღარ არსებობდა. უკან მობრუნებული ოსმალთა თუ რუსთა სასტიკი ბუნება კი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ნაცნობი იყო...

სწორედ ამიტომ მივეუთითებდით ზემოთ რთული არჩევანის შესახებ. თუმცა აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ როცა არჩევანზე ვლაპარაკობთ, იქ, უპირატესად, ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას ვგულისხმობთ. მიუხედავად მოსახლეობის ამა თუ იმ ფრთის აქტიურობისა, მიუხედავად კოლექტიური მესიერების დღემდე შემორჩენილი სასაზღვრო მოტივის ფრაგმენტებისა, სასაზღვრო ზოლის გეოგრაფია სხვაგან და სხვაგვარად წყდებოდა და გადაწყდა კიდევაც ისე, როგორც ორმა უზარმაზარმა სახელმწიფომ მოილაპარაკა და გადაწყვიტა.

და მაინც, აქვე დავამატებთ მოკლე მინაწერს ინდივიდუალური არჩევანისთვის: თურქეთის მოქალაქედ ქცეულთაგან თუ ვინმემ ამ ყველაფრის მიღმა იფიქრა, თუ ვინმემ სცადა არჩევანის გაკეთება არა თურქეთის, არა რუსეთის, არამედ საქართველოს სასარგებლოდ, სწორედ ეს იყო ინდივიდუალური და, ამასთან, რისკიანი გადაწყვეტილება. ეს მოითხოვდა ფუძის, მიწა-მამულის მიტოვებას, ბოლშევიკურ საქართველოში გადმოსვლას და სრულიად ახალ

რეალობაში დამკვიდრებისათვის ბრძოლას – გაურკვეველი მომავლის იმედით. საოცარია, რომ ასეთი გადაწყვეტილების შესახებაც შეიძლება საუბარი: მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს თუ 20-იანი წლების დასაწყისში თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული საზღვრისპირა სოფლებიდან არაერთი ოჯახი გადმოსულა და დასახლებულა როგორც საზღვრის მახლობელ სოფლებში (კირნათი, მარადიდი, მახო, თხილნარი და ა. შ.) ასევე, მოშორებით (მაგ. კახაბრის დაბლობზე ან მიმდებარედ). საინტერესოა, რომ რამდენიმე ასეთი ოჯახის შთამომავლებთან ერთად ვცადეთ ზედა მარადიდიდან, ხებადან, კატაფხიადან და ა. შ. ხსენებულ პერიოდში გადმოსახლებულთა ვინაობის დაზუსტება და ამ სახელდახელო დიალოგების დროსაც კი ათამდე გვარი დასახელდა.

და რაკილა არჩევანის თემას შევხეთ, აქვე მოვიყვანო ერთ მეტად მნიშვნელოვან ცნობასაც რეგიონის მოსახლეობის განწყობის შესახებ... გაზეთ „ბათუმის ცხოვრებას“ (N14, 21 იანვარი, 1921 წ.) შემოუნახავს ინფორმაცია, რომელიც ერთგვარად აჭამებს ომებით დატანჯული, ხელიდან ხელში გადასული მარადიდის მეოცე საუკუნის ათიანი წლების ტრაგიკულ რეალობას: 1921 წლის 19 იანვარს სოფელში მისულა საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბათუმის ოლქში გრიგოლ გიორგაძე მარადიდლებმა მას გადასცეს „წერილობითი განცხადება“. ტექსტში თვალსაჩინოა რეგიონის და სოფლის სულისკვეთება. ქვემოთ მოგვყავს გაზეთში დაბეჭდილი ტექსტი მთლიანად:

„მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულმა გრ. გიორგაძემ იმგზავრა აჭარაში და ზოგი აჭარის უბანი დაა-

თვალიერა. მარადიდში მას შემდეგი წერილობითი განცხადება მიართვეს:

1921 წელს 19 იანვარს, ჩვენ ქვემოთ აღწერილ ხელისმომწერნი, მცხოვრებნი მარადიდის უბნისა, უბნის მცხოვრებთა მიერ აღჭურვილი სრული ნდობით, ვეგებებით რა პურ-მარილით, ვესალმებით ბათომის ოლქის საგანგებო რწმუნებულს ბ[ატონ] გიორგაძის მობრძანებას. უბნის მცხოვრებთა სახელით გვაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ მარადიდის უბნის მცხოვრებნი ღრმა რწმენით გამოთქვამენ სრულს სიმპათიას საქართველოსა და მისი დამფუძნებელი კრებისადმი, იზიარებენ მასთან ერთად ჭირსა და ლხინსა. მიაჩნიათ მიზანშეწონილათ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რუსეთ-ოსმალეთის ომით განადგურებულ ჩვენს მხარეს და აღმოუჩენს შესაფერ დახმარებას გონებრივი და მატერიალური მხრით. ფიცსა ვდებთ, რომ მუდამ ვიყოთ ჩვენ დედასამშობლო საქართველოსთან ერთად და მხარი დავუჭიროთ მთავრობის ყოველგვარ სამართლიან მოთხოვნისას. არავის არ მივცემთ ნებას, იმოქმედოს საქართველოს წინააღმდეგ. სალამი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას “ (ბათომის ცხოვრება, 1921).

მაგრამ მივუბრუნდეთ გაღმა გამოღმა სოფლების ზეპირ ისტორიებს. შეიძლება ითქვას, რომ ქვედა მარადიდის სასაზღვრო ნარატივები უფრო რეალისტურია, თუმცა ზოგიერთი მოტივის თანხვედრაზეც შეიძლება ლაპარაკი. ნიშანდობლივია, რომ შემორჩენილა 60-იანი წლების

ჩანაწერი: შ. რუსიძეს 1964 წელს ჩაუწერია მონათხრობი ილიას დიასამიძისა, რომელიც არა მხოლოდ თვითმხილველი, არამედ ისტორიული პროცესების აქტიური მონაწილე ყოფილა. ნიშანდობლივია, რომ ამ მოგონებაში ნაკლებია იდეოლოგიური შრე და თხრობაც გულწრფელია.

მოგონების თანახმად, არსებული რეალობის მიმართ დამოკიდებულება ზედა და ქვედა მარადიდში ერთგვაროვანი არ ყოფილა. მდგომარეობა გაართულა იმან, რომ ბათუმიდან თურქების განდევნის შემდეგ, როცა აჭარაში ბოლშევიკები შემოვიდნენ, წითელი ჯარი გაჩერდა მაჭახლისწყლისა და ჭოროხის შესართავთან, სოფელ მაჭახლისპირთან და ჭოროხის აღმა, კირნათ-მარადიდისკენ გზა აღარ გაუგრძელებია. თურქები (ჩეთნიკების რაზმი) ზედა მარადიდში იდგნენ და, შესაბამისად, ადგილობრივი პოლიტიკის პათოსსაც იგი განსაზღვრავდნენ. გარდა ამისა, პირველი მსოფლიო ომის ინერცია 1920-იან წლებში იმითაც ვლინდებოდა, რომ ყაჩაღები ჯერაც ყაჩალობდნენ და, როგორც ამბობენ, ასეთი შემთხვევები მიზანმიმართულად იყო ორგანიზებული ზედა მარადიდის და მახლობელი სოფლების პროთურქული ორიენტაციის გავლენიან პირთა მიერ და თითქოს მწიფდებოდა ვითარება მაჭახლისპირის მიღმა სივრცის თურქეთის შემადგენლობაში მოსაქცევად. სწორედ ამ ვითარებაში ქვედა მარადიდის მცხოვრებთა კრებამ გადაწყვიტა, წარმომადგენლები გაეგზავნა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

ბათუმში ჩავიდნენ: ილიას დიასამიძე, მუსტაფა დიდმანიძე, იზეთ ღომიძე და ხასან ღომიძე. ისინი შეხვდნენ ალ. ღამბაროვს, რომელიც იმხანად აჭარის რევკომის წევრი იყო. მთხრობელი შემდეგნაირად იხსენება ამ შეხვედრის დეტალებს:

„[ლამბაროვს] მოვახსენეთ, რომ ჩვენ ქვედა მარადიდელები ვართ, ხალხმა დაგვავალა, თქვენთან მოვსულიყავით და გვეთქვა, რომ წითელი არმიის ნაწილები მაჭახლის პირზე მოვიდნენ და იქ დაბანაკდნენ; იქიდან ჩვენი სოფელი ექვს კილომეტრში იქნება და წითლები ჩვენკენ არ აპირებენ ამოსვლასო. ეს სოფლები თურქებმა უნდა დაიკავონო, მათი ჯარისკაცები მოდიან ჩვენს სოფელში და უნდათ, იქ დამკვიდრდნენო. ჩვენ მარადიდელებმა დაგვავალეს, მოვსულიყავით თქვენთან და გვეთქვა, რომ ჩვენ თურქეთის საზღვრებში ყოფნა არ გვინდა და გთხოვთ, წითელი ჯარის ნაწილებმა წამოიწიონ წინ და ჩვენი სოფელი დაიკავონო“...

შეხვედრამ ნაყოფი გამოიღო. ჯარი აღმა აჰყვა ჭოროხს, კირნათი და ქვედა მარადიდი დაიკავა და იქვე დაბანაკდა – ზემოთ წასვლა აღარ უცდია და ზედა მარადიდი ჩეთნიკების მძევლად დატოვა.

ამგვარი სასაზღვრო კონფიგურაცია შენარჩუნებული იყო 1924 წლამდე. სწორედ ამ წელს დაიწყო მუშაობა საზღვრის დემარკაციის კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ საბჭოთა კავშირის და თურქეთის წარმომადგენლები.

მოგონებაში ვკითხულობთ:

„კომისია შეუდგა მუშაობას. მოიტანეს რუკები და სხვა ხელსაწყოები, თურქეთის კომისიამ მოითხოვა, რომ საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვარი იქ დადებულიყო, სადაც მაჭახელა ჭოროხს უერთდება. აქედან ჭოროხი უნდა გადაეკვეთა და ნაქილისვარის გორაზე ასულიყო. თურქეთის კომისიის მოთხოვნით მთელი კირნათი და მარადიდი თურქეთის შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო. ამან დიდად შეაწუხა მარადიდისა და კირნათის მცხოვრებლები. დავტრიალდით

საბჭოს წევრები, მოვამზადეთ მოხუცთა დელეგაცია და გავგზავნეთ საზღვრის დამდგენ კომისიასთან თხოვნით, რომ ჩვენ ქართველები ვართ და არ გვინდა თურქეთის საზღვრებში ვიყოთ. ამავე დროს კომისიას მე ვუმტკიცებდი, რომ ქილისას გორი, რომელიც რუკაზე აღნიშნული იყო საზღვრად, სოფელ მარადილში მდებარეობს; მოხუცთა დელეგაციის თხოვნით და ჩემი განმარტებით, რომ ქილისას გორი სოფელ მარადილის ზემოთ მდებარეობს, ყოველივე ეს კომისიამ მიიღო და დაწესდა სახელმწიფო საზღვარი 5-6 კილომეტრის დაშორებით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ასე, ამგვარად ქვედა მარადილი და მთელი კირნათი საბჭოთა საქართველოს საზღვრებში დარჩა“...

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი დეტალი მოგონებაში არაა მოცემული, თუმცა რაც არის, ისიც მრავლისმეტყველია.

ნიშანდობლივია, რომ ქვედა მარადილის ნარატივშიც ფიგურირებს ქილისეს გორა, რაც, სავარაუდოდ, სწორედ ზემოხსენებული გოგიეთის გორაა, რომელსაც სასაზღვრო ზოლი გვერდს უვლის და მის გადაღმა, ნასახლევეთან ეშვება ჭოროხში. ამის შემდეგ, გარკვეულ მანძილზე, საზღვარი ჭოროხს გასდევს კირნათის და ზედა მარადილის გასწვრივ, ხოლო ხებასთან, კირნათსა და ხებას შორის, ოღლავის ღელეს მიჰყვება. მარჯვენა (საქართველოს) ფერდობი თოთოვრიქედია, მარცხენა – სალევიქედი.

საზღვრის გავლების შემდეგ ზედა და ქვედა მარადილი, როგორც ერთი სოფლის ორი ნაწილი, გაქრა გეოგრაფიული ნომენკლატურიდან. ამიერიდან რუკაზე გაჩნდა ორ სახელმწიფოში მდებარე ორი სოფელი. მალევე ამოქმედდა საბაჟო, თანდათან გაჩნდა სასაზღვრო ბოძები

და მავთულხლართები... მაგრამ ყოფილი მთელის ნაწილებს შორის ურთიერთობა კვლავაც გრძელდებოდა. ცხადია, ახალი ვითარების, ახალი წესის და კანონის შესაბამისად 20-იან წლებში მარადიდელთათვის, კირნათელთათვის, ხებელებისთვის... საზღვარი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა გადაულახავ დაბრკოლებას. მეტიც, ზოგიერთი ოჯახი ერთხანს კიდევ ახერხებდა საზღვარს მიღმა მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით თუ საძოვრებით სარგებლობას. უფროსი თაობა დღემდე ინახავს წინა თაობის ისტორიებს მეზობელ დასახლებათა სრულიად ჩვეულებრივი, ინტენსიური ურთიერთობების შესახებ. იგულისხმება, უპირველესად, მისვლა-მოსვლა და სტუმრიანობა, მოყვრობა, ალებ-მიცემობა და ა.შ.

საბაჟო და სასაზღვრო-გამშვები პუნქტი იმხანად საზღვრის ხება-კირნათის მონაკვეთზე იყო, ოღლავის ქვემოთ, ოღლავისწყლის და ჭოროხის შესართავთან. ოღლავის სასაზღვრო დელეგე ხიდი იყო, რაც აიოლებდა მიმოსვლას.

საზღვრის გადასაკვეთად საჭირო იყო სპეციალური საშვი. რეალობის ანარეკლია ისიც, რომ ოფიციალურ დოკუმენტს (სახელმწიფო უწყების მიერ გაცემულ ნებართვას საზღვრის გადასაკვეთად) თურქეთის მარადიდელთა ქართულ მეტყველებაში ერქვა „ფასავანი“ (Pasavan – (თურქ.) საზღვარზე გადასასვლელი მოწმობა – თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონის მცხოვრებთათვის), ხოლო საქართველოს მარადიდელთა ქართულ მეტყველებაში „პროპუსკი“ (пропуск (რუს.) საშვი).

საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე თანდათან ჩამოყალიბდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით ბოლშევიკები უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენდნენ.

დროთა განმავლობაში გამკაცრდა რეჟიმიც. 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეწყდა მიმოსვლაც და ორივე მხარის მესაზღვრეთა თუ მოქალაქეთა საქმიანობაც გადა-
ენყო მტრულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმატში.

თაობათა ცვლა საზღვრისპირა დასახლებებში დამატე-
ბითი ფაქტორი იყო ახალი სასაზღვრო ურთიერთო-
ბებისთვის. ახალ თაობას ნაკლები კითხვები ექნებოდა
საზღვრის დიახაც უცნაური გეოგრაფიის გამო. ზედმეტი
კითხვების დასმა ისედაც აკრძალული იყო და არც პასუხის
გასაცემად იწუხებდა თავს ვინმე. საბჭოთა კავშირის სასტიკი
რეპრესიების ეპოქა სასაზღვრო ზოლში არანაკლები
სიმწვავეთ აისახებოდა და მკაცრი ხელით მართვის
გამოცდილება არც თურქეთისთვის იყო უცხო. ამასთან,
ახალ თაობას გაღმა თუ გამოღმა დარჩენილი ნათესავების
შესახებ ოჯახური, ზოგჯერ ზედმეტად ფრთხილი, საუბ-
რებით თუ ექნებოდათ ინფორმაცია და მონატრების
გრძნობაც აღარ გაჩნდებოდა. თავიდანვე ჩაუნერგავდნენ,
რომ ასეთი საზღვარი მეზობელი ქვეყნის ბრალი იყო.
საბჭოთა კავშირში „პირსისხლიან კაპიტალისტებს“ დაბ-
რალდებოდა ყველაფერი, თურქეთში „ათეისტ წითელ
ბოლშევიკებს რუსიდან“. აირეოდა ერთმანეთში რეჟიმის
მსხვერპლი და რეჟიმის მსახური... ძველი თაობა კი თან-
დათან გაიყოლებდა პირად ტკივილს, ოჯახურ ტრაგე-
დიებს, საზღვრის გაყოფამ რომ მოიტანა. გაიყოლებდა
ჩუმად, უთქმელად, იმიტომ, რომ თქმა და სახელის დარქ-
მევა ამ ტკივილის საფუძველთა საფუძველზე – ორივე ქვე-
ყანაში სასტიკად ისჯებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბათუმის ცხოვრება, 1923: გაზ. „ბათუმის ცხოვრება“, N14, 21 იანვა-
რი, 1921 წელი;

ბაქრაძე, 1971: ბაქრაძე რ., „საბჭოთა სართი“, ბათუმი;

ნოზაძე, 1989: ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი;

სართი, 2015: სართი, მონოგრაფია. ავტორები: მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. თვალავა, ო. მემიშიში, მ. ბარამიძე, ჯ. ვარშალომიძე, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, თ. შიოშვილი, მ. თავდგირიძე, ც.ნარაკიძე, ჯ.მიქელაძე, ბათუმი;

უმიკაშვილი, 1977: უმიკაშვილი პ., „ოსმალის საქართველო“ (ლივანა და კლარჯეთი), გაზ. „ივერია“, N 21, 1877 წელი;

Документи... 1959: „Документы внешней политики СССР“, Т.3 М.;

Документи... 1960: „Документы внешней политики СССР“, Т. 4 М..

Malkhaz Chokharadze

Villages divided by state border and demarcation folk histories in Turkey and Georgia

Summary

In the 1920s, the state border divided many valleys and villages of historical southern Georgia. A significant part of the Georgian territory became part of Turkey. Along with other territories inhabited by Georgians, the state border divided two specific villages - Maradidi and Sarpi. Consequently, the lives of the villagers within the different states proceeded in two completely different ways. The paper discusses the border motif and folk histories of demarcation in the memory of the population of divided villages and neighboring settlements. The border area between the Soviet Union and Turkey has long been characterized by a particularly strict regime. Consequently, in such conditions, the population of these villages was deprived of even the possibility of even basic communication for many years. The situation changed after the collapse of the Soviet Union. Accordingly, the observation of the narrative model presents a conceptual picture of the collective memory of generations, which is distinguished by many peculiarities.

გურამ ბახტაძე
ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის
ქრონოლოგიური ჩარჩოები და პერიოდიზაცია
(თვალსაზრისი)

ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო შენაკადია. იგი მე-5 საუკუნიდან დღემდე უწყვეტად ვითარდება. (არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც „წმინდა ნინოს ცხოვრება“ „შუშანიკის წამებაზე“ საუკუნე-ნახევრით ადრეა დაწერილი. რ. სირაძე) ჩვენი ორიგინალური სიტყვიერების უმდიდრესი მემკვიდრეობა, საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლის მიზნით, (ჯერჯერობით) სამ ძირითად ნაწილად იყოფა: ძველი, ახალი და უახლესი. ამგვარი პერიოდიზაცია, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან ერთი პერიოდი არსებითად არ განსხვავდება მეორისაგან არც ენობრივი და არც იდეურ-თემატური თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, შიდაპერიოდიზაცია, არათუ მისაღები, არამედ აუცილებელიცაა.

ახალი ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ნახევრამდე პერიოდს მოიცავს. თუმცა ამგვარი დაყოფა მკვეთრ საზღვარს არ უწესებს მას ქართული ლიტერატურის მომიჯნავე პერიოდებთან. მეოცე საუკუნის დასაწყისში, ასპარეზზე გამოვიდა ქართული მწერლობის ახალი თაობა, რომელიც ახალი ესთეტიკური შეხედულებების, დამკვიდრებას ცდილობდა. გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სხვათა

ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა უახლესი ლიტერატურის კუთვნილებაა. მაგრამ 1915 წლამდე მოღვაწეობას აგრძელებენ ახალი ქართული ლიტერატურის კორიფეები: აკაკი და ვაჟა; ასევე, ეგნატე ნინოშვილი (1859–1894) მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის წარმომადგენლად იყო მიჩნეული, რადგან იგი „მესამე დასის“ წევრი იყო. უახლესი ლიტერატურის წარმომადგენლად ითვლებოდა დავით კლდიაშვილიც (1862–1931).

მართალია, ამგვარი დეტალები ვერ ცვლის, საერთოდ, მწერლობისა თუ კონკრეტული ავტორის შემოქმედების ესთეტიკურ არსს, მაგრამ როცა საუბარი ლიტერატურის პერიოდიზაციას შეეხება, საჭიროა მსგავსი გარემოებებიც გავითვალისწინოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართებული არ უნდა იყოს ტერმინის – „ახალი ქართული ლიტერატურის“ სინონიმად – „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის“, გამოყენება. რადგან ეს უკანასკნელი გვაკლდებულებს 1800–1900 წლებით შემოვფარგლოთ საკვლევი პერიოდი. თუმცა ცნობილია, რომ იოანე ბატონიშვილი, ავტორი შესანიშნავი „კალმასობისა“ საკმაოდ ნაყოფიერად აგრძელებდა მოღვაწეობას 1830 წლამდე. (მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ენციკლოპედია (1814). ყრმათა სასწავლებლად განკუთვნილი „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი“ (1829); ლექსად დანერილი „მიბაძვა იოანე სინელის კიბისა“ (1807), ორიგინალური თხზულებანი: „პატარა ედემით განძევა“, „აღსარება“, სამკურნალო წიგნი და სხვა“.) მიუხედავად ამისა, იგი კ. კეკელიძემ ძველი ქართული ლიტერატურის კუთვნილებად მიიჩნია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრამ 2010 წელს

გამოსცა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთათვის „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ნაწილი მეორე, რომელშიც სარედაქციო კოლეგიის (ი.ევგენიძე, თ. კიკაჩი-იშვილი, ლ. მინაშვილი, ს. ყუბანეიშვილი, ჯ. ჭუმბურიძე), გადანყვეტილებით შესული არიან ეგნატე ნინოშვილიცა და დავით კლდიაშვილიც.

ტრადიციულად მიღებულია, რომ მწერლობის პერიო-დი ასევე დაიყოს ქვეპერიოდებად, რაც ერთობ აადვილებს მხატვრულ თუ კრიტიკულ მასალებში ლავირებას. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პერიოდიზაციის სხვადა-სხვა ვერსია შემოგვთავაზეს: ალ. ცაგარელმა, ალ. ხახანაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, კიტა აბაშიძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, მიხეილ ზანდუკელმა, დანიელ რამი-შვილმა და სხვებმა, ე.ი. იმ მკვლევარებმა, რომელთა მიზანი იყო: ქართული მწერლობის სისტემური შეესწავლა. (იხ. ვრცლად: ციციშვილი, „სჯანი“: N-18, 2017წ.). ყველა მათგანი მწერლობის თვისობრივი განვითარების დინამი-კას თავისებურად იაზრებდა.

ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის თემას დანიელ რამიშვილმა მიუძღვნა სტატია – „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხისათვის“, რომელიც დაიბეჭდა წიგნში – ახ. ქართ. ლიტერატურის საკითხები II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972 წ. გვ: 175-195; (კრებული მომზადდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ.) ნაშრომი ეფუძნება მარქსიზმის კლასიკოსთა მეთოდოლო-გიურ მითითებებს, თუმცა მის სამეცნიერო ღირებულებას განსაზღვრავს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის სისტემური კვლევების ავტორისეული ანალიზი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ზანდუკელის მოსაზრება მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით, ეფუძნება კლასობრიობის პრინციპს, რაც დღეისათვის გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. (იხ. მ. ზანდუკელი, თხზ. ტომი 1., 1972. გვ.: 29-40)

ჩვენი აზრით, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია ძირითადად ვახტანგ კოტეტიშვილისეულ დაყოფას უნდა დაეფუძნოს, თუმცა ექვსის ნაცვლად, ოთხ ქვეპერიოდად უნდა გაიყოს:

I.რომანტიზმის პერიოდი. 30-იანი წლებიდან 1845 წლამდე ; (ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებამდე)

II. კრიტიკული რეალიზმის ჩასახვისა და განვითარების პერიოდი (1845-წ.დან 1860 წლამდე.)

III. თერგდალეულთა პერიოდი. (60–70–იანი წლები; თაობათა-დაპირიპირების მეორე ტალღის ჩათვლით.)

IV. ქართველ მწერალთა დასებად დაყოფის პერიოდი. (მე-19 საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან ცხრაას-ათიანი წლების პირველი ნახევრის ჩათვლით).

ცნობლია, რომ როცა ქართულ მწერლობაში მეორე დასი გამოიკვეთა, ფაქტობრივად მწერლობაში თავი იჩინა პარტიულ-პოლიტიკურმა ტენდენციებმა. ამიტომ სწორედ ეს ნიშანი ავიღეთ მეოთხე პერიოდის გაერთიანების საფუძვლად.

რა კონკრეტულმა გარემოებებმა განაპირობა ახალი ქართული ლიტერატურის ცალკე პერიოდად გამოყოფა? მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთმა უხეშად დაარღვია 1783 წლის მეგობრობის ტრაქტატი, გააუქმა საქართველოში სამეფო მმართველობა და წერტილი დაუსვა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობას. ეს უდიდესი ეროვნული ტრაგედია გახდა გადამწყვეტი

მნიშვნელობის მოვლენა, რამაც განაპირობა ქართული ლიტერატურული აზროვნების ხასიათი. მთელი საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობა იღვწოდა ეროვნული ყოფის გაცნობიერებისათვის. ამ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მე-20 საუკუნის დასაწყისს საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეხვდა კიდეც (1918–21). მაგრამ იმპერიალისტური რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის „წყალობით“ ეს საუკუნეც ავისმომტანი გამოდგა ქართველთათვის.

რუსეთის იმპერიაში ბოლშევიკური მმართველობის დამყარებამ ზეგავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის განვითარებაზეც. მართალია, მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული მწერლობა აუცილებლად შევიდოდა განვითარების ახალ ფაზაში, რადგან 1918 წელს ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა; შესაბამისად, ლიტერატურული აზროვნებაც თვისობრივადაც შეიცვლებოდა უკვე, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიის ისტორიაში დაიწყო „ბოლშევიკური ხანა“, რომელმაც ხელოვნების ნებისმიერი დარგი მკაცრად დაუქვემდებარა თავის იდეოლოგიას. ამრიგად, მე-19 საუკუნის 20–იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 10–იანი წლების მეორე ნახევრამდე პერიოდის მწერლობას ახალ ქართულ ლიტერატურას ვუწოდებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1972 წ;

მ. ზანდუკელი, თხზ. ტომი 1., თსუ გამომცემლობა, თბილისი 1972;

კრებული „სჯანი“: N-18, ლიტ. ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2017წ.

Guram Bakhtadze
Chronological frameworks and periodization
of the history of new Georgian literature
Summary

Since the Soviet Union ceased to exist, art in general and literature in particular have been freed from ideological clichés. It became necessary to break free from the dogmas acceptable to the Marxist formality of various methodologies and theories. Release. Due to the mentioned circumstances, the present article expresses the opinion about the new periodization of the new Georgian literature. Which, in the author's opinion, more clearly reflects the trends and stages of development revealed in the literature of the mentioned period

შორენა მახაჭაძე
„შავი ჭირი“ – აბსურდული სამყარო
და მარადიული წრეგზავნა

*„ჭირს ყველა თავის თავში დაატარებს იმიტომ,
რომ ქვეყნად არავინაა, დიახ, არავინაა მისგან დაზღვეული.“*

ალბერ კამიუ

ალბერ კამიუ აბსურდის თეორიის მამამთავარი და ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ორიგინალური წარმომადგენელია. ყოფის აბსურდულობას კი ისე კარგად არათვერი გამოხატავს, როგორც მოულოდნელად, თითქოს არსაიდან გაჩენილი მომაკვდინებელი ეპიდემიები, სტიქიური უბედურებები, უაზრო სისხლისმღვრელი ომები – ყველაფერი ეს ბოროტებაა, რომელსაც ძნელად მოეძებნება ლოგიკური ახსნა, გამართლება: „ომი მართლაც დიდი სისულელეა, მაგრამ ეს არ აფერხებს მის მსვლელობას. სისულელე მუდამ გამძლეა“ (კამიუ ალბერ, „შავი ჭირი“, გამ. „მერანი“, თბილისი, 1988:49; შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მიუთითებთ მხოლოდ გვერდებს).

სწორედ ასეთი „შავი ჭირის“ ეპიდემიაზე მოგვითხრობს მწერალი. ის დიდებულად გვიჩვენებს აბსურდის სამყაროში მოხვედრილი ადამიანის უმწეობას, უიმედობას, მის უსუსურობასა და ამაო გაბრძოლებას ფატალური გარდაუვალობის წინაშე.

„შავი ჭირი“ ბევრისმომცველი მეტაფორაა: ის ერთდროულად აღნიშნავს სტიქიურ უბედურებას, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, კონკრეტულ პოლიტი-

კურ ბოროტებას – ფაშიზმის სახით და, ზოგადად, ბოროტების მრავალსახეობას. ეს ბოროტება მარად თან სდევს კაცობრიობას ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ მას აქვს ციკლური განმეორებადობის თვისება.

განსხვავებით ამ წიგნთან პირველი შეხვედრის შთაბეჭდილებისა (ეს სადღაც სტუდენტობის წლებში იყო), რომანის კითხვისას ისეთი შეგრძნება მრჩებოდა, თითქოს დღევანდელ ახალ ამბებს ვესმენდი ან ვკითხულობდი გაზეთში. ამ განწყობას, რა თქმა უნდა, ამძაფრებდა მსოფლიოსა და საქართველოს თავს დატეხილი პანდემია და კიდევ ის, რომ ორანი ჰგავს ჩვენს ქალაქს: ისიც ზღვის პირასაა გაშენებული, ომში დაღუპულთა ძეგლიც კი ზღვის პირას, ბულვარში დგას, თუმცა პარადოქსული ისაა, რომ ზღვისპირა ქალაქში ზღვა არ ჩანს (11), ესეც ჩვენი თანამედროვეობაა!

ასე რომ, სავსებით ვეთანხმები მკვლევარ ვერა შერვაშიძეს, რომელიც წერს, რომ კორონავირუსის პანდემიისა და მისგან გამომწვეული კარანტინის ფონზე მხოლოდ მეტისმეტად ზარმაცებს არ გაახსენდათ კამიუს რომანი „შავი ჭირი“ (შერვაშიძე, 2020:). მართლაც, ძალაუვნებურად ჩნდება პარალელები ჩვენს დღევანდელ რეალობასა და კამიუს მდიდარი მხატვრული ფანტაზიით შექმნილ ორანის სინამდვილეს შორის: მწერალი დოკუმენტური სიზუსტით, დასტაქრის დაუნდობლობით ჭრის და კერავს, აღადგენს ჭირშეყრილი ქალაქის ყოველდღიურობას, მის მცხოვრებთა ფიზიკურ, სულიერ, ზნეობრივ ტრაგედიას. ორანელები თავდაპირველად სერიოზულად არც აღიქვამდნენ თავსდამტყდარ უბედურებას, დიდხანს იტყუებდნენ თავს, რადგან „ადამიანი დიდ

უბედურებას ვერ ეგუება, ამიტომ თავს ირწმუნებს, უბედურება არარეალურია, ეს ცუდი სიზმარია და ქარს გაჰყვებაო“ (50).

ქალაქის პრეფექტურასაც პირველ ეტაპზე მაინც თვალის დახუჭვა ერჩივნა, არ სურდა, პანიკა ამტყდარიყო, თუმცა ბოლოს იძულებული გახდა, ჟამიანობა გამოეცხადებინა და ქალაქი ჩაეკეტა, ყველა დაწესებულება კი საკარანტინო ზონად და საავადმყოფოდ გადაექცია.

მანამდე ორანი ერთი ჩვეულებრივი პროვინციული ქალაქი იყო, თავისი ერთფეროვანი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ცხოვრების წესით. აქ არათფერი ხდებოდა უჩვეულო, უფრო მეტი, ისეთი მოვლენა, როგორიც სიკვდილია, ვერ ცვლიდა მის დღეთა ჩვეულ მდინარებას: „სიკვდილი აქ სიძნელეებთანაა დაკავშირებული... მოუხერხებელია,“ (10), ორანის მცხოვრებნი მასზე არასოდეს ფიქრობდნენ, ჯიუტად არ აღიარებდნენ მის არსებობას და ამიტომაც აღიქმება ბედის მწარე დაცინვად, როცა სიკვდილი ამ ქალაქის ყოველდღიურობად, უფრო მეტი, მშრალ სტატისტიკად იქცევა, პერიოდულად რომ აცნობენ მოქალაქეებს. ისინიც, თავდაპირველად მოკრძალებით რომ ასაფლავებდნენ თითოეულ გარდაცვლილს, როდესაც ადამიანები მასობრივად იხოცებიან, გვამებს ერთიანად ყრიან ორმოებში ან წვავენ.

შავი ჭირის წინააღმდეგ თავდაუზოგავ მებრძოლს, ექიმ რიესაც კი, თითოეული პაციენტის სიკვდილს რომ განიცდიდა, გულგრილობამ დარია ხელი, რადგან „ეს ბრძოლა ჟამის წინააღმდეგ დაუსრულებელ მარცხად იქცა“ (112). სწორედ ექიმი რიე იხსენებს ჭირმოდებულ ათენს, ფრინველებმაც რომ მიატოვეს, მდუმარე, სულთმობრძავი ადამიანებით სავსე ჩინეთის ქალაქებს, მარსელელ კატორღე-

ლებს, პროვანსის დიდი კედლის მშენებლობას, კედლისა, რომელსაც გზა უნდა შეეკრა შავი ჭირის მძვინვარე შემოტევისთვის, კონსტანტინოპოლს, მილანს, ლონდონს და მათ გზებზე გვამებით დატვირთულ ურმებს... დღისით და ღამით „ნიღბოსანი ექიმების მასკარადსა“ და ავად-მყოფთა გაბმულ კვნესას (53). დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირებული ორანი თავისთავში აერთიანებს ამ ქალაქთა (ფაქტობრივად, – მთელი სამყაროს) ბედს და კიდევ უფრო ძლიერდება იმის შეგრძნება, რომ ყველა-ფერი შეიძლება კვლავ და კვლავ, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროსა და ეპოქაში კიდევ უფრო მასშტაბური და სასტიკი ფორმით განმეორდეს; ამიტომ რომანის ბოლო ეპიზოდში ექიმი რიე არ უერთდება შავი ჭირის დამარცხებით გამოწვეულ საყოველთაო აღტაცების ყიჟინას, ვერ იზიარებს თანა-ქალაქელთა სიხარულს, რადგან მან „იცოდა, რომ შავი ჭირის ბაცილა არასოდეს კვდება და არც არასოდეს ქრება, რომ მას შეუძლია ათეულ წლობით ეძინოს... და იქნებ ერთი დღეც დადგეს, როცა ადამიანთა საუბედუროდ თუ მათ ჭკუის სასწავლებლად, შავი ჭირი კვლავ გამოალვიძებს ვირთხებს და სასიკვდილოდ გამოაგზავნის ბედნიერ ქალაქში“ (375). ეს მარადიული წრებრუნვის კანონია და უცდომლად მოქმედებს ყველა ეპოქაში!

ირონიულად ისმის რომანის დასაწყისში თქმული მწერლის სიტყვებიც: ორანის მოქალაქეები დღედაღამ შრომობდნენ, რათა გამდიდრებულიყვნენ, რაც შეიძლება მეტი ფული ეშოვათ, არადა, იგივე მოქალაქეები შავი ჭირის ეპიდემიის დროს, ფაქტობრივად, სიკვდილის წინაშე მარტოდმარტო, პირისპირ დარჩენილები, დაუფიქრებლად აძლევენ ცეცხლს ამ მთელი ცხოვრების მანძილზე

თავაუღებელი შრომით ნაშოვნ ქონებას, სახლ-კარს იმ იმედით, რომ, იქნებ, ხანძარმა შთანთქმას შავი ჭირის ბაცილა და სიცოცხლე გადაირჩინონ.

როგორც 1942 წელს ფაშისტებმა დაიპყრეს ორანი, ისე ოკუპირებული შავი ჭირის ეპიდემიის მიერ ქალაქი. ეს საკმაოდ გამჭვირვალე ალეგორიაა კამიუს ტექსტში. უფრო მეტი, შავი ჭირი დამოუკიდებელი პერსონაჟია რომანისა, რომელიც თავისი შეუბრალებელი, განურჩეველი, თანაგრძნობას უნარს მოკლებული ხასიათით ერთნაირად მუსრავს ყველას: ახალგაზრდასა და მოხუცს, დიდსა და პატარას, ცოდვილსა და უცოდველს; მოქალაქეებს ართმევს ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს, სიყვარულის, ურთიერთობის სიხარულს, უკარგავს ადამიანურ სახეს.

„რა არის ჭირიანობა?“ – სვამს კითხვას მწერალი და თავადვე პასუხობს: „ესეც ცხოვრებაა“ (372). საყოველთაო გასაჭირის დროს კარგად მუღავნდება ადამიანების ეგოისტური, ფარისევლური ბუნება, მთელი ძალით იწყებს მუშაობას თვითგადარჩენის ინსტინქტი. ამის კლასიკური მაგალითია ორანში შემთხვევით მოხვედრილი ჟურნალისტი რამბერი: ის ყველა კანონიერი და უკანონო გზით ცდილობს ქალაქიდან გაქცევას, თუმცა, პარადოქსულია, რომ ბოლოს, როცა ამის რეალური საშუალება მიეცემა, გადაიფიქრებს წასვლას, აღიარებს გარდაუვალის ფატალურობას და იმას, რომ „შეიძლება შერცხვეს კაცს, მარტო შენ თუ იქნები ბედნიერი“ (247). ისიც ნებაყოფლობით უერთდება „რეგისტრირებული სიკვდილისთვის განწირულთ“ (227).

ზოგიერთი, კოტარის მსგავსად, (რომ არა შავი ჭირი, კოტარს დაიჭერდნენ), ხელს ითბობს ამ უბედურებაზე და წვრილ-წვრილი სპეკულაციებით მდიდრდება. ეს პერსო-

ნაჟი შავი ჭირის – სიკვდილის, მოკავშირეა. მას არც სინდისის ქენჯნა აწუხებს, არც რაიმე ზნეობრივი პრინციპები გააჩნია, მისთვის ყველაფერი დასაშვებია, თუმცა ამ იმორალიზმს ის თვითგანადგურებამდე მიჰყავს.

სწორედ კოტარს ათქმევინა მწერალმა დამატუქრებული, ღრმა ქვეტექსტის შემცველი სიტყვები: „ერთადერთი გზა ხალხის გასაერთიანებლად, მათთვის შავი ჭირის მოვლენა იყო“ (238). რომანში ბევრი მსჯელობაა ამის შესახებ: რატომ მოევლინა ქალაქს შავი ჭირი? იქნებ, იმიტომ, რომ ადამიანებმა დაათვასონ სიცოცხლე, სიყვარული, ურთიერთობის ბედნიერება და, რაც მთავარია, ახსოვდეთ სიკვდილის გარდაუვალობა.

საინტერესოა ექიმ ბერნარ რიესა და მღვდელ პანელუს დაპირისპირება ღვთის რწმენის საკითხზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს მას შემდეგ ხდება, როცა ორივენი ხდებიან მონაწილე უცოდველი, უსუსური ბიჭის ტანჯვით სიკვდილისა. აი, ეს ბევრისმთქმელი და ბევრი კითხვის გამჩენი დიალოგი:

„- ო, ეს ბაღლი ხომ უცოდველი იყო, თქვენც კარგად უწყით!

- ასეთი წყრომით რატომ მელაპარაკებით? – უპასუხა მოძღვარმა – ეს სანახაობა ჩემთვისაც აუტანელი იყო!

- თქვენ მართალი ხართ, შემინდეთ. დაღლილობამ დამრია ხელი, მაგრამ არის წუთები, რომელიც ამ ქალაქში ჯანყისთვის განგანყობს.

- მესმის, ჯანყისთვის განგვანყობს, რაკი ყოველგვარი წვდომის საზღვარს სცილდება. მაგრამ, იქნებ, გვმართებს იმისი სიყვარული, რასაც ჩვენი გონება ვერ მისწვდენია!“ (264)

როგორც ამ დიალოგიდან ჩანს, მღვდელ პანელუს აზრით, ღმერთი ისაა, ვისაც, ვის მოქმედებასაც ჩვენი გონება ვერ წვდება და ამიტომ ბრმად უნდა ვინამოთ მისი არსებობა და მისი ღვთიური სიმართლეს. ექიმი რიე კი არ აღიარებს ღმერთს, რომელიც უცოდველი, უმწეო ბავშვის ტანჯვას დაუშვებს. ის არ ეგუება შავი ჭირის სახით მოვლენილ სიკვდილს, ბოროტებას და მიაჩნია, რომ ადამიანი

არ უნდა იყოს ღვთის კეთილი ნების იმედად და ყველა შესაძლო გზით, ხერხით უნდა იბრძოლოს მის წინააღმდეგ. პრინციპში ის ასეც იქცევა, არასოდეს არ ყრის თვარ-ხმალს. ის ორანის საზოგადოებას უპირისპირდება: თავდაპირველად ცდილობს, დაარწმუნოს ისინი შავი ჭირის არსებობაში, შემდეგ კი – ამ სენის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის შექმნის შესაძლებლობაში. დაავადების უკან დახევის შემდეგ კი ექიმ რიეს კვლავ სკეპტიციზმი იპყრობს, რადგან, როგორც ვთქვით, იცის, რომ ეს უკან დახევა დროებითია, აბსურდულ სამყაროში ყველაფერი მეორდება: მარადიული განმეორებადობის კანონის ძალით იქმნება საბედისწერო ჯაჭვი და, მითიური სიზიფეს მსგავსად, ადამიანებს ხელახლა უწევთ ბრძოლის დაწყება სახეცვლილ ბოროტებასთან. შემთხვევით არ დაწერა 1942 წელს კამიუმ ფილოსოფიური „სიზიფეს მითი“, როგორც თავად უწოდა, „ესე აბსურდის შესახებ“. სიზიფეს მსგავსად, კამიუ და მისი რომანის გმირი, ექიმი რიე აუმბოხდებიან უმაღლეს ზეციურ ძალებს, არ ეპუებიან მათ განაჩენს და, მიუხედავად იმისა, რომ შეგნებული აქვთ ამ ბრძოლის უაზრობა-აბსურდულობა, არ იხევენ უკან. სწორედ ესაა ეგზისტენციალური მიდგომა ადამიანის იდეისადმი: ის საკუთარ თავს თვითონ ქმნის, მას ხომ ყველაზე დიდი უფლება: არჩევანის თავისუფლება გააჩნია. „აბსურდის ადამიანის თვითდამკვიდრება კი ამბოხის გზით ხდება“ (სარტრი, 1993:33).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი რომანისა, ჟან ტარუ, პროკურორის ვაჟი – ეს მუდამ „ხალისიანი, მუდამ მომღიმარი,... ყველა ბუნებრივ სიამეთა ტრფიალი“ (33), ჟამიანობის ობიექტური მემატყანე, რომელიც ახალგაზრდობიდან თავდაუზოგავად იბრძოდა სიკვდილის ყველა

ფორმის წინააღმდეგ, გახდა ჟამიანობის მეცხრე ტალღის ბოლო მსხვერპლი. ამის შემდეგ შავი ჭირით აღარავინ მომკვდარა: მისი სიკვდილი აბსურდის თეორიის კიდევ ერთ არგუმენტად იქცა ისევ, როგორც 46 წლის ასაკში დიდების მწვერვალზე მყოფი ნობელის პრემიის ლაურეატის – ალბერ კამიუს დაღუპვა საავტომობილო კატასტროფაში!

ალბათ, ესეც სიმბოლურია, რადგან ჩვენი ბრძენი წინაპრისაც არ იყოს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი.“
(რუსთაველი, 1979:808)

სწორედ ამიტომ: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“ (808). ჟან ტარუს სიკვდილი, ისევ, როგორც ექიმ რიეს გადარჩენა ნამდვილი ადამიანური გმირობაა, გამოწვევაა ბედისწერისა, ღმერთისა, აბსურდული სამყაროსი.

როცა ვკითხულობდი ექიმ რიეს სიტყვებს, რომ, იქნებ, სჯობდეს უფალი ღმერთისთვის, რომ მისი საერთოდ არ სწამდეთ და ყველა ძალით იბრძოლონ სიკვდილის წინააღმდეგ (110), გამახსენდა ერთი ხასილური სიბრძნე: რაბინს ჰკითხეს: „რისთვის არსებობს უღვთოება?“ მან უპასუხა: „ისიც კი სასარგებლოა, როცა ვისიმე დახმარებაა საჭირო, რადგან, როცა კაცი დახმარებას გთხოვს, საკმარისი არ არის, უთხრა, უფალს მიენდეთ, არამედ უნდა იმოქმედო ისე, თითქოს ღმერთი არც კი არსებობს და მთელს სამყაროში შენს მეტი ვერავინ შეეწევა ამ კაცს“ (ხასილური..., 1994:5). სწორედ ასე ებრძვიან ექიმ რიეს ინიციატივით შექმნილი მოხალისე სანიტარული ბრიგადები შავ ჭირს.

რიეს შეხედულებით, მოყვასის სიყვარულის, მისდამი თანაგრძნობის გარეშე, არსებული სამყარო მკვდარია.

დიახ, სამყარო აბსურდულია, თუმცა ამ აბსურდის შეცნობა და მის წინააღმდეგ ამბოხება შეძლია პიროვნებას. ამის კლასიკური მაგალითები ბევრია ქართულ მწერლობაშიც. საკმარისია მხოლოდ ორი მათგანის გახსენება: რენესანსული პერსონაჟი, ავთანდილი თვლის, რომ, მართალია, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ (801), მაგრამ ეს მისთვის არ ნიშნავს ღვთის, განგებისა თუ ბედისწერის წყალობის მოლოდინში გულხელდაკრეფილ ყოფნას, პირიქით, მისი რწმენა და დევიზია: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების!“ (912)

ახლა მოვიყვანოთ რუსთაველის დიდი მემკვიდრის მიერ წუთისოფლის (ვფიქრობ, ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეს გენიალური კომპოზიტიც სამყაროს აბსურდულობას გამოხატავს!) ამაოების (რაც იგივე აბსურდულობაა!) გამომხატველი სტრიქონები და მარადიული კითხვები:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი?“

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,

მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..“

და პასუხი, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობელ ერს სიამაყით ავსებს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,

უნდა კიდესა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

(ბარათაშვილი, 1978:177)

ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ: ქართული მწერლობა ყოველთვის ეჭიდებოდა ზოგადკაცობრიულ პრობლემებს, კითხვებს, პროგრესულ პასუხებსაც იძლეოდა მათზე და ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ამას ევროპელი კლასიკოსები გააკე-

თებდნენ. კულტურათა ეს დიალოგი არცერთ ეპოქაში არ შეუწყვეტია თექვსმეტსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას.

ნობელის პრემიის მინიჭებისას ალბერ კამიუმ თქვა: „ერთადერთი რეალისტი არის ღმერთი, თუ იგი არსებობს“ (კამიუ, 1990:158), მაგრამ, როგორც ვნახეთ, „შავ ჭირში“ მან პანდემიის ლამის დოკუმენტური სურათი აღადგინა, მოდერნისტმა კამიუმ იმდენად რეალისტურად დახატა შავი ჭირის მძვინვარება და ადამიანების უმწეობა, მათი სასიკვდილო აგონია, მკვდარი ქალაქის უძრაობა და იქ ჩამონოლილი შემზარავი „დამარცხების დუმილი“, რომ მკითხველს ხშირად წიგნის დასრულების შემდეგაც თან სდევს ლამის ნატურალისტურად დახატული კოშმარული ხილვები. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომანი მაინც ოპტიმისტურ განწყობას გვითვებს, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, ეგზისტენციალისტ შემოქმედს სჯერა: „ადამიანში აღტაცების მომგვრელი მეტია, ვიდრე დასაძრახი“ (273). სწორედ ამ დასკვნამდე მივყავართ ალბერ კამიუს რომანს, ამიტომაც გვითვებს ის იმედს, რომ, შეიძლება, ოდესმე ეს მოჭადოებული წრე გაირღვეს და ბოროტების, თუნდაც – დროებითი, ზეიმი შეწყდეს, ის დაამარცხოს ადამიანის თავისუფალმა ნებამ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარათაშვილი ნიკოლოზ, იხ. წიგნში: „ქართველი რომანტიკოსები“, გამ. „საბ. საქართველო“, თბილისი, 1978.

კამიუ ალბერ, „შავი ჭირი“, გამ. „მერანი“, თბილისი, 1988.

კამიუ ალბერ, იხ. წიგნში: „მეამბოხე ადამიანი, ფილოსოფია, პოლიტიკა, ხელოვნება, მოსკოვი, 1990.

Камю Альбер, Бунтующий человек. Философия. Политика. Искусство, Москва.

რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1979.

სარტრი ჟან-პოლ, „უცხო“ განმარტება“, იხ. წიგნში: ჟ.პ. სარტრი, „სარკის მეორე მხარე“, გამ. „ლომისი“, თბილისი, 1993.

ხასილური სწავლანი, გამ. „ლომისი“, თბილისი, 1994.

შერვაშიძე ვერა, „შავი ჭირი“, ან XX საუკუნის ევანგელე“, იხ.

<https://gorky.media/context/chuma-ili-evangelie-hh-veka/>, 2020.

Шервашидзе Вера, «Чума», или Евангелие XX века»,

<https://gorky.media/context/chuma-ili-evangelie-hh-veka/>, 2020.

Shorena makhatchadze

“The Plague” and the Law of Eternal Circulation

Summary

Albert Camus is the father of the theory of absurdism and one of the original existentialist philosophy representatives. Nothing expresses the absurdism of being so well as sudden, as deadly epidemics out of blue, natural disasters, senseless bloody wars – all this is evil, difficult to find a logical explanation and justification. The writer exactly tells about such an "epidemic of the Black Death." He magnificently shows the helplessness hopelessness of a person in the world of the absurd.

"Black Death" is an extended metaphor: it simultaneously refers to a natural disaster that cannot be avoided, a particular political evil in the form of fascism, and, in general, a variety of evil. This evil has always haunted humankind at any stage of history, and it has the property of cyclical repetition.

ნონა ნიქაბაძე
„ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის თურქული
თარგმანის ზოგიერთი საკითხისათვის

თარგმანის თეორია უახლესი მეცნიერებაა, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ეს სამეცნიერო დარგი, რომლის კვლევის საგანი ადამიანთა შორის კომუნიკაციის უახლეს პერიოდს უკავშირდება, თანამედროვეა როგორც ჩამოყალიბების დროით, ისე კონცეპტუალურად. თავისი ბუნებით თარგმანი მრავალენოვანი და ინტერდისციპლინარულია.

ტერმინ „თარგმანს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: თარგმანი არის შედეგი, ან ორ განსხვავებულ ენას შორის მიმდინარე პროცესი. მთარგმნელი ცვლის საწყის ტექსტს წყარო ენიდან სამიზნე ენაზე, განსხვავებული ენობრივი ნიშნით.

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის ერთადერთი თურქული თარგმანი ეკუთვნის პროფ. ბილალ დინდარსა და ასისტ. პროფ. ზეინელაბიდინ მაქასს. თურქული თარგმანი გამოიცა 1991 წელს ქალაქ სამსუნში.

ნაშრომში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის თურქული თარგმანისა და ქართული ტექსტის შედარებითი ანალიზი.

რადგან მთარგმნელი ქართულ ენასა და ლიტერატურას სათანადოდ არ ფლობდა, ამიტომ თარგმნის სიძნელე აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მცოდნე მეგობრის ასისტ. პროფ. ზეინელაბიდინ მაქასის დახმა-

რებით დაუძლევია (Dindar, 1991:1-2). მთარგმნელი აქვე დასძენს, რომ თარგმნის პროცესში, სერგი წულაძის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანითა და აჰმეთ ჯევათის აზერბაიჯანული თარგმანით ისარგებლა.

ორიგინალ ტექსტთან შედარებით „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანის პირველი თავის შემდეგ ტაეპებში დასტურდება კლება. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში გამოტოვებულია ხაზგასმული ლექსიკური ერთეულები:

მოსამართლე და მონყალე, მორჭმული, განგებიანი,(1)

მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ბის ლალი და წყნარია,(3)

იყინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს, (38)

ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებლად. (39)

Bu neş'eli, hem hoş sohbet ve cömert yiğit şahın (ამ მხიარულ, მჭერმეტყველ, ხელგაშლილ მამაც შახს) (1)

Birgün tahta çıktı sultan azametle, vezirleri (ერთ დღესაც სულთანმა ტახტზე დაჯდა სიდიადით, ვეზირები....) (3)

Sonra gülüp eğlendiler, dili şirin, kalbi ıyık (იყინოდნენ, ერთობოდნენ, ენა ტკბილი, გული ნათელი) (38)

Vurduğumuz avları sayıp ve hesabını bilelim (დახოცილი ნადირი დავთვალოთ და გავიგოთ ანგარიში) (39)

აღნიშნული ლექსიკურ ერთეულებს ქართულ ტექსტში მხატვრული დატვირთვა აქვთ.

ლექსიკური ერთეულები – **უტყუვრად**, **მიუმცდარებლად**, **სინონიმებია**, რომელთაც ნ. ნათაძე განმარტავს შემდეგნაირად – „შეუცდომელად“ (ნათაძე, 2007: 30), **ყმაწვილობდეს** ნიშნავს – „ხუმრობდნენ, უდარდელად მხიარულობდნენ“ (ნათაძე, 2007: 30), **მორჭმული** – „გამარჯვებული, წარმატებული“, **განგებიანი** – „მართვა-განმგებლობის კარგად მცოდნე“ (ნათაძე, 2007: 26), ილია აბულაძესთან ლექსიკური ერთეული **მონყალე** განმარტებულია, როგორც – „მწყალობელი“⁴. **ლალი**, **წყნარი** – „თავისუფა-

⁴ <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=21410>

ლი, ამაყი; მშვიდი, უშფოთელი“ (ნათაძე, 2007:26). ზემო-
ხსენებული სიტყვებით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ექსპრე-
სიულობა შემოაქვს ტექსტში.

თურქულ თარგმანში კი ორიგინალ ტექსტში არსებული
დინამიკა დარღვეულია, წყარო ტექსტიდან სამიზნე ენაზე
თარგმნილი არაა მხატვრული ხერხები, რის გამოც შემსუ-
ბუქებულია ტექსტის დინამიკური სურათი, ამიტომ თარგმანი
ვერ ახდენს ისეთივე ზემოქმედებას, როგორც ორიგინალი
ტექსტი.

დინამიურობა ასევე იკარგება იმ შემთხვევაშიც, როცა
ორიგინალის ფრაზულ გამეორებას მთარგმნელი ცვლის
ირიბი თქმით, რითაც კიდევ უფრო სუსტდება დინამიური
სურათი და მდორე თხრობად იქცევა.

გაუკვირდა: ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?!
(30) (პირდაპირი თქმა)

*Hayret etti vezirdeki bu saygısız acı dile. (30) (გაოცდა რა
ვეზირის თავხედობით, მწარე ენით) (ირიბი თქმა).*

კადრება' ძველ სალიტერატურო ქართულში ნიშნავს
„გაბედვას“, ე.ი. ვით მკადრაო' – როგორ გამიბედა, მითხრა
(ნათაძე, 2007:29).

აღსანიშნავია, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატუ-
რაში რუსთველისეული აფორიზმის – **„ლეკვი ლომისა
სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადია“** სხვადასხვა ინტერპრე-
ტაცია არსებობს. ამჯერად ამ საკითხს სიღრმისეულად არ
შევეხებით. მთარგმნელს აფორიზმი **„ლეკვი ლომისა სწო-
რია, ძე იყოს თუნდა ხვადია“** პირდაპირი მნიშვნელობით
გადააქვს, *„Dişi aslan da aslandır, böyle söylemiş atalar“* (**ძე
ლომიც ლომია, ასე უთქვამთ წინაპრებს**). **„ძე ლომიც
ლომია“** აფორიზმის გასამყარებლად ის მიმართავს პერ-
სუასიას – **ასე უთქვამთ წინაპრებს**. საინტერესოა, თურქულ

რეალობაში მთარგმნელის ეს დამოკიდებულება რამდენად მიღებულია, თანასწორი იყო თუ არა ქალი და კაცი იმ პერიოდის თურქეთში, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა? ამის შესახებ ინფორმაციას გვანვდის თურქული ლიტერატურა და წერილობითი წყაროები. ჩვ. წ. VI-VIII ს.ს.-ში, გოქთურქების მმართველობის პერიოდში, ორჰონისა და ენისეის წარწერებში ბილგე ხაკანის სათლავის ქვაზე წერია: **„შემოქმედმა, თურქი ერი რომ არ გადაშენდეს, მამაჩემი ილ-თერიშ ხაკანი და დედაჩემი ილ-ბილგე ხათუნი აღაზიფა“**, ეს წარწერა გვიჩვენებს თურქი ქალის მნიშვნელოვან როლს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში (Acar, 2019:396). XI-XII ს.ს.-ში სელჩუკთა მმართველობის ხანაში ქალის როლზე საუბრობს პროფ. ალი დუიმაზი: **„სელჩუკთა მმართველობის ხანაში ქალის ძეგლებს, ცხენზე მჯდომი ქალისა და შეიარაღებული ქალების ნახატებს ვხვდებით. უიღურთა ხაკანმა ბოლუმ კი ჩინეთში სალაშქროდ მეუღლე წაიყვანა, ისინი ბრძოლაში ერთად იღებდნენ მონაწილეობას“** (Ögel, 1979:116). ისტორიკოს ოსმან თურანის მიხედვით: **„სელჩუკთა დინასტიიდან ალთუ არსლანის და – გევჰერ ხათუნი, მისი ქმრის ერბასგანის ბიზანტიაში გაქცევის შემდეგ, მასზე დაქვემდებარებულ ლაშქარს ჩაუდგა სათავეში, ეს საკმარისია იმის საფიქრებლად, რომ გევჰერ ხათუნი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში“** (Turan, 1993:173-201). როგორც ვხედავთ, თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის განხილვას დიდი ადგილი ეთმობა. სავარაუდოდ, მთარგმნელს სწორედ ამ მიზეზით უნდა მიემართა პერსუასიისთვის. თუმცა, წყაროებში ტახტის მემკვიდრე ქალი არაა ნახსენები.

რიცხვითი სახელი **ბევრ-ათასი** '„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ათი მილიონი (შანიძე, 1960: 4). თურქულ თარგმანში კი სიტყვა **ბევრ-ათასი** თარგმნილია შემდეგნაირად – *Milyonluk* (**მილიონიანი**):

ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა, (13)

Milyonluk orduya ise Aftandil oldu komutan. (13)

აღსანიშნავია, რომ რიცხვითი სახელის ეს ცნება XII ს.-ში არ არსებობდა, უფრო მეტიც, თურქული ლაშქრის დანაყოფებს, რაოდენობის მიხედვით შესაბამისი დასახელებები ჰქონდა. ასე მაგალითად, *Tümen* ისტორიული ტერმინია, რომელიც ითარგმნება შემდეგნაირად: 1) დუმანი (ათი ათასი ჯარისკაცი); უთვალავი, აურაცხელი, უამრავი (გურგენიძე, ჩლაიძე... 2001:1380).

„ძველად თურქების ლაშქრის ყველაზე დიდი დანაყოფი 10 ათასი კაცისგან შედგებოდა. ამ დანაყოფს „თუმენ/დუმან“ ეწოდებოდა. თუკი ხაკანის შემადგენლობაში 40 ათასიანი ჯარი იყო, 4 თუმენისგან/დუმანისგან შემდგარი ლაშქარიამ ამბობდნენ“ (Durmuş, 2020:92).⁵

თარგმანში ხშირად გვხვდება სოციოკულტურული ფაქტორით განპირობებული შესატყვისები. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკურ ერთეულს „მეფე“ თურქულ ენაში აქვს ზუსტი ეკვივალენტი *kral*, „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში მთარგმნელი იყენებს შემდეგ სიტყვებს – ფადიშაჰი (7...), შაჰი (1...), სულთანი (17...). აღსანიშნავია, რომ მთარგმნელის მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულები აღმოსავლურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიტყვებია, წოდებით კი მეფე, შაჰი, ფადიშაჰი და სულთანი ერთმანეთის სინონიმებია.

ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჭიროო?"

⁵ თურქულიდან თარგმანი ჩვენია

საუბარია თინათინზე, მთარგმნელს კონცეპტი მეფე⁶ თარგმნილი აქვს როგორც სულთანი, თურქული ენის ასოციაციის ლექსიკონის განმარტებით სულთანი – 1) მუსლიმი, განსაკუთრებით კი სუნიტი მმართველების ტიტულია, ფადიშაჰი: კანონმდებელი სულთან სულეიმანი; 2) ფადიშაჰის ქალ-ვაჟების, დედისა და მეუღლის ტიტული: ნაჯიე სულთანი, ჰიურემ სულთანო.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტი „ნაუფლისწული“ თარგმანილია როგორც – „შახის ქალიშვილი“:

მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი (21)

Şah kızının neyi varsa getir benim huzuruma (21)

ლექსიკური ერთეული უფლისწული⁷ ა. შანიძეს განმარტებული აქვს შემდეგნაირად – უფლის-წული – „მეფის ვაჟი (გამეფებამდე), ბატონიშვილი; ნაუფლისწულევი⁸ იმ დროს შეძენილი, სანამ უფლისწული იყო, სანამ მეფედ გახდებოდა“ (შანიძე, 1960: 36). თინათინი, ამგვარად, საკუთარ ქონებას გასცემს და არა სახელმწიფოს კუთვნილს.

ისევე როგორც ქართულ ენაში, თურქულშიც „უფლის-წული“ ვაჟის გამომხატველია. ამ სიტყვის ზუსტი ეკვივალენტი თურქულ ენაში არის *şehzade* – წოდება, რომლის ტარების უფლება ფადიშაჰის ვაჟებსა და ვაჟების ვაჟებს ჰქონდათ⁹, რასაკვირველია მთარგმნელი ამ ტერმინს მეფის ქალიშვილის აღსანიშნად ვერ გამოიყენებდა, რადგან საზოგადოება, რომლისთვისაც თურქული თარგმანი შეიქმნა, სავარაუდოდ, მთარგმნელს სიტყვა *şehzade*-ს გამოყენებას შეცდომად ჩაუთვლიდა ან უფრო მეტიც მათ-

⁶ იხ. *Türk Dili Kurumu Sözlüğü*; <https://sozluk.gov.tr/>

⁷ იხ. *Türk Dili Kurumu Sözlüğü*; <https://sozluk.gov.tr/>

თვის გაუგებარი იქნებოდა. თუმცა მთარგმნელს „ნაუფ-ლისწულევი“ ცნების შესატყვისად შეეძლო გამოეყენებინა ლექსიკური ერთეული *sultan*–სულთანი, როგორც უკვე აღ-ვნიშნეთ, თურქული ენის ასოციაციის ლექსიკონის განმარ-ტების მიხედვით ეს ტერმინი **ფადიშაჰის ასულს** ნიშნავს.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში გვხვდება არათუნქიური ეკვივალენტობის მაგალითი. კერძოდ, **ბურთაობა**’ სიტყვა–სიტყვითაა გადატანილი, თუმცა **ბურთაობის**’ ფუნქცია დაკარგულია, რადგან ორიგინალ ტექსტში იგულისხმება ცხენბურთის თამაში. ხოლო შესატყვისი *top oynamak*’ ასოციაციურად მიემართება **ფეხბურთის თამაშს**, ან უბრალოდ **ბურთის თამაშს**.

სავარაუდოდ, მთარგმნელს არ აქვს შესაბამისი ფონე-რი ცოდნა, რადგან **ბურთაობა** საქართველოში სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“–ს უცნობი ავტორი, ერთ–ერთ საზეიმო თავყრილობას ასეთნაირად აღწერს: „*დამყოფელთა მსგეფსისა ერთისათა ჰქონდა ყოველთა დღეთა სიხარული: მათგან ძღუნობა, ამათგან ბოძება, ნადირობა და „ბურთაობა“*. ბურთაობის შესახებ ცნობებს ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოისა საქართველოის“, რომელშიც მოგვითხრობს „.....შემდგომ ამისა შექმნიან ბურთაობა და, რომელმან მხარემან აჯობოს, იყო იგი – მხარეთა ლარნი სამეფონი, და მისციან მას თვითო თვითო“. არჩილი კი თავის „საქართველოს ზნეობანში“ ამბობს, რომ ქართველმა რაინდმა უნდა ოცოდეს „*ჩოგნის მოხვრეტა, გამოჭრა, ბურთაობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა*“ (ბარჯაძე, 1991:14).

აღსანიშნავია რომ ლექსიკურ ერთეულ „ბურთაობა“–ს თურქულ ენაში შესატყვისი აქვს – „*çevgen*“/ „*çögen*“.

თურქულ ენაში ეს თამაში პირველად XI საუკუნის „ქაშგარლი მაჰმუდის დიდ თურქულ-არაბულ ლექსიკონში“ დასტურდება (Eyduvan, 2009: 85).

ჩვენ წარმოვადგინეთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის თურქულ თარგმანში ქართულ ტექსტთან მიმართებით არსებული განსხვავებები, რომლებიც განპირობებულია ორი განსხვავებული კულტურით. თურქულად თარგმნილ ტექსტში ორიგინალ ტექსტთან შედარებით დასტურდება კლება, რის გამოც შემსუბუქებულია თარგმანის დინამიური სურათი. თარგმანში ასევე გხვდება ეკვივალენტობის არ მქონე ლექსიკური ერთეულების მსგავსი სიტყვებით ჩანაცვლების შემთხვევები, რაც ასევე განსხვავებული კულტურითაა გამოწვეული. „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ თარგმანში ვხვდებით ასევე არაფუნქციური ეკვივალენტობის მაგალითს, რასაც შესაბამისი ფონური ცოდნის უქონლობა განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარჯაძე, 1991: ბარჯაძე გაბრიელ, „ლელობურთის ქრონიკები“; გამომცემლობა: „კიდევაც დაიბრდებიან“, თბილისი. 1991;

გურგენიძე, ჩლაიძე, 2001: გურგენიძე ნუნუ, ჩლაიძე ლია და სხვ. „თურქულ-ქართული ლექსიკონი“, საქ. მეც. აკ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სტამბოლი. 2001;

ნათაძე, 2007: ნათაძე ნოდარ, „ვეფხისტყაოსანი“ (სასკოლო გამოცემა), თბილისი. 2007;

შანიძე, 1960: შანიძე აკაკი, „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენი საუნჯე, ტომი 3, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი. 1960;

Acar, 2019: Acar Hasan, “Türk Kültür ve Devlet Geleneginde Türk Kültür ve Devlet Geleneginde Kadın”, Yayın „İnsan & İnsan“, Cilt 6, Sayı 21, 2019;

Dindar, Makas, 1991: Dindar Bilal, Makas Zeynep (Çeviri) „Kaplan Postlu Şövalye“, Yayın „Eser Matbaası“, Samsun. 1991;

Durmuş , 2020: Durmuş Eda, „Eski Türklerde Askeri Yapı“, Yayın „Asya Araştırmaları Dergisi“, Sayı 1, Cilt 4, Ankara. 2020;

Eyduran, 2009: Eyduran Aysun, „Türk Kültürü ve Edebiyatında Çevgan Oyunu“, Sayı 53, 2009;

Ögel, 1979: Ögel Bahaeddin, „Türk Kültürünün Gelişme Çağları“, Yayın „Türk Dünyası Araştırmaları Vakfı“, Ankara. 1979;

Turan, 1993: Turan Osman, „Selçuklular Tarihi ve Türk –İslam Medeniyeti“, Yayın „Ötüken Neşriyat“, İstanbul. 1993;

Venuti, 2000: Venuti Lawrence, „The Translation Studies Reader“, Publisher „Routledge Taylor & Francis Group“, London. 2000;

Türk Dili Kurumu Sözlüğü; <https://sozluk.gov.tr/>

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი //

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a-term&d-44&t-21410>

Nona Nikabadze

“The Knight of the Panter’s Skin” – Some Issues of the 1st

Chapter of the Turkish Translation

Summary

The paper discusses the relation of the 1st chapter of the Turkish translation “The Knight of the Panter’s Skin” to the Georgian, original text. Differences have been identified that are due to two different cultural factors. The Turkish translated text confirms an omitting compared to the original text, due to which the dynamics of the translation is softened. The Turkish translation also contains cases of substitution of non-equivalent lexical items with similar words, which is also caused by the cultural differences. In the Turkish translation of “The Knight of the Panter’s Skin” we find an example of non-functional equivalence, which should be allowed without proper background knowledge.

პუბლიკაცია

რამაზ ხალვაში იოანე ჯეფრიანისა და მისი ძმის – გავლეს „გალობანი ყოველთა წმიდათანი“

ტბელ აბუსერისძის ხელნაწერის (A-85) დასაწყისში, ირმოლოგიონისა და ჯვართამაღლების საგალობლის შემდეგ, შეტანილია გალექსილი საეკლესიო კალენდარი – „გალობანი სახელსა ზედა ყოველთა წმიდათასა, რომელთა ჳსენებასა აღვასრულებთ წელიწადსა შინა“ (51r-52v).

„გალობანი ყოველთა წმიდათანი“ წარმოადგენს ქრისტეფორე მითილინელის (1000-1050 წწ.) გალექსილი კალენდრის ადაპტირებულ თარგმანს.

მითილინელის ჰიმნოგრაფიულ ციკლში 12 სტიქარონია, რომლებშიც ხსენებები წარმოდგენილია თვეების მიხედვით, იწყება სექტემბრით და სრულდება აგვისტოთი: I. მე-4 ხმა (სექტემბერი); II. მე-4 პლაგალური (გვერდითი) ხმა (ოქტომბერი); III. მე-2 პლაგ. ხმა (ნოემბერი); IV. მე-2 პლაგ. ხმა (დეკემბერი); V. მე-2 ხმა (იანვარი); VI. 1-ელი ხმა (თებერვალი); VII. მე-4 ხმა (მარტი); VIII. მე-4 პლაგ. ხმა (აპრილი); IX. 1-ელი ხმა (მაისი); X. მე-4 ხმა (ივნისი); XI. მე-4 პლაგ. ხმა (ივლისი); XII. მე-4 ხმა (აგვისტო) (მითილინელი 1964: 18-36).

დედანში ყოველ თვეს წამძღვარებული აქვს ქრონოგრაფიული მაჩვენებლები: თვეების დღეთა რაოდენობა, დღისა და ღამის ხანგრძლივობა საათებში. სტიქარონებში მასალა დალაგებულია თვეებისა და დღეების მიხედვით, ხსენებების რიგი და შედგენილობა მისდევს კონსტანტინოპოლის ეკლესიის სათვეო კალენდრს.

„გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ქართული თარგმანი ქრისტეფორე მითილინელის საგალობელთა ციკლის შემოკლებული რედაქციაა და დაწერილია ჰიმნოგრაფიული კანონის ფორმით („ჴმად ზ გუერდი“): შედგება 8 გალობისაგან (ტრადიციისამებრ, გამოტოვებულია მეორე გალობა „მოიხილესა“), თითოელ გალობაში წარმოდგენილია 3 დასდებელი. გამონაკლისია IX გალობა, რომელშიც 4 დასდებელია, ასე, რომ საგალობელში ტროპართა რიცხვი 25-ს აღწევს. პირველი დასდებელი ზოგადი შინაარსის შესავალია, რასაც მოსდევს ხსენებებისა და დღესასწაულების სათვეო კალენდარი მთელი წლისთვის – 1 სექტემბრიდან 31 აგვისტომდე (სულ – 365 ხსენება). დასდებლების მიხედვით, სათვეო ხსენებები ასეა გადანაწილებული: სექტემბერი (I.2-3); ოქტომბერი (III.1-2); ნოემბერი (III.3-IV.1); დეკემბერი (IV.2-3); იანვარი (V.1-2); თებერვალი (V.3-VI.1); მარტი (VI.2-3); აპრილი (VII.1-2); მაისი (VII.3-VIII.1); ივნისი (VIII.2-3); ივლისი (IX.1-2); აგვისტო (IX.3-4).

ქართული თარგმანი მნიშვნელოვანი თავისებურებით ხასიათდება. მასში ხსენებათა კალენდრის პარადიგმად გამოყენებულია საბანშიდური (შიო-მღვიმის) ტიპიკონი, რის გამოც ხსენებების რიგი და შედგენილობა ხშირად სხვაობს დედნის ტექსტისგან. ამგვარად, ქართულ თარგმანში ეორტალოგიური კალენდარი ორ მთავარ წყაროს ემყარება:

- 1) ქრისტეფორე მითილინელის ჰიმნოგრაფიულ ციკლს (გალექსილ კალენდარს);
- 2) საბანშიდურ (შიო-მღვიმის) ტიპიკონს.

ქართულ თარგმანს სხვა თავისებურებებიც ახასიათებს. მაგალითად, თვეებს არ აქვს წამძღვარებული კალენდარული შინაარსის მითითებები (წანამძღვარი, თვეებისა და დღელამის ხანგრძლივობა); დედნის მსგავსად, თარგმანში ხსენებები დალაგებულია კალენდარული თანმიმდევრობით, მაგრამ მათი რიცხვი შემცირებულია და თითოეული დღის-

თვის შერჩეულია თითო ხსენება. ეს პრინციპი განუხრელად არის დაცული I, III-V გალობებში.

გარდა ამისა, ტექსტის შემოკლების ერთ-ერთ ხერხად თარგმანში გამოყენებულია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „სოფიაეთნი“, „ტროფიმენთი“, „სერგიენთი“, „ევლამპიეთნი“, „კარპოეთ“, „ნაზარიეთნი“, „სტაქვოეთ“, „გურიეთ“, „მინაეთნი“, „ევსტრატეთნი“, „დანიელეთნი“, „კვროსეთი“, „ირინეთ“, „ისაკეთნი“, „ფოტიეთნი“ და „ანდრიადთნი“. მათგან გამოთქმები „ტროფიმეთი“, ასევე, „ანაფსნი“, „საბინიანეთი“ გიორგი მთაწმიდელის „თუენის“ ზანდუკშიც გვხვდება (თვენი 2007: 36-38), ხოლო „მინაეთი“, „ევსტრატეთი“ – შიო-მღვიმის ტიპიკონში (ტიპიკონი 2005: 149), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძველი ქართველი ავტორები ასეთ გამაერთიანებელ სიტყვა-ფორმებს იყენებდნენ ტექსტის შემოკლების მიზნით. შდრ.: „ჰრეჟა მას ურწმუნოჲმან ჰურიამან, რამეთუ ამას ადგილსა დგანან ძუალნი ნეტართა ანანიაეთნი (იგულისხმებიან სამი ყრმა: ანანია, აზარია და მისაელი – რ. ხ.), რომელთა მიერ იყოფის კურნებაჲ ეგე“ (ქრესტომათია 1963: 84). -ეთნი, -ენთი, -ეთ სუფიქსების ვარიანტები დღესაც გვხვდება ცოცხალ მეტყველებაში, განსაკუთრებით, სამხრულ დიალექტებში და ნათესაურ კავშირს, შტო-გვარს აღნიშნავს (ქუქჩიშვილი 2016: 274-287), რასაც, ცხადია, უფრო მეტად აფართოებს აღნიშნული გამოთქმების კონოტატიურ დატვირთვას.

VI-IX გალობებში, ვრცელი ძლისპირების წყალობით, ტექსტის შემოკლების პრინციპი ირღვევა და მთარგმნელს საშუალება ეძლევა, ბერძნულ დედანსა და შიო-მღვიმის ტიპიკონზე დაყრდნობით, დღის ხსენებებებში შეიტანოს ორი ან სამი წმინდანის სახელი. გამომდინარე აქედან, თებერვალ-აგვისტოს სათვეო კალენდარში გვაქვს დღეები, როცა ქართული თარგმანი, როგორც ხსენებების რაოდენობის, ისე შედგენილობის თვალსაზრისით, დედანს უახლოვდება და

რამდენიმე შემთხვევაში აღემატება კიდევ მას⁸. ამ მხრივ, საგალობლის ქართული თარგმანი იამბიკური სვინაქსარის ტექსტს გვაგონებს, რომელიც, ასევე, ქრისტეფორე მიტილინელის გალექსილი კალენდრის მიბაძვითაა დაწერილი. გალექსილ ქართულ კალენდრებს („გალობანი ყოველთა წმიდათანი“ და იამბიკური სვინაქსარი) შორის საერთოა ის ფაქტიც, რომ ორივე ტექსტის თარგმანი იოანე პეტრიწის მიერაა დაწყებული.

„გალობანი ყოველთა წმიდათანის“ უძველესი ნუსხა XII საუკუნით დათარიღებულ A-290 ხელნაწერშია დაცული. ეს ნუსხა საინტერესო ცნობას შეიცავს „გალობანის“ ავტორ-მთარგმნელ(ებ)ის ვინაობაზე:

„გალობანი ყოველთა წმიდათანი, თქმულნი პეტრიწისაგან „კურთხეულარსამდინ“ და „კურთხეულარს-აკურთხევდით-ადიდებდით“ – ძმისა მისი პავლესაგან“ – ნათქვამია საგალობლის წარდგინება-სათაურში (აღწერილობა 1980: 181)⁹.

ამგვარად, „გალობანის“ ტექსტს ორი ავტორი ჰყავს: I, III-VI გალობები იოანე პეტრიწის დაწერილია, VII-IX გალობები კი ეკუთვნის მის ძმას, პავლეს.

„გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ტექსტისგან განსხვავებით, იამბიკურ სვინაქსარს სამი ავტორი ჰყავს: იოანე

⁸ იოანე პეტრიწის, არსენ ბულმასისიმისძისა და ანტონ კათალიკოსის იამბიკური სვინაქსარი მიტილინელის გალექსილ კალენდარზე გაცილებით ვრცელი ტექსტია. ასე, მაგალითად, თუკი მიტილინელთან 12 ოდა გვაქვს, ხოლო მის ადაპტირებულ ქართულ თარგმანში („გალობანი ყოველთა წმიდათანი“) – 25 დასდებელი, იამბიკურ სვინაქსარში იამბიკოს მუხლების რაოდენობა 365-ს აღწევს, თანაც, მუხლებში ტაეპების რაოდენობა თითქმის ყოველთვის აღემატება ხუთს.

⁹ ეს ცნობა მეორდება H-1452 ხელნაწერშიც – ყანჩაეთის გულანში, თუმცა ამ ნუსხაში უგულებელყოფილია პავლეს წვლილი საგალობლის შექმნაში და „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ავტორად გამოცხდებულია „პეტრიჭი“, რაც, ცხადია, იოანე პეტრიწს გულისხმობს (აღწერილობა 1948: 388).

პეტრინი (სექტემბერ-იანვარი), არსენ ბულმაისიმისძე (თებერ-
ვალ-მაისი) და ანტონ I კათალიკოსი (ივნის-აგვისტო).

ტბელ აბუსერისძის ხელნაწერში (A-85) იოანე პეტრინის
ორივე გალექსილი კალენდარია წარმოდგენილი. მეტიც,
იამბიკური სვინაქსარის გაგრძელების ინიციატივაც ტბელ
აბუსერისძეს ეკუთვნის, მაგრამ ხელნაწერში ის სახელდებით
არც ერთხელ არ ახსენებს იოანე პეტრინს და ორივე
შემთხვევაში ავტორის მოუხსნებლად წერს: 1) ჰიმნოგრა-
ფიული კანონის შესახებ – „გალობანი სახელსა ზედა
ყოველთა წმიდათასა, რომელთა ჴსენებასა აღვასრულებთ
წელიწადსა შინა“ (51r); 2) იამბიკურ სვინაქსარის შესახებ – „ესე
იამბიკონნი ხუთთა თუეთა მეტნი არ იყუნეს ენასა ზედა
ქართულსა და ოთხთა თუეთანი არსენი ბულმაისიმისძემან
თქუა ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა შეხუენითა“ (224r).
შესაძლებელია, ავტორის მოუხსნებლობის მიზეზი საქარ-
თ-ველოს ეკლესიაში იოანე პეტრინის გარშემო ატეხილი
აჟიოტაჟი და მისი დევნა-შევიწროება (იხ. იოანე პეტრინი
1937: 222) გამხდარიყო. თუმცა ცხადია ისიც, რომ ტბელ აბუსე-
რისძის დროს გელათის სკოლა იზიარებს პეტრინის პოზიციას
ეორტალოგიური კალენდრის საკითხში. მეტიც, აგრძელებს
მის მიერ წამოწყებულ საქმეს.

A-85 ხელნაწერში, A-290 კრებულების მსგავსად, „გა-
ლობანი ყოველთა წმიდათანის“ ტექსტი წარმოდგენილია
თავდაპირველი, განუვრცობელი სახით. იგივე ვითარებაა K-
22 ხელნაწერშიც. მათგან განსხვავებით, 1674 წლის ყანჩაეთის
ჟამნ-გულანში (H-1452, 342r-349v) საგალობელი წარმოდგე-
ნილია განვრცობილი რედაქციით და ასე სათაურდება: „გა-
ლობანი ყოველთა წმიდათანი წესსა [ზედა] ტუბიკონისასა“.

„გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ვრცელი რედაქცია
გამოქვეყნებულია, თუმცა გამომცემლებმა ვერ შენიშნეს, რომ
ყანჩაეთის ჟამნ-გულანში წარმოდგენილი სათვეო კალენდ-
რის ღერძია იოანე პეტრინისა და მისი ძმის – პავლეს მიერ

შეთხზული ჰიმნოგრაფიული კანონი. მეტიც, პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ „სათაურში ნახსენები ტერმინი „გალობანი“, ტრადიციულად, საცისკრო ჰიმნოგრაფიულ კანონს, ანუ ცხრა გალობისაგან შედგენილ, დიდი ფორმის კომპოზიციას აღნიშნავს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ჟამნ-გულანის ამ ტექსტში „გალობანი“ ჰიმნოგრაფიულ კანონს არ ნიშნავს, არამედ ზოგადი მნიშვნელობით – გალობით შესასრულებელი და რიტმულად მოწესრიგებული პოეტური ტექსტის მნიშვნელობითაა ნახსენები. სახელდობრ, აქ წმიდათა სახელების გასწვრივ მითითებულია მათ განსაზღვრულად შეთხზული ერთმეხლიანი საგალობლები, რომელთაც, ძველი ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგიით, „ოხითაჲ“ ან „ლიტანიისაჲ“... ეწოდებოდა“ (კოჭლამაზაშვილი... 2015: 230-231).

ყანჩათის ჟამნ-გულანში „გალობანი ყოველთა წმიდანთანი“ ცხრილის სახითაა წარმოდგენილი: „ტექსტს კალენდარული ცხრილის ფორმა აქვს. კალენდარი იწყება სექტემბრით და მთავრდება აგვისტოთი. თითოეულ დღეს ცხრილში თითო სტრიქონი ეთმობა (იშვიათად – ორი). თვის რიცხვები, რომლებსაც ქართული ანბანური ციფრები გამოსახავს, კაბადონის გარე კიდეზეა შვეულად განლაგებული; ფურცლის წინა მხარეზე (recto) – მარჯვნივ, უკანა მხარეზე (verso) – მარცხნივ. თავად ცხრილი ორ სვეტს შეიცავს: ერთ სვეტში თითოეულ დღეს მოსახსენებელ წმიდათა სახელებია ჩამოწერილი (ანუ მოცემულია „გალობანი ყოველთა წმიდანთანი“ ტექსტი – რ. ხ.), ხოლო მეორეში, ამ სახელების გასწვრივ, დასაწყისი სიტყვებითაა მინიშნებული მათი მთავარი საგალობლების ტექსტები“ (კოჭლამაზაშვილი... 2015: 230).

ყანჩათის ჟამნ-გულანში „გალობანი ყოველთა წმიდანთანის“ ტექსტს ახლავს სამი სახის დანართი:

ა) კალენდარული შინაარსის წანამძღვარი ყოველი თვისათვის (მაგალითად, „თვესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ (30).

დღეთა აქუს ჟამი იბ (12), და ღამეთა – ჟამი იბ (12). დანყებად ინდიკტიონისად, ესე იგი არს ახლისა წელიწდისად“);

ბ) თვეთა რიცხვები, რომლებიც „გალობანის“ შესაბამის მოსახსენებლებს აქვს მიწერილი;

გ) ლიტურგიკული შინაარსის დანართი, სადაც მითითებულია წმინდანთა განსადიდებლად შეთხზული ერთმუხლიანი საგალობლები („ოხითად“, ანუ „ლიტანიისად“).

მაგალითისთვის მოვიყვანთ სექტემბრის თვის კალენდრის დასაწყისს, რომელიც ყანჩაეთის ჟამნ-გულანში ამგვარ სახეს იღებს:

თარიღი	„გალობანის“ ტექსტი (I.2)	ტროპარი
ა (1)	ღირსი სუმეონ	ყოვლისა დაბად...
ბ (2)	მამად	მონამემან..
გ (3)	ანთიმოს	საქმით მიემ...
დ (4)	ბაბილა	საქმით მიემ...
ე (5)	ზაქარია	მღდელობისა...
ვ (6)	მიხაელ	ზეცისა მჭედრობათა...
ზ (7)	სოზონ	ძირისაგან იეს...
ქ (8)	შობად ქალწულისა	შობამან...
თ (9)	მშობელთა თანა	შობამან...
ი (10)	მინოდორა	შობამან...
ია(11)	თეოდორა	შობამან...
იბ (12)	ავტონომ	შობამან...
იგ (13)	ენკენია	ვითარცა ზენასა...
იდ (14)	დიდებულსა თანა აპყრობასა ჯუარისასა იქებოდენ	აცხოვნე, უფალო...
იე (15)	ნიკიტა	აცხოვნე, უფალ...

შდრ.: „ღირსი სუმეონ, მამად, ანთიმოს, ბაბულა, ზაქარია, მიხაილ, სოზონ, შობად ქალწულისად, მშობელთა თანა, მინოდორა, თეოდორა, ავტუნომ, ენკენია, დიდებულსა თანა აღპყრობასა ჯუარისასა იქებოდენ, ნიკიტა“ (I.2).

როგორც ვხედავთ, „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ტექსტი, ზემოაღნიშნული დანართების დამატების მიუხედავად, ინარჩუნებს თავის პირვანდელ სახეს (შდრ.: კოჭლამაზაშვილი... 2015: 233-270), რის გამოც ყანჩათის ჟამნ-გულანის აღნიშნული ნაწილი, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც „გალობანის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნუსხა.

საგულისხმოა, რომ „გალობანის“ ტექსტის რედაქტირება მეორე ეტაპზეც „შიო-მღვიმის ტიპიკონის“ მიხედვით განხორციელდა, რაც იქიდან ჩანს, რომ საგალობლის ვრცელი რედაქციის სამივე დანართი ტიპიკონიდან მომდინარეობს. სწორედ ამას – გალექსილი კალენდრის რედაქციების შიო-მღვიმის ტიპიკონზე დაფუძნებას გულისხმობს საგალობლის გვიანდელი დასათაურება „გალობანი ყოველთა წმიდათანი წესსა ზედა ტუბიკონისასა“¹⁰.

როგორც ჩანს, „გალობანის“ რედაქციების „წესსა ზედა ტუბიკონისასა“ დაფუძნება ერთიანი ჩანაფიქრის სხვადასხვა ეტაპი იყო, რაზეც არაერთი ფაქტი მეტყველებს:

1) A-290, A-85 (ასევე, K-22) ხელნაწერებში შეტანილია „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ პირველადი, მოკლე ქართული რედაქცია;

2) K-22 და A-85 ხელნაწერებში ცალკეა წარმოდგენილი „გალობანის“ წყაროც: „შიო მღვიმის ტიპიკონის“ სათვეო სვინაქსარი, რომელსაც K-22 ხელნაწერის ზანდუკში „სვინაქსარი სულმცირქ“ ეწოდება (237v), ხოლო A-85 ხელნაწერში – „ჯელსუნაქსარი“;

3) „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ განვრცობილ რედაქციას, ყანჩათის ჟამნ-გულანის გარდა, არაერთ გვიანდელ

¹⁰ „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ვრცელი რედაქციის წყარო შეიძლება იყოს Sin. 90 (XIV ს., 1r-24v) ტიპის მოკლე საეკლესიო კალენდარი, რომელშიც ხსენებებს ახლავს „გალობანის“ ვრცელი რედაქციისთვის ნიშანდობლივი სამივე დანართი: კალენდარული შინაარსის წანამძღვარი, თვეთა რიცხვები და ტროპარების სახელწოდებები.

ხელნაწერში ვხვდებით. მათგან A-84 (1567 წ., 339r-347r) ყანჩაეთის ნუსხაზე ადრეულია, ხოლო A-456 (XVII-XVIII სს., 242r-252r), ცსა 1446/221 (1726 წ., 352r-366v), ცსა 1446/248 (1786 წ., 372r-377v), S-954დ (XVIII-XIX სს., გვ. 1-31) და სხვა – აღნიშნულ ნუსხაზე გვიანდელი.

„გალობანის“ ვრცელ რედაქციაში მეორდება საბანშიდურ ტიპიკონში წარმოდგენილი „ოხითანის“ რეპერტუარი. „ოხითანის“ ამავე რეპერტუარს ვხვდებით, ასევე, საბანშიდური ტიპიკონის სვინაქსარული ნაწილის შემოკლებულ ვერსიებში – „ჯელსუნაქსარსა“ (A-85) და „სულმცირე სვინაქსარში“ (K-22). ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ ვრცელ რედაქციაში გათვალისწინებული იყოს A-85 და K-22 ხელნაწერების მონაცემები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1) ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ ქრისტეფორე მიტილინელის გალექსილი კალენდრის შემოკლებული და ადაპტირებული ქართული თარგმანია, შესრულებული XII საუკუნეში;

2) „გალობანის“ ამ რედაქციას ჰყავს ორი ავტორ-მთარგმნელი: I-VI გალობები ეკუთვნის იოანე პეტრინს, ხოლო VII-IX გალობები – პეტრინის ძმას, პავლეს;

3) „გალობანის“ პირველი ქართული რედაქციის ტექსტში სათვეო ხსენებები გასწორებულია საბანშიდური (შიო-მღვიმის) ტიპიკონის მიხედვით;

4) XIII საუკუნის შემდგომ ჩამოყალიბდა „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ კალენდარული და ლიტურგიკული დანართებით განვრცობილი რედაქცია;

5) ის გარემოება, რომ „გალობანის“ ორივე რედაქციას საფუძვლად უდევს შიო-მღვიმის ტიპიკონი, აისახა ტექსტის გვიანდელ დასათაურებაში: „გალობანი ყოველთა წმიდათანი წესსა ზედა ტვბიკონისასა“, რაც განაპირობებდა ამ ტექსტის ავტორიტეტს საქართველოს ეკლესიაში.

აქვე ვბეჭდავთ „გალობანი ყოველთა წმიდათანის“ პირველ რედაქციას, რომელიც იოანე პეტრინისა და მისი ძმის – პავლეს ერთობლივი შემოქმედების ნაყოფია. საგალობლის კალენდარული საფუძვლის ადვილად აღქმის მიზნით, ტექსტს ფრჩხილებში ვურთავთ ხსენებებისა და დღესასწაულების თარიღებს (თვის რიცხვებს).

[51r] **გალობანი სახელსა ზადა ყოველთა წმიდათასა, რომელთა ჰენებასა აღმასრულებთ წელიწადსა შინა**¹¹

ჴმად ბ გუერდი

I. უგალობდითსა

„ზღუად მენამული“

1. ჟამთა და წელთა

ჴელმწიფებითა

ღმერთმთავრობითითა მოქმედო უფალო,

სამგუამოვნებით დიდებულო, ხოლო

ერთარსებით თაყუანის-ცემულო,

გუაცხოვნენ ქმნილნი შენნი.

ანცა მოწევნულნი

დასაბამსა მოსრულისა

ჟამისმოქცევისასა.

სეკდენბერი

2. ღირსი სჴმეონ (1),

მამად (2), ანთიმოს (3),

ბაბულა (4), ზაქარია (5), მიხაილ (6), სოზონ (7),

შობად ქალწულისად (8), მშობელთა თანა (9),

მინოდორა (10), თეოდორა (11),

¹¹ პუბლიკაცია ემყარება A-85 ხელნაწერს. გათვალისწინებულია, ასევე, K-22 ნუსხა და საბანშიდური ტიპიკონი.

ავტუნომ (12), ენკენია (13),
დიდებულსა თანა
აღპყრობასა
ჯუარისასა იქებოდენ (14),
ნიკიტა (15).

3. ევფემია (16) და
სოფიაეთნი (17),
ევმენი (18), ტროფიმეთნი (19), ევსტათის (20) თანა,
კოდრატე (21), ფოკა (22), მუცლადღებასა თანა
იოანესსა (23), თეკლა (24),
ევფროსინ (25), იოვანე (26),
კალისტრატე (27), ხარიტონ (28),
კვრიაკოზ (29)
გრიგოლის (30) თანა იდიდებოდენ.

[A, 51v] ოკტონბერი

III. განძლიერდასა

„სამებაო წმიდაო“

1. ქეხული ანანია (1), კვპრიანე (2),
დიონოსი (3), იეროთე (4),
ხარიტინი (5), თომა (6), სერგიეთნი (7),
პელაგია (8), ალფე (9), ევლამპიეთნი (10),
ფილიპე (11), პროვო (12), კარპოეთ (13) თანა,
ნაზარიეთნი (14) და ლუკიანე (15)
შესხმით პატივ-იცემებოდენ.

2. ლონგინოს (16), ოსივას (17), ლუკას (18), იოველს (19),
არტემის (20), ილარიონს (21),
აბერკის (22), იაკობს (23), არეთას (24),
მარკიანეს (25), დიმიტრის (26), ნესტორს (27),
ტერენტის (28), ანასტასიას (29), ზინობს (30),

სტაქვოეთ თანა ვჰნატრიდეთ
მონათეთა მაცხოვრისათა (31).

ნოენბერი

3. სამებისა მსახურთა უვერცხლოთა (1),
აკვნდინეთურთ მჴნეთა (2),
აკეთსიმას (3), იოვანიკეს (4),
გალაკტიონ (5), პავლეს (6), მელიტინელთა (7),
ძალთა (8), ონისიფორეს (9), ორესტის (10),
მინას (11), მონყალესა (12) და ოქროპირსა (13),
ფილიპეს (14),
გურიეთ (15) ვაქებდეთ.

IV. მესმასა

რაჟამს წინაღსწარმეყუელმან“

1. მათე (16), გრიგოლი (17), პლატონ (18), აბდია (19),
პროკლე (20), ტაძრად აღსლვად უბინოდსად (21),
ფილიმონ (22) ამფილოქეთურთ (23),
ეკატერინა (24), კლემენტოს (25),
ალუპი (26), იაკობ (27), სტეფანეს (28),
პარამონ (29), ანდრია (30) – ნეტარნი
ქებით განითქუმიან მორწმუნეთაგან.

დეკემბერი

2. ოთხ მჴნეო ნაუმ (1), ამბაკომ (2)
სოფონიათურთ (3), ბარბარა (4), საბა (5),
ნიკოლოზ (6), ამბროსიე (7)
პატაპის (8) თანა,
ანნა (9), მინაეთნო (10), დანიელ (11), სფირიდონ (12),
ევსტრატეთნო (13), თვრსო (14), ელევთერი (15),
მეოხ გუეყუენით წინაშე უფლისა.

3. ანგეა (16), დანიელეთნი (17),
სევასტიან (18), ონიფანტ (19), ეგნატი (20),
ივლიან (21), ანასტასია (22),
კრიტ (23), ევგენია (24),
შობაჲ უფლისაჲ (25), ქალწული (26) და სტეფანე (27),
ორ ბევრ (28), ჩჩულ (29), ანუსია (30), მელანია (31)
იღუწიან სურვილით შემამკობელთა[თჳს].

იანუარი

V. ღამითგანსა

„შენდა აღვიმს“

1. დიდი ბასილი (1),
სილივისტროს (2),
გორდ (3), თეოქთისტე (4),
სჳნკლიტიკე (5) – ნათელნი (6),
წინამორბედი (7), დომნიკა (8),
და პოლუვეკტოს (9),
ნოსიისაჲ (10), თეოდოს (11), ტატიანე (12),
ერმჳლე (13), სინაელნი (14),
პავლე თებელი (15) ვაქნეთ სურვილით.

2. ჯაჭუნი პეტრესნი (16),
ანტონ (17), ათანასი (18),
მაკარი (19), ევთჳმი (20),
მაქსიმე (21), ტიმოთე (22), კლიმი (23),
ქსენი (24), გრიგოლი (25),
ქსენიფორ (26) და ოქროსიტყუაჲ (27),
ეფრემ (28), ეგნატი (29), იპოლიტე (30),
კჳროსეთითურთ (31) შევამკვნეთ.

[A, 52r] **ფეხერვალი**

3. ტურიფონს (1), მიქუმისა (2)

თანა სუმეონით (3),

ისიდორ (4), ალათის (5),

[ვ]უკულის (6), პართენს (7), თეოდორეს (8)

ნიკიფორეთურთ (9),

ხარალამპის (10) და ვლასის (11),

მელეტის (12) და მარტინიანეს (13),

ავქსენტ (14), ონისიმეს (15) ვჰნატრიდეთ.

VI. ღალატყავსა

„მუცლად ილო იო“

1. ჰამფილე (16),

ტირონსა თეოდორეს (17),

ლეონტის (18),

არქიპოს (19), ლეონტის (20),

ტიმოთის (21) ღირსისა თანა,

ევგენიას პოვნითა (22),

პოლუკარპოსს ნეტარსა (23),

პოვნასა თავისასა (24), ტარასის (25), პორფირის (26),

პროკოპის (27), ბასილის (28) მოგართუამთ მეოხად

სოფლისათჳს, სიტყუაო ღმრთისაო ქრისტე.

მარტი

2. ევდუკია (1),

თეოდოტ (2), ევტროპევთურთ (3),

ჯერასიმე (4),

კონონ (5), ორმეოცდაორნი,

ასურეთს აღსრულებულნი (6),

ქერსონელ ვასილეოფსნი (7),

თეოფილაკტე (8), სევასტიელნი (9),

კოდრატე (10), სოფრომ (11), თეო[ფა]ნე (12), ნიკოფორე (13),
ვენეტიკტ (14), ალაპი (15),
საბინეთურთ (16) – ბრძენნი
ევედრებიან ღმერთსა სულთა ჩუენთათჳს.

3. ალექსიოს (17),
კვრილე (18), ხურისანთე (19),
ლავრას მომწყდართა მამათად (20),
იაკობ (21), ბასილი (22), ნიკონ (23),
ნინა დღე (24) და ხარებად (25),
გაბრიელ (26) და მატრონა (27),
სტეფანე (28), მარკოზ (29) და იოვანე (30),
ვპატის (31) თანა დღეს
განთქუმით იქებიან ეკლესიისა
საესებისაგან.

აპრილი

VII. კურთხეულარსა

„მ სასწაული“

1. მარიამ ღირსი (1),
ტიტე (2), ნიკიტა (3) იოსებით (4),
თეოდულ (5), ევტჳქ (6), გიორგი (7),
აგაბოღსთაღთურთ (8),
ევტჳქ (9), ტერენტ (10), ანტიპა (11),
ბასილი (12), არტემონ (13),
არისტარხოს (14), კრისკენტი (15),
ნუ დასცხრებით სოფლისათჳს ოხასა.

2. ირინეთ თანა (16)
სუმეონ სპარსი (17), იოვანე (18),
იოვანე (19) და თეოდორე (20),
თეოდორე პერგეს (21),

თეოდორე (22) და გიორგი (23),
საბა (24) და მარკოზ (25),
ვასილეს (26), სუმეონ (27),
იასონ (28), დიოდორე (29), იაკობ (30) იქენინ.

მაისი

3. იერემია (1),
ათანასი (2), ტიმოთ (3), [ოლბიან (4)]
ირინი (5), იობ (6), ჯუარი (7),
ღმრთისმეტყუელი (8) და
ისაია (9), სუმეონ (10),
მუკი (11), იპპიტანე (12),
ღლუკერია (13), ისიდორე (14),
პახუმის (15) თანა ჰუარვენ მორწმუნეთა.

VIII. აკურთხევათა

„ცაჲ ვრცელი“

1. გიორგი მიტკლინელი (16),
ანდრონიკეს თანა (17),
თეოდოტი (18), პატრიკი (19),
თალელე (20), კოსტანტინე, ელენე (21),
ვასილისკოს (22), მიხაელ (23),
სუმეონ (24), მესამე პოვნა თავისაჲ (25),
[A, 52v] კარპო (26), თერაპონითურთ (27),
ნიკიტა (28) და თეოდორა (29),
ისაკ დაღმატთა (30)
თანა ერმიტურთ (31) ვადიდნეთ.

ივნისი

2. იოსტინე (1), ნიკიფორე (2),
ლუკიონ (3), მიტროფანე (4),
დორეთე (5), ბესარიონ (6),

თეოდოტ (7),
თეოდორე (8) და კვრილე (9), [ტიმოთ (10)]
ბართლომე და ბარნაბა (11),
ონოფრე (12), აკვლინე (13), ელისე (14),
ამოს (15) ტვხონის (16) თანა,
მანოელ, საბელ, ისმაელ (17),
ლევონტი (18), იუდას (19)
მეთოდითურთ (20) ვაქებდეთ.

3. ივლიანე (21), ევსევი (22),
აღრიპპინა (23) მჟნისად,
შობად იოვანესი (24), თებრონია (25),
დავით თესალონიკელი (26),
სამფსონ უცხოთმყუარე (27),
კვროს და იოვანეს (28) ბრძენთა,
თავთა ყოვლადაქებულთა
პეტრეს და პავლეს (29) ვევედრნეთ
და ათორმეტთა (30), რადთა იოხნენ სულნი ჩუენნი.

ივლისი

IX. აღიდებდითსა

„ნუ მტირ მე, დე“

1. უვერცხლონი (1) და სარტყელი (2),
იაკინთე (3), ანდრია (4), მართა (5), სისოჲ (6), ასკლიპი (7),
პროკოპ (8), პანკრატ (9), ნიკიპოლ (10),
ევფემია (11), პროკლე (12),
გაბრიელ (13), აკვლა (14),
კვრიკე და ივლიტა (15),
კრებაჲ ხალკიდონისად (16),
მარინ (17), ემმელიანე (18),
იოხდით სულთა ჩუენთათჳს.

2. ღირსო მაკრინა და დიო (19),
ელია ეტლთა მფლობელო (20),
იოვანე და სუმეონ (21),
მარიამ (22) და ტროფიმე,
თეოფილ (23), ხრისტიანა (24), ანნა (25),
ერმოლაოს (26),
პანტელეიმონ (27), პროხონ (28),
კალინიკე (29) და შილა,
სილოვან (30), ევდუკიმე (31), მეოხ გუეყვენით ჩუენ.

აგუსტო

3. მოლუანენო მაკაბელნო (1),
სტეფანე (2), ისაკეთნო (3),
ეფესელნო (4), ევსელნი (5),
ფერისცვალებად (6), დომენტი (7),
ემმელიან (8), მატათან (9),
ლავრენტი (10), ევპოლო (11),
ფოტიეთნო (12), მაქსიმე (13),
მიქეადთურთ (14),
ყოვლადწმიდაო დედოფალო (15),
მგალობელსა ნუ დამსჯი.

4. დიომიდე (16), მირონ (17), ფლორო (18),
ანდრიაფთნი (19), სამოელ (20),
თადეოს (21), ალათონიკ (22),
ლუკიოს (23) და ევტჳქი (24),
ბარნაბა და ტიტე (25),
ანდრიანე (26), ჰიმენ (27),
მოსე (28), ნათლისმცემელი (29),
ალექსანდრ, იოვანე (30),
სარტყელი ყოვლადწმიდის (31),
მფარველი სულთა ჩუენთად.

გამოყენებული ლიტერატურა:

აღწერილობა 1948: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, თბ., 1948

აღწერილობა 1980: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, თბ., 1980

თვენი 2007: გიორგი მთანმიდელის თვენი (სექტემბერი), ლ. ჯღამაიას გამოცემა, თბ., 2007

კოჭლამაზაშვილი... 2015: კოჭლამაზაშვილი ე., სხირტლაძე ზ., „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ ყანჩაეთის ჟამნ-გულანში // ჰუმანიტარული კვლევები: წელიწადეული, №4, 2013

მიტილინელი 1964: Follieri E. I calendari in metro innografico di Cristoforo Mitileneo, Volume 1. Bruxelles: Societe des Bollandistes, 1980

ტიპიკონი 2005: ტიპიკონი შიო-მღვიმის მონასტრისა, XIII საუკუნის ხელნაწერის ტექსტი, გამოსაცემად მოამზადეს ე. კოჭლამაზაშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ., 2005

ქრესტომათია 1963: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, ი. იმნაიშვილის გამოცემა, თბ., 1963

ქუქჩიშვილი 2016: ქუქჩიშვილი მ., მეტსახელისა და მეტგვარის სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი სამცხურ-ჯავახურში (ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის მაგალითზე) // ქართველური მემკვიდრეობა XX, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2016.

A-85 ხელნაწერი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

Ramaz Khalvashi

Ioane Petritsi's and his brathers Pavle's "Hymnographic Canon of All Saint's"

Summary

This paper is dedicated to the Hymnographic Canon of All Saints, owned by John Petritsi and his brother Paul. This is an adapted translation of the verse calendar by Christopher of Mytilene. The text was published according to the manuscripts of the 13th century (A-85, K-22).

ქრონიკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის 2018 წლის 11 ივლისის დადგენილებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებს: მამია ფალავას (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რედაქტორი), მალხაზ ჩოხარაძეს (პროექტის კოორდინატორი), თინა შიოშვილს, შოთა მამულაძეს, რამაზ ხალვაშს, ნუგზარ მგელაძეს, ემერიტუს-პროფესორ მერი ცინცაძეს; ასოცირებულ პროფესორებს: ზაზა შაშიკაძეს, მაია ბარამიძეს, ჯემალ კარალიძეს, საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დარგში გამოცემული საუკეთესო მონოგრაფიისათვის „კლარჯეთი“ (თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 2016) მიენიჭათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის აკადემიური პრემია.

დოკუმენტური ფილმი „ამბავი 12 სავანისა“

2019 წლის 14 აპრილს, დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის დოკუმენტური ფილმის „ამბავი თორმეტი სავანისა“ პრემიერა გაიმართა. ფილმში ასახულია კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა“ მხარის წარსული და თანამედროვეობა, ქართველებისა და ქართული ენის მდგომარეობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში – ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. სცენარის სამეცნიერო საფუძველია მონოგრაფია „ხანძთა და ათორმეტ სავანეთა მხარის ძველი სალოცავები“. ფილმში გამოყენებულია 2005-2018 წლების სამეცნიერო ექსპედიციების სავსე ვიდეომასალა: პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის და ბსუ-ს

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ვიდეოარქივი.

სტამბოლში შოთა რუსთაველისა და ქართული კულტურისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა

2018 წლის 22-24 დეკემბერს სტამბოლის შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შოთა რუსთაველისა და ქართული კულტურისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩაატარა ბეიქენთის უნივერსიტეტში. კონფერენციას ესწრებოდნენ თურქეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები სტამბოლიდან, დუზჯედან, იზმირიდან, ანკარიდან და თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მარინა გიორგაძემ („ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რამაზ ხალვაშმა („შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და თამარ მეფის ეპოქის ქართული კულტურა“), ბეიქენთის უნივერსიტეტის პედაგოგმა, აკადემიურმა დოქტორმა არდაჰან ბიროლ ქართალმა („თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის აქტუალური საკითხები“), დუზჯეს უნივერსიტეტის ლექტორმა მარინა სულხანიშვილმა („ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლურ სამყაროში“).

გაიმართა შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის – „ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ - პრეზენტაცია.

სტამბოლის შოთა რუსთაველის კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ბეიქენთის უნივერსიტეტის ფოიეში მოეწყო შოთა

რუსთაველისა და ქართული კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენა.

„ვეფხისტყაოსნის“ მობილური აპლიკაცია

პროფესორმა შორენა მახაჭაძემ აბიტურიენტ კობა ულენტ-თან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ მობილური აპლიკაცია (ნარმდგენი KJ Education) შექმნა, რომელიც შოთა რუსთაველის პოემის ადაპტირებულ ტექსტსაც შეიცავს. აპლიკაციის შექმნის მიზანია, ყველა დაინტერესებულს მაქსიმალურად გაუიოლოს შუასაუკუნეების მხატვრული ტექსტის გაგება. აქედან დაიბადა სლოგანიც: „ვეფხისტყაოსნის გაგება ასე მარტივი არასოდეს ყოფილა“.

აპლიკაცია მოიცავს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტს და მის ადაპტირებულ ვერსიას. აქვეა ცალკეული თავების მოკლე შინაარსები, ლექსიკონი, აფორიზმები, რომლებიც დალაგებულია როგორც ანბანის, ისე – თავებისა და თემების მიხედვით, ესეები, რომელთაც გააჩნია გაზიარების ფუნქცია.

აპლიკაციამ მომხმარებელთა შორის დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ბათუმის მეათე საზაფხულო სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში

ბათუმის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა (ხელმძღვანელები: პროფ. რამაზ ხალვაში, პროფ. მანანა თანდაშვილი) 2012 წელს დაარსდა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით. 2021 წლის 23-29 სექტემბერს საიბილეო – მეათე საზაფხულო სკოლა ჩატარდა, რომლის მიზანი იყო ბსუ ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის (DigiArchive) ახალი მასალით შევსება და აჭარის ლინგვოკულტუროლოგიურ პორტრეტის შექმნაში სტუდენტების (ბაკალავრების, მაგისტ-

ტრანტებისა და დოქტორანტების) ჩართვა. საკვლევი არეალი განისაზღვრა ისტორიული სხალთა-ხიხანის ხეობით.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ დოკუმენტირებისა და არქივირების მეთოდების თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, აითვისეს არქივირების ტექნოლოგიური და პროგრამული ინსტრუმენტები, საველე ექსედისციებში მოიპოვეს ახალი რესურსები და მოამზადეს არქივირებისათვის.

საზაფხულო სკოლის თემატიკა ინტერდისციპლინურ პროგრამას მოიცავდა:

I. თეორიულ ბლოკში ლექციები წაიკითხეს ევროპასა (გერმანია, დიდი ბრიტანეთი) და საქართველოში (ბათუმი) მოღვაწე ქართველმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა. მათი ლექციები მიეძღვნა დოკუმენტირების მეთოდებს, ინსტრუმენტებს (EAF) და სტანდარტებს (XML, TEI-P5), დიგიტალური ქართველოლოგიის მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს, აგრეთვე, აღნიშნული პროფილის ქართულ და საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებს (ARMAZI, ECLinG, SSGG, GDC, GNC, DigiArchive). ეს ბლოკი დაასრულა ლექციებმა მომიჯნავე დისციპლინებში, რომლებიც მიეძღვნა ლინგვისტური, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული მონაცემების დოკუმენტირების საკითხებს.

II. საზაფხულო სკოლის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო ვორკშოპი დოკუმენტირების საკითხებზე და ენობრივი მასალის მორფოსინტაქსური ანოტაციის სქემებზე. ვორკშოპის ჩასატარებლად მოწვეული იყვნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი ექსპერტები: მანანა თანდაშვილი (ფრანკფურტის უნივერსიტეტი, გერმანია) და სოფია დარასელია (ლიდსის უნივერსიტეტი, ინგლისი).

III. საზაფხულო სკოლა თეორიულ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებდა მსმენელების ორიენტირებას პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ლექციებსა და ვორკშოპზე

შეძენილი ცოდნა სტუდენტებმა გამოიყენეს საზაფხულო სკოლის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში, სადაც გამოცდილი ექსპერტების ხელმძღვანელობით თავად ჩაიწერეს მასალები, რის შემდგაც ტუტორების დახმარებით მოახდინეს მოპოვებული მასალის სისტემატიზაცია (AVI ფაილების დაჭრა-დახარისხებას), მეტამონაცემებით აღჭურვა, სინქრონიზაცია ELAN ფაილში და DigiArchive-ში განთავსება. საბოლოოდ კი მოამზადეს და წარმოადგინეს სასერტიფიკატო მოხსენებები.

ნანა ტრაპაიძის მეორე „საბა“

2021 წელს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა – ნანა ტრაპაიძემ პრემია „საბა“ მეორედ მოიპოვა: ნომინაციაში – „წლის საუკეთესო კრიტიკა“, წიგნისთვის – „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“, რომელიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა. ნანა ტრაპაიძემ პირველი „საბა“ 2017 წელს მიიღო კრიტიკული წერილების კრებულისთვის „ლიტერატურა და ლიტერატურა“ (გამომცემლობა „კალმოსანი“).

2018-2021 წლების გამოცემები

- რამაზ ხალვაში, დიგიტალური ჰუმანიტარიის შესავალი, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2018.

სახელმძღვანელო დიგიტალური ჰუმანიტარიის ისტორიას, კვლევის ინსტრუმენტებს, მეთოდებსა და განვითარების პერსპექტივებს ეძღვნება. აქვეა განხილული დიგიტალური ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიღწევები.

- მალხაზ ჩოხარაძე, ჯემალ კარალიძე, რევაზ დიასამიძე, ნატალია ლაზბა, მარინე შალიკავა, რამაზ სურმანიძე, ქეთევან შოთაძე, მანანა თავდგირიძე, მარიამ ჩოხარაძე, თენგიზ თავდგირიძე, აფხაზები აჭარაში: წარსული და თანამედროვეობა, გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 2018 წელი.

მონოგრაფიაში აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ოჯახებში კომპლექსური საველე ექსპედიციების შედეგად შეკრებილ მასალებზე, საარქივო წყაროებზე და მემუარისტულ ლიტერატურაზე დაყრდნობით კომპლექსურადაა შესწავლილი აჭარაში აფხაზთა გადმოსახლების, დამკვიდრებისა და ცხოვრების ისტორია. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი FR/414/1-10/14).

- ნანა ცეცხლაძე, ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბ., 2018.

ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სტრუქტურა და კომპონენტებიც ქართულსა და თურქულში იდენტურია, მაგრამ სემანტიკური და სტილისტი-

კური ნიუანსები არსებითად განსხვავებულია. ასეთი ერთეულები განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის თარგმნისას და მთარგმნელისაგან მოითხოვს არა მარტო ორი ენის, არამედ ყოფის, ტრადიციების, კულტურის ცოდნასაც. აქვე საუბარია ფრაზეოლოგიზმთა სტილისტიკურ-ექსპრესიული კომუნიკაციურ-პრაგმატიკული დანიშნულების შესახებაც.

- **შორენა მახაჭაძე, „პირველად იყო სიტყვა“. – წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, გამომცემლობა „იფერიონი“, თბილისი, 2019.**

წიგნში გაანალიზებულია ფილოსოფიური საფუძვლები, რომლებიც XX საუკუნის ხელოვნების განვითარებას უდევს საფუძვლად, საუბარია ლიტერატურისა და მითის თეორიებზე, განხილულია გასულ საუკუნესა და პოსტმოდერნისტულ ეპოქაში შექმნილი ტექსტები, წარმოჩენილია ამ ვრცელი პერიოდის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი საერთო პრობლემاتيკა (საქართველოს ოკუპაცია, ნიჰილიზმი, გლობალიზაცია და ეროვნული იდენტობა...). მსგავს პრობლემებზე მსჯელობისას ნათლად იკვეთება ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია.

- **მალხაზ ჩოხარაძე, მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძვლები, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2019 წელი.**

სახელმძღვანელო ეფუძნება ინოვაციურ საგანმანათლებლო მიდგომებს და ორიგინალურ მეთოდოლოგიას, წარმოადგენს საპილოტე გამოცემას და განკუთვნილია დამწყებთათვის. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: I. წერიტი მეტყველების ანბანი; II მხატვრული ტექსტი და წერის გაკვეთილები დამწყებთათვის.

- **მამია ფალავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე, ტაო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2020.**

მონოგრაფიაში ისტორიულ ტაოში კომპლექსური სავსე ექსპედიციებით შეკრებილ მასალებზე, ქართულ და ოსმალურ საისტორიო წყაროებზე, ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილია ჭოროხის ხეობაში მდებარე ისტორიული ტაოს ქვეყანა, - ტაოს ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ლიტერატურული და სამწიგნობრო სკოლები, ტაოური სოფელი თანამედროვე თურქეთში, ტაოელთა ყოფა, ფოლკლორი, მეტყველება, ტაოს ონომასტიკა. გამოკვლევას ერთვის ტაოური ფოლკლორისა და კილოს მასალები ლექსიკონითურთ, რეზიუმე ინგლისურ ენაზე და ფოტომასალა. მონოგრაფია ტაოს ქვეყნის ერთიანი სურათის შექმნის პირველი ცდაა. გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (გრანტი #217996; 13.12.2016) ფინანსური მხარდაჭერით.

- **მალხაზ ჩოხარაძე, მამია ფალავა, ნათელა ფარტენაძე, თინა შიოშვილი, ზაზა შაშიკაძე, მაია ბარამიძე, თამარ ჩოხარაძე, მარადიდი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2020.**

მონოგრაფიაში ქართულ და უცხოურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე, ასევე, კომპლექსურ ექსპედიციებსა და სამეცნიერო მივლინებებში თურქეთსა (ზედა მარადიდი და ჭოროხის აუზის სხვა დასახლებები, ასევე, მარადიდელ და საზოგადოდ, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები) და საქართველოში (ქვედა მარადიდი და მახლობელი სოფლები) შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია სოფელი მარადიდი. წიგნი გამოიცა შოთა რუს-

თაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი 217886).

- **მანანა თანდაშილი, ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები: ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მაგალითზე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2020**

ნაშრომი შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის“ ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში. პროექტს აფინანსებდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ნაშრომში განხილულია ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები, ღია რესურსების შექმნის ისტორია, დოკუმენტის სფეროსათვის რელევანტური ზოგადთეორიული საკითხები, როგორიცაა: კულტურის გაგების საკითხი, მეხსიერების ფორმები, კულტურული ტრანსმისია და მისი მნიშვნელობა; წიგნში, ასევე, წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში მოპოვებული ემპირიული მასალების ანალიზი.

- **მანანა თანდაშილი, რამაზ ხალვაში, რუსუდან პაპიაშვილი, მზია სახუტაიშვილი, გრიგოლ კახიანი, ნანა ცეცხლაძე, ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირების თანამედროვე ინსტრუმენტები: მეგზური, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2020**

მეგზური შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ (შიფრი №DI 2016-43) ფარგლებში. პროექტი განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ფარგ-

ლებში. პროექტს აფინანსებდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ნაშრომში განხილულია ენისა და კულტურის დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები: ELAN-ი და FLEx-ი.

- ნანა ტრაპაიძის ორტომული: 1-ელი წიგნი „ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“, მე-2 წიგნი – პირველ წიგნზე თანდართული „კრიტიკულ-თეორიული ანთოლოგია“ (შემდგენელ-რედაქტორი ნანა ტრაპაიძე), ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020.

ორტომეულის მიზანია ლიტერატურათმცოდნეების სწავლების აკადემიური გამოცდილების განვითარება. 1-ელი წიგნი ინტერდისციპლინური მიდგომითა და თანამედროვე კულტურული კონტექსტის გათვალისწინებითაა შექმნილი. მისი მიზანია ფილოლოგიური ჰორიზონტის გაფართოება სტუდენტებისა და ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ანთოლოგია არის წიგნის პირველი ნაწილის აკადემიური შინაარსის განვრცობა კვლევითი და თეორიული თვალსაზრისით, როგორც საორიენტაციო ნიშნულში კვლევითა თუ სწავლებით დაინტერესებული მომავალი ფილოლოგებისთვის.

- მამია ფალავა, ტაოური ჩანაწერები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2021.

წიგნში ავტორი მოგვითხრობს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ისტორიულ ტაოში მოწყობილი საველე ექსპედიციების საქმიანობაზე, საუბრობს ტაოურ სოფლებზე და ტაოელებზე. მასში შეხვდებით საყურადღებო დაკვირვებებს ტაოურ დიალექტზე, ფილკლორზე, ტაოელთა ყოფაზე, ტაოს მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ტოპონიმიაზე.

გახსენება

მერი ცინცაძე



ქალბატონი მერი ცინცაძე 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდას. ღვაწლმოსილმა პედაგოგმა შემოქმედებითი ძიების გრძელი და ძნელი გზა გაიარა, აღსანიშნავია მისი სამეცნი-

ერო მოღვაწეობა, ნაყოფიერი საველე შემკრებლობითი მუშაობა. მერი ცინცაძემ დიდი წვლილი დასდო ბსუ-ში ენათმეცნიერების მიმართულების განვითარებას. მკვლევართა შორის პირველმა ისაუბრა კლარჯული კილოს შესახებ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ქართული ენათმეცნიერებისათვის უცხო დიალექტის მასალები.

1950-იანი წლებიდან ქალბატონი მერი თანამშრომლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლადგახსნილ ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მონაწილეობდა საველე ექსპედიციებში. მის მიერ ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტები სანდო წყაროა აჭარული დიალექტის საკვლევად. პარალელურად მერი ცინცაძე მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1994 წლიდან გახლდათ „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორიის“ ერთ-

ერთი აქტიური წევრი, 1995 წლიდან არაერთ კომპლექსურ ექსპედიციაში მონაწილეობდა. მკვლევარმა კოლევებთან ერთად შემოიარა ტაო, შავშეთი და კლარჯეთი. მის სამეცნიერო ინტერესებში შედიოდა ქართული ენის სამხრული კილოები (აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება), ძველი ქართული ენა, სამწერლობო ქართულისა და სამხრული კილოების მიმართების საკითხები, ქართული სალიტერატურო ენის პრობლემები... იგი არის თანაავტორი რამდენიმე მონოგრაფიისა: „სამხრული კილოები და ქართული სამწერლობო ენა“ (1998), „შავშეთი“ (2011), „კლარჯეთი“ (2016), „ტაო“ (2020). 2013 წელს გამოიქა მისი წიგნი „ქართულად ხსნილად უბნობდი!“, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას ეძღვნება.

ქალბატონი მერი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა იოანე სინელის „კლემაქსის“ (სათნოების კიბე) ქართულ თარგმანებზე; ფიქრობდა, ძველი გამოეცა ყველა რედაქციის მიხედვით, გამოკვლევითა და ლექსიკონით, რაც განუხორციელებელი დარჩა. ღირსეულ მკვლევარს ბევრი რამ დარჩა სათქმელი, დასაწერი, საკვლევი, საძიებელი. თანაავტორებთან ერთად ფიქრობდა „შავშური კილოს“, „კლარჯული კილოსა“ და „ტაოური დიალექტის“ ცალკე წიგნებად გამოცემას. სამწუხაროდ, არ დასცალდა... ერთად დანყებულ საქმეს მისი მოწაფეები განაგრძობენ.

გამოსათხოვარი

ომარ მეშიშიძე

2021 წლის 16 მაისს ქართველური ენების აღიარებული მკვლევარი ომარ მეშიშიძე გარდაიცვალა.



იგი დაიბადა სარტში 1939 წლის 6 მაისს. უმაღესი განათლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო; 1969 წელს, ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, სამუშაოდ აიყვანეს კავკასიურ ენათა კათედრაზე ლაბორანტად, სადაც 1972 წლამდე მუშაობდა, 1972-1995

წლებში იყო იმავე კათედრის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 1995-1998 წლებში – დოცენტი.

2000 წლიდან ომარ მეშიშიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია. 2006 წლამდე იყო მ. აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დიალექტოლოგიისა და ფოლკლორის განყოფილების უფროსი მეცნიერ-მუშაკი, 2006-2009 წლებში – ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და პედაგოგიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. გარდაცვალებამდე უძღვებოდა ქართველოლოგიის შესავლის, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და კოლხური ენის კურსებს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე. 2019 წლიდან იყო ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლ-

კლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ომარ მემიშიში არნოლდ ჩიქობავას სკოლას ეკუთვნოდა. მისი სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირითადი სფერო მშობლიური ლაზური ენა იყო. ლაზურის პრობლემებს ეძღვნება მისი ნაკვლევების უდიდესი ნაწილი. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წიგნები: „მასალები ქართველურ ენათა ისტორიული ლექსიკონისათვის“ (2004) და „ლაზური ანდაზები და იდიომები“ (2015 წ.); თანაავტორობით გამოცემული მონოგრაფიები: „სარფი“ (2015 წ.), „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“, I, მორფოლოგია (2015), „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ (2015).

შოთა ზოიძე

2021 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა შოთა ზოიძე – ბსუ ემერიტუსი პროფესორი, ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.



შოთა ზოიძე დაიბადა 1941 წლის 2 იანვარს შუახევის რაიონის სოფელ ახალდაბაში. 1967 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ხოლო 1977 წელს – მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უმაღლესი კურსები.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად და გაზეთ „აჭარის“ განყოფილების გამგედ. 1993-1994 წლებში განაგებდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას. დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის ტელევიზიის დაარსებაში, 1991-1993 წლებში უძღვებოდა აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტს. აქტიურად იყო ჩაბმული დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, 1994-1998 წლებში ეკავა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი. 1998-1999 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც ანა კალანდაძის შემოქმედებას მიუძღვნა. 2009 წელს აირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, 2016 წლიდან კი იყო ბსუ ემერიტუს-პროფესორი.

შოთა ზოიძე 30-მდე კრებულისა და მონოგრაფიის ავტორია. მისი პირველი წიგნი „სიახლოვე“ 1968 წელს დაი-

სტამბა. გამოცემული აქვს პოეტური კრებულები: „გულის ხმაური“ (1970), „ათასი ზარი“ (1972), „პაემანი წვიმაში“ (1974), „დიდი ქალაქი“ (1977), „ელდორადო“ (1982), „ბათუმის წვიმა“ (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1979), „დუელი“ (1980), „სიყვარულის გაკვეთილები“ (1984), „სიყვარულის ახსნა“ (1986), „უსანქციო სონეტები“ (1996), „სვეტი ნათლისა“ (2003), „არმაზის მსხვერვა“ (2014); ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილების კრებულები: „მიწის მადლი“ (1975), „ჯვარცმული ფიქრი“ (1995); ესეების კრებული „ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა“ (2003). 1997 წელს გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ნარკვევი „საქართველოს გოლგოთა“. 2000 წელს გამოსცა მონოგრაფია ანა კალანდაძეზე – „ანა დედოფალი“. 2013 წელს დაიბეჭდა მისი „რჩეული ნაწერები“ (2 ტომი). უკანასკნელ წლებში ხშირად ბეჭდავდა პოეტურ ტექსტებსა და ესეებს, რომლებიც, ტრადიციულად, დიდ რეზონანსს იწვევდა მკითხველ საზოგადოებაში.

1995 წელს ნიკო ნიკოლაძის პრემია მიენიჭა წიგნისთვის „ჯვარცმული ფიქრი“, ხოლო 1997 წელს – სახელმწიფო პრემია წიგნისთვის „უსანქციო სონეტები“. მინიჭებული აქვს, ასევე, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, გიორგი შარვაშიძის და მემედ აბაშიძის პრემიები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. იყო ბათუმის საპატიო მოქალაქე.

ელგუჯა მაკარაძე

2022 წლის 6 იანვარს ნაადრევად, 58 წლის ასაკში გარდაიცვალა ელგუჯა მაკარაძე – ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.



ელგუჯა მაკარაძე დაიბადა 1963 წლის 30 იანვარს შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში. 1986 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა.

1986-1989 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ასპირანტი. 1989 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური საგმირო პოეზიის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები“.

პროფესიული საქმიანობა საქართველოს ზოოვეტინსტიტუტში დაიწყო, სადაც მუშაობდა ქართული მეტყველების კულტურისა და ენების კათედრის ასისტენტად. 1991 წლიდან ელგუჯა მაკარაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1991-2005 წლებში იყო ბსუ ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტი და კათედრის გამგე (2000-2005 წლები), ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (2005 წლიდან გარდაცვალებამდე).

ელგუჯა მაკარაძემ პროფესიონალ ფილოლოგთა არაერთ თაობას გაუკვალა გზა პედაგოგიურ და სამეცნიერო ასპარეზზე.

2003-2012 წლებში აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო საქართველოს მეექვსე (2005-2008 წწ.) და მეშვიდე (2008-2012 წწ.) მოწვევის პარლამენტის წევრი.

ელგუჯა მაკარაძის სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა ლიტერატურისა და ფოლკლორის თეორიულ პრობლემებს. ამ საკითხებს ეძღვნება მისი სამეცნიერო ნაშრომების დიდი ნაწილი, მათ შორის, მონოგრაფიები: „ხალხური ლექსის თეორიის საკითხები“ (ბათუმი, 2013) და „ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველება“ (1999). ფოლკლორისტიკის თანამედროვე თეორიებს ეძღვნება მისი უკანასკნელი მონოგრაფია, რომლის გამოცემასაც, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო.

Contents

Jubilee	
Shushana Phutkaradze – 80	5
Mamia Phaghava, Maia Baramidze	
From the sound composition of the Taoian dialect	8
Natela Phartenadze	
Phonetic peculiarities in the Maradidi Klarjuli	20
Temur Avaliani, Taliko Davitadze	
Ritual Argo and the Internet Space (On some aspects of studying the problem)	46
Levan Khalvashi, Sofiko Tsulukidze	
Why didn't the ancient Greeks consider grammar to be areal science?	54
Kristine Tsittsabadze	
Aspects of language nationalization and internationalization based on Turkish language dictionary material	61
Teona Kekelidze	
Poetic interrelation of long and short version "Amiraniani"	70
Tina Shioshvili	
Legend of Ilori Saint George Miracle-Working	78
Malkhaz Chokharadze	
Villages divided by state border and demarcation folk histories in Turkey and Georgia	86
Guram Bakhtadze	
Chronological frameworks and periodization of the history of new Georgian literature	103

Shorena makhatchadze	
“The Plague” and the Law of Eternal Circulation	
Summary	109
Nona Nikabadze	
“The Knight of the Panter’s Skin” – Some Issues of the	
1st Chapter of the Turkish Translation	120
Publication	
Ramaz Khalvashi	
Ioane Petritsi's and his brathers Pavle's "Hymnographic	
Canon of All Saint's"	129
Chronicle	148
Editions 2018-2021	153
Memory	
Meri Tsintsadze	158
Obituary	
Omar Memishishi	160
Shota Zoidze	162
Elguja Makaradze	164